შიდა ქართლი

ახალგორის რაიონის
არქიტექტურული მემკვიდრეობა

1985-1986 წლების ექსპედიციის მასალები

თბილისი
2008
ილიას ფონდი

UDC (უაკ) 72(479.22)
შ-621

ეძღვნება პედაგოგების - რუსუდან მეფისაშვილისა და ვახტან ცინცაძის ნათელ ხსოვნას

ექსპედიციის წევრები:

მარინა აბაშიძე - ისტორიკოსი
ცირა დადიანიძე - ხელოვნებათმცოდნე
ნინო ბაგრატიონი - არქიტექტორი
ბაადურ კუპრეიშვილი - ისტორიკოსი
ლადო ვარდოსანიძე - არქიტექტორი
ლადო გიორგაძე - არქიტექტორი
გიორგი ოთხმეზური - ისტორიკოსი
აკაკი თოფურია - ხელოვნებათმცოდნე
პაატა ბასიშვილი - ხელოვნებათმცოდნე

რედაქტორ-გამომცემელი - ხელოვნებათმცოდნე **ცირა დადიანიძე**

რეცენზენტები:

გივი გაფრინდაშვილი - არქიტექტურის ისტორიკოსი, სპელეისტი, პროფესორი

პარმენ ზაქარაია - აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გენ. სპონსორი - **გია ოქრუაშვილი**

ISBN 978-99928-0-931-0
ISBN 978-9941-0-0411-7

საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველო 1974-1990 წლებში, ხუროთმოძღვრულ ძეგლების აღრიცხვა-პასპორტიზაციისა და ფიქსაციის მიზნით, აწარმოებდა ინტენსიურ საველე ექსპედიციებს საქართველოს ყველა რეგიონში.

ერთ-ერთი ასეთი ექსპედიცია მოეწყო დღეისათვის მეტად მტკივნეულ სამხრეთ-ოსეთის რეგიონში. ექსპედიციის წევრებმა მოიარეს ცხინვალის, ზნაურის, ჯავისა და ახალგორის არქიტექტურული ძეგლები. საექსპედიციო პერიოდი მოიცავდა 1981-1985 წლებს.

შევეცადე ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალებისთვის თავი მომეყარა, სისტემაში მომეყვანა და დღის სინათლეზე გამომეტანა. საბოლოოდ მან ოთხტომეულის სახე მიიღო.

ოთხტომეულის მიზანია მიაწოდოს ქართული კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ პირთ, ფართო საზოგადოებას, სტუდენტებს და ა.შ. ინფორმაცია საქართველოს ამ რეგიონში არსებული არქიტექტურული ძეგლების შესახებ.

აღნიშნულ ექსპედიციას მეგზურობას და ყველა სხვა სახის აუცილებელ დახმარებას უწევდა რაიონის მკვიდრი, ქსნის ხეობის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალის დამაარსებელი და მისი უცვლელი დირექტორი, შესანიშნავი მოქალაქე და მეცნიერი - ბატონი ვალოდია ღუნაშვილი, რისთვისაც მას ექსპედიციის მონაწილეთა სახელით, დიდ მადლობას მოვახსენებთ.

წინათქმა

მიწიერ სამყაროში არსებულ უწესრიგობაში, სადაც ბატონობს ერთიანი კანონი - სურვილთა კანონი, რისი გამოხატულებაცაა ეგოცენტრისტული იმპულსები, ამბიციები, დიდების სურვილი და თვითდამკვიდრების მოტივი, ქრისტიანობის მიზანი ყოველთვის იყო მატერიალისტური ცხოვრების წესის შეცვლა და სულიერი სრულყოფილება.

ადამიანური არსებობის ჭეშმარიტებას ქრისტიანობა მუდმივად ხედავდა ღმერთთან ერთიანობაში, რომელიც მისი ქადაგების თანახმად, არის ადამიანური ევოლუციის დასასრული, ბოლო სიტყვა ადამიანის შინაგან კულტურაში.

უსამართლობა იქნებოდა ამ სამართლიან და მშვენიერ პასაჟში რაიმე კორექტივით შევსულიყავით, თუმცა საინტერესოა, მიაღწია თუ არა ქრისტიანობამ თავის მარადიულ მიზანს დედამიწაზე? შეძლო თუ არა ხიდის გადება სულიერ ჭეშმარიტებასა და ცხოვრებისეულ, მატერიალისტურ რეალობას შორის?

კიდევ უფრო კონკრეტულად: რამდენად უკავშირდება დღეს კაცობრიობის იმედები სულიერ, ქრისტიანულ ცივილიზაციას და კულტურას, და არა რაციონალურ, გონებით მექანიზებულ ცივილიზაციას?

ვეცდები ვიყო ეთიკური იდეალისტი, პირუთვნელი შემფასებელი და ვიტყვი, რომ დასავლური სამყარო დღემდე და დღესაც, უპირატესად რაციონალური და მატერიალისტურია თავისი ლოგიკური იდეებითა და აბსტრაქტული კონცეფციებით, ხოლო მის კულტურაში გონი და ინტელექტი ჭარბობს, მაგრამ არა სულიერი საწყისი, როგორც ქართულ, და ზოგადად, ტრადიციულ, მკაცრად ნაციონალურ კულტურებში. ქართული კულტურა, რომელიც ისტორიულად, საუკუნეთა მანძილზე ცხოვრებითა და გამოცდილებით შეიქმნა, სადაც ადამიანური ფიქრებისა და სწრაფვების, გრძნობებისა და მოღვაწეობის მთელი სიმდიდრეა ჩადებული, სულიერი, ქრისტიანული კულტურის შედეგია, მისი განუყოფელი ნაწილია და დღემდე ასეთად რჩება.

ამ ნიშნით ხასიათდება სხვადასხვა სახის ქართული ნივთიერი კულტურის შეუდარებელი ნიმუშები, პირველ რიგში კი, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის და, მათ შორის, ახალგორის რაიონის მონუმენტური არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლები.

სწორედ ახალგორის კულტურის ძეგლების მიმოხილვით სრულდება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა და ეს შემთხვევითი არაა, რადგან ამ რაიონში აღწერილი და დაფიქსირებულია 350 ხუროთმოძღვრული არქიტექტურის უმშვენიერესი ნიმუში, რომელთაგან რამოდენიმეს საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის

ნოემბრის N665 ბრძანებულებით, მინიჭებული აქვს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის კატეგორია. ესენია: ალევის სამების სამონასტრო კომპლექსი, არმაზის წმ. გიორგის ეკლესია, ლომისის წმ. გიორგის ეკლესია, ყანჩაეთის კაბენი, წინკიბის ანსამბლი, მოსაბრუნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია და წირქოლის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

ეს ტიპური ქართული ქმნილებები განსაკუთრებული ქართული კოლორიტით გამოირჩევა, თუმცა თითოეულ მათგანში ზის რაღაც კოსმიურის, დიდი სულიერი ენერგიის და მოქმედების, ასევე ღრმა მისტერიის შემცველი აზრი. მათში თანაბრად იკვეთება როგორც ნატურალური სილამაზე, ისე რელიგიური და სულიერი ძალა. ქვაში ასახული ეს საოცარი მშვენიერება ცალსახად მიანიშნებს ჩვენი წინაპრების გენიალურ ოსტატობაზე.

აქ შეგვეძლო წერტილი დაგვესვა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ აუცილებელია კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადოთ ქალბატონ ცირა დადიანიძეს და ბატონ გია ოქრუაშვილს, ადამიანებს, ვისაც მატერიალისტური კონფორტის ფონზე, რაციონალიზმის ტოტალური იდეის რიტმში, წამითაც არ ავიწყდებათ წმინდა ტრადიცია, სულიერი ჭეშმარიტება, ამ ტრადიციისა და სულიერების ნაყოფი - ქართული ხუროთმოძღვრების შეუფასებელი ნიმუშები. სწორედ მათი საერთო ძალისხმევით გახდა შესაძლებელი სამხრეთ ოსეთის არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე შესანიშნავი ოთხტომეულის შექმნა.

იდეა ხორცშესხმულია, მიზანიც მიღწეული, რადგან ოთხტომეულის გაცნობისას, ქართველი მკითხველი კიდევ ერთხელ დარწმუნდება საკუთარი კულტურის სიდიადეში და იმაშიც, რომ კულტურა არასოდეს კვდება, სხვა ყველაფერი კი მხოლოდ ქიმერა და ილუზიაა.

პ. გერგაია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი



ალეეის სამება, საერთო ხედი.

სოფ. ალევი

ეკლესია სამება

VIII-IX სს.

მცირე ეკლესია - X ს.



ხედი დასავლეთიდან

ალევის ე.წ. "ოქროსკარიანი" სამება ახალგორის ჩრდილო-აღმოსავლეთით უნაგირას მთის ერთ-ერთ წვერზე მდებარეობს. მთას ადგილობრივი მოსახლეობა ლორწომის კლდეს უწოდებს. ალევის სამება საკმაოდ განთქმული სალოცავი იყო მთელ აღმოსავლეთ საქართველოში.

დარბაზული ეკლესია აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით და ტრომპებზე დაყრდნობილი კონქით. გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით თითქმის თანაბარ მონაკვეთებად იყოფა. კამაროვანი გადახურვა საბრჯენი თაღებითაა შემაგრებული. შიდა სივრცე განათებულია აღმოსავლეთის ერთი, ხოლო დასავლეთის სამი სარკმლით. შესასვლელი კარი გრძივ კედლებში და დასავლეთ კედელშია გაჭრილი.



გეგმა

მთავარ ეკლესიას ოთხივე მხრიდან აქვს მინაშენები. აღმოსავლეთით მიშენებული აქვს მეორე ეკლესია, რომელსაც ნახევარწრიული მოხაზულობის აბსიდი გააჩნია.

ნაგებობის ფასადები სადაა, სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი წარმოშობის ქვის ბლოკები.

ეკლესიას გარს უვლის ფლეთილი ქვით ნაგები ოვალური მოხაზულობის გალავანი. შიდა მხრიდან გალავანს რამოდენიმე ნაგებობა აქვს მიშენებული. გალავნის გარეთ ბევრი სათავსოს ფრაგმენტებია. შესაძლოა ალევის სამება სამონასტრო კომპლექსი ყოფილიყო.

სოფ. აბრევი

თეოდოსმინდის ეკლესია

შუა საუკუნეები



გეგმა

დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. მარკანტულ ნაწილებში გამოყენებულია შირიმი.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში თაღოვანი და საფეხურებიანი სარკმელია გაჭრილი. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. კონქის მხოლოდ აღმოსავლეთის მცირე ნაწილია შემორჩენილი. აბსიდის სამხრეთი მხარის, ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლის დიდი ნაწილია ჩამონგრეული. საკურთხევლის წინ გვიანდელი კანკელის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. სამხრეთი შესასვლელი გარედან არქიტრავულია, შიგნით კი თაღოვანი.

ეკლესიის კამარა ჩამოქცეულია, კედლები გარღვეულია, ხოლო ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.

სოფ. აბრევი, მიდამოები "საკორინთლო"

ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე დარბაზული ეკლესია რიყის ქვითაა ნაგები. ის გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა. აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რომლის ძირში დგას ტრაპეზის ქვა. აბსიდის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. კონქი სფერულია, სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

ეკლესიის ცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი იმპოსტებს ეყრდნობა. სამხრეთის შესასვლელი არქიტრავულია.

ეკლესიას სამხრეთიდან აქვს თანადროული მინაშენი, რომელსაც გადახურვა კამაროვანი ჰქონდა. ამჟამად კამარა მრავალ ადგილას ჩამონგრეულია. ჩრდილოეთ კედელზე გადასულია კედლის თაღი, რომელიც კუთხის პილასტრებს ებჯინება.

საბურავი ჩამოცვენილია, კედლები ბევრ ადგილას გამონგრეულია, დაზიანებულია მინაშენიც.



გეგმა

სოფ. აბრევი, მიდამოები "საკორინთლო"

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

სოფლის სასაფლაოსთან მდებარე დარბაზული ეკლესია რიყისა და ფლეთილი ქვითაა ნაგები.

ეკლესიის კედლებიდან შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტები. ყველაზე მაღალი დასავლეთის კედელია. აბსიდა თითქმის მიწის დონეზეა დასული. სამხრეთის შესასვლელის მხოლოდ მარცხენა წირთხლია. ჩრდილოეთ კედელში ერთი სწორკუთხა ნიშაა.

სოფ. აბრევი, მიდამოები

ნიში ნაეკლესიარზე

გვიანი შუა საუკუნეები

ადგილობრივ მოსახლეობას ძველი ეკლესიის ადგილას ეკლესიისავე ქვებით ნიში აუგია. ძეგლის გარშემო მიმოფანტულია ქვები.

სოფ. არმაზი, მდ. ლეხურას ხეობა

წმ. გიორგის ეკლესია

864 წ.



აღმოსავლეთი ფასადის სარკმლები

სამხრეთის ფასადზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა: "სახელითა ღმრთისაითა მე გ(იორგი) არმაზისა?) მამასახლისმან დ(ავდევ ეს)ე წმინდა ეკლესია ქორონიკონსა პდ ხელმწიფობასა".

მდ. ლეხურას ("რეხულა") ზემო წელში, სოფ. არმაზის მიდამოებში დგას წმინდა გიორგის გუმბათოვანი ეკლესია. რამდენადაც გუმბათს ყელი არა აქვს, ის გარედან თითქმის შეუმჩნეველია. ძეგლებისათვის გუმბათის ასეთი გადაწყვეტა გამონაკლისს წარმოადგენს, თუ არ ჩავთვლით ქსნის ხეობის მეორე - წირქოლის ღვთისმშობლის სახ. ეკლესიას (VIII ს.).

ეკლესია გეგმით კვადრატს წარმოადგენს, კუთხეებში, კედელთან ახლოს დგას რვაწახნაგა სვეტები, რომლებიც კედლებს თაღებით უკავშირდება. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათზე გადასვლა ტრომპების საშუალებით ხორციელდება.

ეკლესიის აბსიდი ნახევარწრიულია და მის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. აბსიდის იატაკის დონე დარბაზისაზე ორი საფეხურით მაღალია, იატაკი გრძელდება აღმოსავლეთის წყვილ, გუმბათქვეშა სვეტებამდე. საკურთხევლის წინ ქვის კანკელია, რომელიც შედგება ექვსი სვეტისაგან. მის ცენტრში აღსავლის კარია გაჭრილი. ოთხი შუა სვეტი რვაწახნაგაა, ორი განაპირა კი, მრგვალი. სვეტები ერთმანეთს და აბსიდის კუთხეებს თაღებით უკავშირდება. კანკელის ზედა ნაწილში წმინდანების სიუჟეტური გამოსახულებებია, ქვედა ნაწილში სამკვეთლო და რელიეფური ჯვრებია.

აბსიდის გვერდებზე განთავსებულია სამკვეთლო და სადიაკვნე, რომლებშიც ვიწრო სარკმლებია გაჭრილი. პირველი მათგანი გადახურულია



საამშენებლო წარწერა



გეგმა

სფერული გუმბათით, ხოლო მეორე სათავსი ქვის საფეხურებიანი გვირგვინით. ეკლესიის სივრცე განათებულია აღმოსავლეთის და სამხრეთის სარკმლებით. შესასვლელები დასავლეთ და სამხრეთ კედლებშია დატანებული.

ეკლესიას სამხრეთიდან და დასავლეთიდან დაბალი და ვიწრო გარშემოსავლელი აქვს. სამხრეთის სტოა გადახურულია ცილინდრული კამარით, მისი საბრჯენი თაღები პილასტრებს ეყრდნობა. ჩრდილოეთის კედელზე ნალისებრი თაღები გადადის. სტოა აღმოსავლეთით დასრულებულია ღრმა აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია მცირე ზომის სარკმელი. სამხრეთით წყვილი ნიშაა.

სამხრეთით თაღოვანი შესასვლელის გარდა იყო ორი გამჭოლი თაღი სარკმელი, რომელიც იატაკიდან იწყებოდა და ერთ მეტრამდე გრძელდებოდა. ამჟამად ღიობები ამოშენებულია. დასავლეთის სტოა უერთდება სამხრეთისას, მისი კამარა კოლოფაა. კამარის ნახევარწრიული საბრჯენი თაღები პილასტრებს ეყრდნობა. შესასვლელი დასავლეთიდანაა, ამავე მხარესაა სხვადასხვა ზომის სარკმლები.

ეკლესიის ფასადები მოკლებულია დეკორატიულ მორთულობას. აღმოსავლეთ ფასადზე აქცენტირებულია სარკმლის ღიობის მოჩარჩოება. სარკმლის საპირე ქვა შირიმისაა, ზედა ნაწილში ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა.

კარნიზი მარტივპროფილიანია. საბურავად გამოყენებულია თუნუქი. ეკლესიის ძირითადი სამშენებლო მასალა რიყის ქვა და შირიმია.

სოფ. არმაზი, მიდამოები ნასოფლარი ვანი

ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

ეკლესია შემორჩენილია ფრაგმენტების სახით. ჩანს მხოლოდ საძირკველი. მიმობნეულია ეკლესიის ქვები.

გეგმა არ იკითხება

სოფ. არმაზი

ეკლესია - კოშკით

გვიანი შუა საუკუნეები

ძეგლი მდებარეობს სოფ. ქვითკირიდან დასავლეთით 3 კმ-ზე, ნასოფლარ ვანის ტერიტორიაზე. ეკლესია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზული ეკლესია ჩაშენებულია ოთხსართულიანი კოშკის მეორე სართულში და ის გეგმით არაწესიერი სწორკუთხა მოხაზულობისაა. აღმოსავლეთით შებრტყელებულია აბსიდი, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დევს. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. აბსიდი დარბაზისგან გამოყოფილია მცირე ზომის მხრებით.

სამხრეთი შესასვლელის მარცხენა წირთხლი მორღვეულია.

კოშკის პირველი სართული ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით. კოშკს გარშემო შემოუყვება გალავანი, რომლის სამხრეთით შემორჩენილია ოთხკუთხა ნაგებობის ნაშთი. მისი კედლების სიმაღლე 1 მეტრს აღწევს.

ნაგებობის ჩრდილოეთ კედელში მოწყობილია სამი სწორკუთხა ნიშა. შესასვლელი სამხრეთ კედელშია.

დ. ახალგორი

მიქელ-გაბრიელის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ახალგორის სასაფლაოზე მდებარე ეკლესია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითაა ნაგები.

გეგმით სწორკუთხა მოხაზულობის ეკლესია, აღმოსავლეთით ასევე

სწორკუთხა საკურთხევლითაა დასრულებული. აბსიდის ცენტრში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი, სწორკუთხა ნიშაა სამხრეთითაც.

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია. არქიტრავული შესასვლელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. შესასვლელის თავზე არქიტრავული სარკმელია. ეკლესიის იატაკი ცემენტის ხსნარითაა მოლესილი.

ეკლესიას სამხრეთიდან გეგმით სწორკუთხა მინაშენი აქვს, რომელიც აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლით სრულდება. ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სამხრეთ კედელში ორი ნიშაა მოთავსებული. კამარა შეისრულია. არქიტრავული შესასვლელი დასავლეთიდანაა.

მინაშენის დასავლეთით იკითხება კედლის ქვედა წყობა.

ეკლესიის კარნიზი მარტივპროფილიანია.

საბურავი აყრილია. კედლები მნიშვნელოვნად არის დაზიანებული.

დ. ახალგორი

წმინდა მარინეს ეკლესია

ადრე შუა საუკუნეები

ეკლესია მდებარეობს სასაფლაოსთან (ადგილი "ტახტაბანი"). გეგმით მართკუთხა მოხაზულობის, დარბაზული ნაგებობა, აღმოსავლეთით ნალისებრი აბსიდით სრულდება. საკურთხეველში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რომლის ორივე მხარეს თითო არქიტრავული ნიშაა მოთავსებული.



გეგმის ფრაგმენტი

კონქი ნაწილობრივ ჩამონგრეულია. გადახურვა და დასავლეთი კედელი აღარ არსებობს.

ძეგლი ნაგებია ყორექვით დულაბზე. ნაწილობრივ გამოყენებულია ქართული აგური.

იატაკი ამოვსებულია მიწით და ქვით.

დ. ახალგორი

ღვთისმშობლის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია ძირითადად ქართული აგურითაა ნაგები, ხოლო შემავსებელ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა.

დარბაზული ეკლესია გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედია, რომელიც აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლით სრულდება. საკურთხევლის სამივე კედელში გაჭრილია თაღოვანი სარკმლები. სწორკუთხა საკურთხევლიდან ნახნაგოვან კონქზე გადასვლა ტრომპების საშუალებით ხორციელდება. აბსიდის ჩრდილოეთ მხარეს ერთი თაღოვანი და ერთი სწორკუთხა ნიშაა. სატრიუმფო თაღი კედელშია ჩაძირული. საკურთხევლის იატაკი ოთხი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკზე.



ეკლესიის გეგმა

გრძივი კედლები წყვილი პილასტრებით სამ ნაწილად იყოფა. შეისრული კამარის საბრჯენი თაღები პროფილირებულ იმპოსტებს ეყრდნობა. პილასტრებზე გადადის კედლის თაღები.

შიდა სივრცე ნათდება დასავლეთის ორი თაღოვანი და ერთი სწორკუთხა, ჩრდილოეთის სამი და სამხრეთის ერთი სწორკუთხა სარკმელით.

დასავლეთი შესასვლელი შეისრულთაღოვანია, ხოლო სამხრეთისა არქიტრავული. სამხრეთი შესასვლელი და სარკმელი ამოშენებულია. იატაკი მოპირკეთებულია ქართული აგურით.

ეკლესიის დასავლეთ ფასადში ჩატანებულია მოჩუქურთმებული ქვის კვადრები აყვავებული ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. ერთ-ერთ კვადრზე, ჯვრის ზედა კუთხეებში მარაოსებრი ორნამენტია. კვადრი მოჩარჩოებულია გეომეტრიული წნულით. აყვავებული ჯვრის გამოსახლებაა მეორე კვადრზეც, ხოლო გვერდებზე შემორჩენილია წარწერის ფრაგმენტები. აღმოსავლეთის ფასადის ზედა ნაწილში, აგურის წყობაში ჩაძირულია ტოლმკლავა ჯვარი.

საბურავად გამოყენებული კრამიტი თითქმის მთლიანად ჩამოყრილია. სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებს საპირე ქვა შემოცლილი აქვს. კედლები ბევრ ადგილას დაბზარულია.

დ. ახალგორი, ოქტომბრის ქუჩა

გორიჯვარის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია ქართული აგურითა და რიყის ქვითაა ნაგები.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, რომელიც აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით.

არქიტრავული შესასვლელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი, რომელიც აქცენტირებულია აგურის ტიმპანით. თაღის თავზე მოთავსებულია ვიწრო, სწორკუთხა სარკმელი. დასავლეთ ფასადის ზედა ნაწილში, წყობაში ჩაძირული ჯვრის ქვედა მკლავია შემორჩენილი. შესასვლელის მარჯვნივ თაღოვანი ნიშაა. მის თავზე ჩასმულია ქვის ფართო კვადრი, რომელზეც მხედრული წარწერა იკითხება.

კამარა და კონქი ჩამონგრეულია, კედლების დიდი ნაწილი განადგურებულია. ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.

დ. ახალგორი

საგუშაგო კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები

კოშკი ფლეთილი და რიყის ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია.

გეგმით ოთხკუთხა ფორმის კოშკი შემორჩენილია ოთხი სართულის დონეზე. პირველი სართული ამოვსებულია მიწით. მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელში მოწყობილია თაღოვანი ბუხარი და ორი სათოფური, სამხრეთ კედელში - სამი სათოფური და ერთი სწორკუთხა სარკმელი, ხოლო დასავლეთ კედელში ორი სათოფური.

მესამე სართულის ჩრდილოეთ კედელში თაღოვანი ბუხარი და ორი სათოფურია. სამხრეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია. დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლების დიდი ნაწილი ჩამონგრეულია.

კოშკს დასავლეთიდან სწორკუთხა მინაშენი აქვს, რომელიც ჩრდილოეთით გრძელდება. კედლები შემორჩენილია ორი მეტრის სიმაღლეზე.

კოშკი სერიოზულად არის დაზიანებული.

დ. ახალგორი

ქსნის ერისთავთა ციხე-დარბაზი (რეზიდენცია)

XVII-XIX სს

ვახუშტის მიხედვით: "ხოფას ჩრდილოთ არს მცირე ქალაქი ახალგორი. მსახლობელნი არიან სომეხნი, და სასახლე ქსნის ერისთავისა"



სასახლის კომპლექსი. საერთო ხედი

თავდაპირველად საერისთავოს რეზიდენცია ქვენიფნევსა და ლარგვისში უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით კი, საერისთავოს გაძლიერებისა და გაფართოების პირობებში, მაღალ მთებში მომწყვდეული რეზიდენცია, ქსნის ერისთავებს აღარ შეეფერებოდა და ისინი ირჩევენ ახალ ადგილს ახალგორის სახით.

ისტორიულ წყაროებში ახალგორი პირველად XVI საუკუნის 70-იან წლებში იხსენიება. მემატიანე ფარსადან გორგიჯანიძეს მოჰყავს ერთი საინტერესო ცნობა: "ირანის მიერ მეფედ წარმოგზავნილ როსტომს დიდხანს უწევდა წინააღმდეგობას დამოუკიდებელი საქართველოსათვის მებრძოლი თეიმურაზ პირველი. მას მხარს უჭერდნენ ქსნისა და არაგვის ერისთავები და ამილახორი. XVII საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოს მოკავშირეები ჯარით ახალგორს შეკრებილან. როსტომმა გაიგო თუ არა ეს, სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი და ახალგორს ლოცვაზე მდგომ ერისთავებს მოულოდნელად დაესხა თავს"

ერთ-ერთი მემატიანის ცნობით, 1721 წელს შანშე ქსნის ერისთავს უნებართვოდ დაუტოვებია თბილისი და თავის სამფლობელოში წასულა. მეფემ იცოდა, რომ ერისთავი უწინდებურად ახლაც განდგომაზე ფიქრობდა და დაუყოვნებლივ გაემგზავრა მის დასასჯელად. ერისთავის დამარცხების შემდეგ მეფის ჯარმა დაწვა ახალგორის სასახლე.

ახალგორმა რეზიდენციის პერიოდი დაამთავრა საერისთავოს გაუქმებასთან ერთად - XVIII საუკუნის 70-იან წლებში.

ახალგორში თითქმის ერთდროულად წარმოიქმნა ორი დიდი არქიტექტურული ანსამბლი. ოდნავ მოგვიანებით გაჩნდა კიდევ ერთი ანსამბლი, რომელიც პირველი ორისაგან მოშორებით დგას. მათ შორის ყვე-

ქსნის ერისთავების სასახლე



წმ. ბარბარეს ეკლესიის მოხატულობის ფრაგმენტი. დასავლეთი კედელი

ლაზე დიდი აღმოსავლეთით მდგარი ციხე-დარბაზია. სიდიდით მეორეა მასთან ახლოს მდებარე ციხე-დარბაზი, ხოლო მესამე - განაპირა შედარებით პატარაა.

ერისთავის ციხე-დარბაზი მდებარეობს მაღალი მთის ფერდობზე. ცალკეული ნაგებობები ისეა განლაგებული, რომ ანსამბლი მთლიანად მდინარის ხეობისკენაა მიმართული. ყველაზე მაღალი კოშკიდან ორივე მიმართულებით კარგად ჩანს ხეობა. ციხე-დარბაზი თავდაპირველად მარტივი გეგმარებისა იყო - მოგრძო, ოთხკუთხა გალავანში ჩართული იყო ორი კოშკითა და სასახლეთი. მოგვიანებით მან განიცადა ცვლილებები, ხოლო XIX საუკუნეში საბოლოოდ იცვალა სახე.



მთავარი კორპუსის I, II, III სართულის გეგმები

თავდაპირველ კოშკთაგან ერთი - სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იდგა, მეორე - ჩრდილოეთ კედლის შუაში. პირველი უკეთაა შენახული. ეს შვიდსართულიანი კოშკი გადახურული იყო ორქანობიანი სახურავით. კედლები აღჭურვილია სათოფურებით, სამეურნეო დანიშნულების ნიშებით, ბუხრებით და სხვა. დანარჩენი სართულებისაგან განსხვავებით, მეექვსე სართულზე მოწყობილი იყო შვერილი აივანი.

მეორე კოშკი უფრო მასიურია. თუ პირველ კოშკში სართულშუა გადახურვა ყველგან ხისა იყო, აქ გუმბათოვანია; მეორე სართულს საზეიმო იერი აქვს. გუმბათი ტრომპებზეა აღმართული. კოშკის ზედა სარ-

თულების მონგრევის შემდეგ მისთვის ერთი სართული საბრძოლო ბანით დაუშენებიათ.

ციხეს მაღალი გალავანი ჰქონია, რომლის ზედა იარუსებზე სათოფურები იყო განლაგებული.

XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მიუშენებიათ საინტერესო კოშკი, რომელიც ძირითადად საცხოვრებლად გამოიყენებოდა. სამსართულიან კოშკში მთავარი მეორე სართული ყოფილა. მაღალ კედლებში დიდი ზომის თაღოვანი სარკმლებია დატანებული. თუ ქვედა სართულის კუთხეები მკვეთრად არ არის გამოყოფილი, მეორე სართულის ფორმა პრიზმას უახლოვდება. მათ შუაზე ყოფს ფრიზი. მეორე სართული მაღალთაღოვანი სარკმლებით გამოირჩევა, ხოლო მესამე ნისკარტა სალოდეებით და საზარბაზნეებით.

XVIII საუკუნის შუა ხანებში ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მიუშენებიათ მცირე ზომის კოშკი, რომლისგანაც ორი სართულია შემორჩენილი.

სოფ. ახალდაბა

ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით იყო ნაგები.

შემორჩენილია გრძივი კედლები, რომელთა სიმაღლე 80 სმ-ს აღწევს. ნაგებობის გეგმა არ იკითხება.

დ. ახალგორი

ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ძეგლი მდებარეობს სასაფლაოზე, რომელიც სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და ქართული აგურითაა ნაგები.



ეკლესიის გეგმა

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით გააჩნია ასეთივე სწორკუთხა საკურთხეველი. აქვე დგას დიდი ზომის ტრაპეზის ქვა. ჩრდილოეთით და სამხრეთით თი-

თო სწორკუთხა ნიშაა მოთავსებული.

კამარა ცილინდრულია. არქიტრავული შესასვლელი დასავლეთიდანაა.

ახალგორი, უბანი "ახშადურა", ნასოფლარი "დოლიანი", სასაფლაოზე

წმ. გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ძეგლი ნაგებია საშუალო ზომის რიყის ქვით და კირის ხსნარით და განეკუთვნება მცირე ზომის ცალნავიან დარბაზულ ეკლესიათა რიგს. გეგმაში სწორკუთხაა და ოდნავ კოლოფისებრი ფორმის საკურთხეველი აქვს.

საკურთხევლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ნიშაა. თითო ნიშაა აგრეთვე დარბაზის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებშიც. საკურთხეველი დარბაზისგან აბსიდის მხრებით იყოფა.

ეკლესიას შესასვლელი დასავლეთიდან ჰქონია. ამავე კედელზე შემორჩა კარის ზედა სარკმელი.

ძეგლის ტექნიკური მდგომარეობა არასახარბიელოა. მთლიანად ჩამოქცეულია კამარა, სატრიუმფო თაღი და საკურთხევლის კონქი; ნაწილობრივ ჩამონგრეულია აღმოსავლეთი კედელი; დანარჩენი სამი კედელი მხოლოდ 1,5-დან 3 მეტრამდეა შემორჩენილი. ეკლესიაში და მის გარშემო ჩამოვარდნილია კედლის ფრაგმენტები.

დ. ახალგორი, მიდამოები

"ახშადების" ხატი

გარდამავალი ხანა

ახშადურის წმ. გიორგის ეკლესიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5 კმ-ში მდებარეობს სამონასტრო კომპლექსი - "ახშადების ხატი", რომე-

ლიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ წაგრძელებულ სწორკუთხა გეგმის მძლავრ გალავანშია მოთავსებული. მონასტრის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს მაღალი ცალნავიანი დარბაზული ეკლესია გვიანი ხანის დასავლეთი მინაშენით.



გეგმა

ეკლესია ფიქალის, რიყისა და შირიმის ქვითაა ნაგები. სავარაუდოა, რომ კარგად დამუშავებული შირიმის ქვები ძველი ეკლესიის ფრაგმენტებს წარმოადგენს. ქვის წყობა ფასადებზე უსისტემოა, მაგრამ ხატოვანი.

შენობის გადახურვა მთლიანად ჩაქცეულია და ყრია ეკლესიის კედლებთან, თუმცა დასავლეთის კედლის ფრონტონის მოხაზულობიდან ჩანს, რომ სახურავი ნახევარწრიულ კამარას ეჭირა. კოლოფისებრი აბსიდი დარბაზისაგან იყოფა მხრებით. გადარჩენილია საკურთხევლის კონქი, რომელშიც შეიმჩნევა ფრესკის კვალი; ამჟამად მასში სიუჟეტის გარჩევა შეუძლებელია. ეკლესიის ინტერიერში გეგმას მთელ პერიმეტრზე შემოუყვება ხარისხი, რომელსაც დასავლეთიდან შემოსასვლელი კარი წყვეტს, ხოლო აღმოსავლეთიდან საკურთხევლის ცენტრში კედელთან მიდგმული ტრაპეზის ქვა. საკურთხეველში ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. შედარებით მომცრო ნიშებია დარბაზის გრძივ კედლებში, პირდაპირ საკურთხევლის მხრებთან. ამ ნიშებს ზემოთ შერჩენილია კანკელის ბუდეები.

ეკლესია განათებულია ოთხი სარკმლით: ორი მათგანი სამხრეთ კედელშია გაჭრილი, თითო კი დასავლეთით და აღმოსავლეთით. სარკმელთა ჭრილები იმდენად ვიწროა, რომ გარედან მათი აღქმა ძნელდება.

გვიანი ხანის მინაშენს, რომელიც ეკლესიას დასავლეთიდან ეკვრის, შესასვლელი აქვს სამხრეთიდან, დასავლეთ კედელში კი გაჭრილია ერთი სარკმელი. მინაშენის გადახურვა მთლიანად ჩამონგრეულია.

ეკლესიის გარშემო, გალავნის კედელთან შეიმჩნევა ნაგებობათა კვალი. ამჟამად, დანგრეული ნაგებობიდან აღსანიშნავია კარიბჭე, რომელიც გალავნის დასავლეთ კედელშია ჩართული. შემორჩენილი ნაწილის

მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის თაღოვანი უნდა ყოფილიყო. კარიბჭე მასიურია და სავარაუდოა, რომ მასზე სამრეკლო იდგა.

გალავნის გარეთ ერთადერთი თაღოვანი ნაგებობაა, რომელიც თავის დროზე შელესილი ყოფილა. თაღი ჩამოქცეულია, მაგრამ შემორჩა მისი ერთი ქუსლი. ნაგებობის თავდაპირველი ფუნქციის დადგენა ძნელია.

"ახშადების ხატის" სამონასტრო კომპლექსის მდგომარეობა მეტად მძიმეა. მისი ძირითადი ნაწილი დანგრეულია. ტერიტორია მთლიანად დაფარულია ნანგრევებითა და ხშირი მცენარეულობით, რაც ხელს უშლის ძეგლის საფუძვლიან აღწერას, აზომვას და ფოტოფიქსაციას.

დ. ახალგორი

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ძეგლი მდებარეობს ახალგორის აღმოსავლეთით 2,5-3 კმ. ნასოფლარ "ფიჭვნარის" თავზე, ტყეში. ეკლესია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითაა ნაგები. წყობა ქვედა რიგებში ქაოსურია, ჭარბობს დიდი ზომის ქვა.

ძეგლი წარმოადგენს მცირე ზომის ცალნავიან დარბაზულ ეკლესიას. აბსიდის მოხაზულობა ასიმეტრიულია და კოლოფისებრს უახლოვდება. აბსიდში ორი სიმეტრიული ნიშაა, ხოლო შუაში გაჭრილია სარკმელი. დარბაზი საკურთხევლისაგან გამოყოფილია მცირე მხრებით. სატრიუმფო თაღი შეისრული ფორმისაა. ჩრდილოეთის კედელში შეიმჩნევა კანკელის ჰორიზონტალური ძელის ბუდე. შესასვლელი სამხრეთიდან ყოფილა.

ფასადებზე საპირე ქვები ნაწილობრივ ჩამოცვენილია.

ეკლესია გარშემოვლებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული, ოვალური გეგმის გალავნით, რომელიც რიყის ლოდებითაა ნაგები. გალავნის დასავლეთ ნაწილში შეიმჩნევა სათავსების კვალი, რომელთა გეგმა ამჟამად არ იკითხება.

ძეგლი დაზიანებულია. ჩრდილოეთის კედელი და კამარა ჩამოქცეულია, შემორჩენილია საკურთხევლის ნაწილი კონქითურთ, მორღვეულია აღმოსავლეთის სარკმლის საპირე ქვა.

დ. ახალგორი

"კვირაცხოვლის" ეკლესია

შუა საუკუნეები

ნანგრევებად ქცეული, მცირე ზომის დარბაზული ეკლესია მდებარეობს ახალგორის აღმოსავლეთით 2,5-3 კმ. ნასოფლარ "ფიჭვნარის" თავზე ჩრდილოეთის მიმართულებით. შემორჩა მისი ჩრდილოეთი კედელი კამარის ქუსლის დონეზე და აღმოსავლეთი კედელი სარკმლით, აბსიდის კონქის გარეშე. სამშენებლო მასალად გამოყენებულია საშუალო ზომის რიყის ქვა.



გეგმა

ეკლესიის ჩრდილოეთით გალავნის კედლის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

დ. ახალგორი

წითელი ხატის ნიში (მემორიალური ქვა)

XIX-XX სს.

ძეგლი შეიძლება დაკავშირებული იყოს "წითელი ხატის" ორ ეკლესიასთან, რომლებიც ქსნის სათავესთან მდებარეობს.

ახალგორიდან ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ, ნასოფლარების - ფიჭვ-

ნარისა და კოდის გამყოფ ქედზე დგას მცირე ზომის ნიში (60 სმ.X 30 სმ). მსხლისებრი მოყვანილობის ქვის ფილაზე ამოკაწრულია მხედრული წარწერა ოთხ სტრიქონად, რომელიც ასე იკითხება:

"ეს ნიშია წი
თელი ხატის
ნიშის შაგვ
ეწიოს".

დ. ახალგორი, სასაფლაოზე

კვირაცხოვლის ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილია სამხრეთი კედელი, რომლის სიმაღლე 1,5 მეტრს აღწევს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ყორექვა. ძეგლი ამოვსებულია მიწით. ამოსულია დიდი ზომის მცენარეები. ეკლესიის გარშემო ტერიტორიაზე შემორჩენილია ძველი საფლავის ქვები.

სოფ. ახალდაბა

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

თაღ-კამარა ჩამოქცეული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია რიყის ქვა.

დარბაზული ეკლესია გეგმით არაწესიერი სწორკუთხედია, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომელიც დარბაზისაგან გამოიყოფა მცირე მხრებით. ნაგებობის კედლები შემორჩენილია 2 მ., სიმაღლეზე სხვაგან უფრო ნაკლებია.

შესასვლელი სამხრეთის კედელშია გაჭრილი.

სოფ. ახმაჯი, სასაფლაოზე

"ღვთისმშობლის" ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით აქვს ნახევარწრიული, შვერილი აბსიდი, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში დგას ტრაპეზის ქვა. აბსიდის ჩრდილოეთ მხარეს ერთი თაღოვანი ნიშაა. კონქი სფერულია. აბსიდის იატაკი მოპირკეთებულია ოთხკუთხა ქვის ფილებით. საკურთხევლის წინ ერთსაფეხურიანი სოლეაა.



გეგმა

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრული ფორმისაა. დასავლეთის საბრჯენი თაღი კუთხის პილასტრს ეყრდნობა. დარბაზი განათებულია ჩრდილოეთის თაღოვანი სარკმლით. ამავე კედელშია გაჭრილი არქიტრავული შესასვლელი, რომლის თავზე ჩასმულ ფილაზე ტოლმკლავა ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა.

ეკლესიას დასავლეთიდან მიშენებული აქვს სამრეკლო. სამრეკლოს პირველი სართული წარმოადგენს ოთხკუთხა მასიური სვეტებით გახსნილ სივრცეს. მისი ნახევარწრიული თაღები მრგვალ სვეტებს ეყრდნობა. თაღები და სვეტები შირიმის ქვითაა ამოყვანილი.

ეკლესიის შელესილი ფასადები დაზიანებულია. კარნიზი მარტივპროფილიანია. საბურავად გამოყენებულია კრამიტი, რომელიც ბევრგან აყრილია.

სოფ. ახმაჯი

კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები

სოფლიდან დასავლეთით 1 კმ-ზე, მთაში დგას მრგვალი კოშკი, ფლეთილი და რიყის ქვით ნაგები.

აღმოსავლეთი კედელი მთლიანად ჩამონგრეულია. ჩრდილოეთი კედელი შემორჩენილია სამი სართულის დონეზე, კედლის მესამე სართულზე ორი თაღოვანი სათოფური და ერთი თაღოვანი სარკმელია.

კოშკი დანგრეულია აფეთქების შედეგად. გეგმის აზომვა არ ხერხდება.

სოფ. ახმაჯი, ადგილი "ნაკალაურები"

ეკლესია "ნიკოს საყდარი"

შუა საუკუნეები



გეგმა

დარბაზული ეკლესია ნაგებია შირიმის კვადრების სწორხაზოვანი წყობით.

ეკლესია გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთით დასრულებული ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. აბსიდის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს თითო ნიშაა. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

დარბაზიდან გადის გვირაბი, რომელიც დაბლა, ხევში ჩადის. იატაკი მიწაყრილია.

ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი. არქიტრავის ქვაზე ორმაგ ლილვში ჩასმული ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. დანარჩენი ფასადები სადაა.

სოფ. ახმაჯი

"ღვთისმშობლის" ეკლესია

გარდამავალი ხანა

ნასოფლარ ღუჭაანში მდებარე ეკლესია ფლეთილი და რიყის ქვითაა ნაგები. დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია ასევე სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ძირში დგას მასიური ტრაპეზის ქვა. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო არქიტრავული ნიშაა. შებრტყელებული ფორმის კონქზე გადასვლა განხორციელებულია ოდნავ შეისრული ტრომპებით. სატრიუმფო თაღი საკურთხევლის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ შემორჩენილია ქვის კანკელის ფრაგმენტები. ეკლესიის კამარა ეყრდნობა შეისრული ფორმის თაღს, რომელსაც მარტივი ფორმის კაპიტელი იკავებს. ჩრდილოეთ კედელთან შემორჩენილია ხარისხის მცირე ნაწილი.

არქიტრავული შესასვლელები ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებშია გაჭრილი. სამხრეთით ერთი სწორკუთხა სარკმელია.

ეკლესიას სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან აქვს მინაშენები. სამხრეთი მინაშენი გეგმით მართკუთხაა. კედლები შემორჩენილია 50-60 სმ-ზე. მინაშენი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.

ჩრდილოეთი მინაშენი გეგმით მართკუთხედია, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდი. დასავლეთი კედელი მთლიანად ჩამონგრეულია.

დ. ახალგორი, სოფ. ბალაანი

"ცეცხლიჯვროსას" კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები

გეგმით ოთხკუთხა კოშკი ფლეთილი და რიყის ქვითაა ნაგები. კოშკი სამსართულიანია. აქვს სხვენი და ორფერდა გადახურვა. ყველა სართულზე სარკმელი და სათოფურია. არქიტრავული კარი გაჭრილია სამხრეთით. მეორე სართულზე შემორჩა რამდენიმე სართულშუა გადახურვის კოჭი. ჩრდილოეთ კედელში მოწყობილია ბუხარი.



გეგმა

სოფ. ბალაანი

ეკლესია "წმ. გიორგი"

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

სასაფლაოზე მდებარე ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია დიდი ზომის ფიქალი.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით აქვს სწორკუთხა საკურთხეველი, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. სარკმლის თავზე კიდევ ერთი სარკმელია. საკურთხევლის ცენტრში და ჩრდილოეთით ტრაპეზის ქვა დგას. სამხრეთით და ჩრდილოეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. საკურთხევლის წინ ერთსაფეხურიანი სოლეა და კანკელის შემორჩენილი ფრაგმენტებია. იატაკზე დაგებულია დიდი ზომის ფიქალი.

ეკლესიას დასავლეთიდან მიშენებული აქვს გვიანდელი კარიბჭე - სამრეკლო. კარიბჭე ფლეთილი ქვითაა ნაგები. სამრეკლო ღია ფანჩატურს წარმოადგენს. იგი მთლიანად ნაგებია შირიმის ქვით.

ეკლესიის საბურავად გამოყენებულია ფიქალი.

ძეგლს გარშემო მშრალი წყობის გალავანი შემოუყვება. შესასვლელი სამხრეთიდანაა დატანებული.

სოფ. ბალაანი, ადგილი "ძაბუეთი"

ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

სოფლის სასაფლაოზე დგას დარბაზული, გეგმით მართკუთხა მოხაზულობის ეკლესია. აღმოსავლეთით აქვს სწორკუთხა საკურთხეველი, რომლის ცენტრში გაჭრილია შეისრულთაღიანი სარკმელი. მის ორსავე მხარეს არქიტრავული ნიშებია. სარკმლის ძირში დგას ტრაპეზის ქვა, ასეთივე ქვაა საკურთხევლის წინ. კონქი სფერული ფორმისაა.

ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში ერთი სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი.



გეგმა

დასავლეთის კედელს მიუყვება კამარის საბრჯენი თაღი. კამარა ოდნავ შეისრულია. დარბაზს შემოუყვება ერთსაფეხურიანი ხარისხი. ეკლესია ნათდება აღმოსავლეთის და დასავლეთის თაღოვანი სარკმლებით. სამხრეთ კედელში მოწყობილია არქიტრავული შესასვლელი.

ეკლესიის კარნიზი მარტივპროფილიანია, საბურავად გამოყენებულია დიდი ზომის ფიქალი. სახურავის ცენტრში აღმართულია ქვაჯვარა.

ეკლესიას სამხრეთიდან მინაშენები ჰქონდა, საიდანაც შემორჩენილია სამხრეთ-დასავლეთი კუთხე.

ძეგლს გარშემო გალავანი შემოუყვება.

სოფ. ბალაანი

ციხის კომპლექსი, ეკლესია, კოშკი

შუა საუკუნეები

სოფ. ძაბუეთი მდებარეობს მდ. ქსნის სათავეებთან, მის მარჯვენა მხარეს. აქ ქსანს მარჯვნიდან ერთვის პატარა მდინარე, რომელიც ზემოთ ორად იყოფა. ამ კონცხზეა ციხის ნანგრევი, რომელიც შედგებოდა ეკლესიის, კოშკის, გალავნისა და სხვა ნაგებობებისაგან.

მცირე ზომის დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები და გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია ასევე სწორკუთხა სარკმელი.

ჩრდილოეთით შემორჩენილია შესასვლელი, რომლის ფორმის დადგენა დაზიანების გამო შეუძლებელია. კედლები შემორჩენილია 2-3 მეტრის დონეზე.

ზურგიანი კოშკი ხუთი სართულის დონეზე, ნაგებია რიყის ქვით. პირველი სართული ამოვსებულია მიწით და ქვით. შესასვლელი მეორე სარ-

თულის აღმოსავლეთის კედელშია მოთავსებული. მესამე და მეოთხე სართულებზე სარკმელები ერთ ღერძზეა განლაგებული. მეხუთე სართული ნაწილობრივ ჩამონგრეულია.

კოშკიც და ეკლესიაც სერიოზულად არის დაზიანებული.

სოფ. ბალაანი, სასაფლაოს ტერიტორია

ღვთისმშობლის ნიში

შუა საუკუნეები

სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვის მშრალ წყობაზე დგას შირიმის ბუნის ქვა, რომელშიც დევს ვიწრო კვადრი. მასზე ჯვრის ზედა მკლავის გამოსახულებაა.

სოფ. ბეჟაანთკარი

წმ. გიორგის ეკლესია

XVI-XVII სს.

ეკლესია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითაა ნაგები. ალაგ-ალაგ გამოყენებულია შირიმის ქვა.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთით აქვს ნახევარწრიული აბსიდი, რომელშიც გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას; ჩრდილოეთით ერთი სწორკუთხა ნიშაა. საკურთხევლის კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ მოწყობილია ქვის კანკელი.

ნახევარცილინდრული კამარის დასავლეთის საბრჯენი თაღი, კუთხის პილასტრებს ეყრდნობა. დარბაზს ხარისხი შემოუყვება. არქიტრავული შესასვლელი ჩრდილოეთ კედელშია გაჭრილი. სამხრეთის კედელზე შემორჩენილია თაღოვანი სარკმლის კვალი.

ძეგლი დაზიანებულია, კამარა და კონქი მრავალ ადგილასაა ჩამონგრეული, აყრილია საპირე ქვა, სახურავზე და კედლებზე მოდებულია მცენარეები. მიწის დონე საგრძნობლადაა აწეული.

სოფ. ბეჟაანთკარი

კვირაცხოვლის ნიში

შუა საუკუნეები

ძველი ეკლესიის ადგილას მოწყობილი სალოცავი ნიში რიყის ქვითაა ნაგები, რომელიც მოგვიანებით შეულესავთ. ნაეკლესიარი შემოღობილია მავთულით.

სოფ. ბოსელთა

ღვთისმშობლის ეკლესია, სასაფლაოზე

შუა საუკუნეები



გეგმა

ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები.

დარბაზული, შვერილაბსიდიანი ეკლესია აღმოსავლეთით დასრულებულია ნალისებრი აბსიდით, რომლის ცენტრში შემორჩენილია სარკმლის კვალი. კედლების სიმაღლე 2-3 მეტრს აღწევს, ზოგან უფრო ნაკლებია.

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთის კედლის დასავლეთ ნაწილშია. ინტერიერში მიწის დონე აწეულია.

ძეგლი დაზიანებულია, კამარა და კონქი ჩამოქცეულია, კედლები დეფორმირებულია. ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა.

სოფ. ბოსელთა, ადგილი "ყოიჯვარი", სასაფლაოზე

წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის დიდი ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით გააჩნია სწორკუთხა საკურთხეველი. ჩრდილოეთ კედელში მოთავსებულია ერთი სწორკუთხა ნიშა. არქიტრავული შესასვლელი დასავლეთის კედელშია გაჭრილი. ამავე კედელში მცირე ზომის სარკმელია.

ეკლესია დაზიანებულია, კედლები შემორჩენილია 1,5-2 მეტრის სიმაღლეზე, გადახურვა ჩამოქცეულია.



გეგმა

სოფ. ბოსელთა, ადგილი "ყოიჯვარი"

მთავარანგელოზის ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ეკლესია იდგა სოფლის ქვემოთ - ქედზე. შემორჩენილია ჩრდილოეთი კედელი 50 სმ. სიმაღლეზე და საკურთხევლის მცირე ნაწილი. დანარჩენი კედლები არ იკითხება. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვა. აქა-იქ ჩანს დუღაბი. ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა.



გეგმის ფრაგმენტი

სოფ. ბოსელთა

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ-ზე მდ. ალეურას ხეობაში მდებარეობს ეკლესია, რომელიც სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები, ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია ფიქალი.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით.

აღმოსავლეთ კედელში მოწყობილია ორი შეისრულთაღიანი, ჩრდილოეთით კი სამი არქიტრავული ნიშა. ასეთივე ნიშებია დასავლეთ კედელში.

სამხრეთ და დასავლეთ კედლებში ვიწრო სარკმლებია მოწყობილი. სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია. ეკლესიის კედლები შემორჩენილია 3-4 მეტრის სიმაღლეზე.

ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა. სავარაუდოა, რომ ეკლესია კოშკის გეგმაზეა აგებული.



გეგმა

ნასოფლარი გავაზი

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

სასაფლაოზე შემორჩენილია მოგრძო პროპორციების მქონე დარბაზული ეკლესია. ძეგლი დანგრეულია და დაფარულია ხშირი ბუჩქნარით, რის გამოც მისი აზომვა ვერ მოხერხდა.

სამშენებლო მასალად გამოყენებული იყო ადგილობრივი წარმოშობის სხვადასხვა ზომის ქვა. აქვეა შირიმის რამოდენიმე კვადრი და ბალავრის ქვა. ნაგებობას შესასვლელი სამხრეთიდან უნდა ჰქონოდა.

აღმოსავლეთ ფრონტონზე შემორჩენილია შირიმის ქვის კარნიზის მცირე ნაწილი. ეკლესია შიგნით და გარეთ გალესილი ყოფილა.

სოფ. გავაზი

ღვთისმშობლის კომპლექსი

შუა საუკუნეები

სოფლიდან დასავლეთით 0,5 კმ-ზე მდებარე კომპლექსი მთლიანად დანგრეულია. არც ერთი ნაგებობის გეგმა არ იკითხება. ქვები იმდენად დაშლილია, რომ რაიმეს თქმა შეუძლებელია. კომპლექსის სახელწოდება "ღვთისმშობელი", უკავშირდება აქვე არსებული ეკლესიის სახელს.

სოფ. გავაზი, ძველ სასაფლაოზე

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

მცირე ზომის დარბაზული, სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესიიდან შემორჩენილია სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე და დასავლეთი კედლის მცირე ნაწილი, სადაც შესასვლელი იყო მოთავსებული. ჩანს ბალავარის ბრტყელი ქვა.

ეკლესიის ტერიტორიაზე ყრია შირიმის ქვა.

სოფ. გავაზი

კვირაცხოვლის ეკლესია

შუა საუკუნეები

ეკლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ-ზე, მდ. ჭურთულას ხეობაში მდებარეობს. ძეგლი ადგილობრივი წარმოშობის ქვითაა ნაგები. კედლები შემორჩენილია 1,5 - 2 მეტრის სიმაღლეზე. აღმოსავლეთით აქვს სწორკუთხა საკურთხევალი.

შესასვლელი სამხრეთ კედელშია მოთავსებული.



გეგმა

სოფ. გარუბანი

ღვთისმშობლის ეკლესია

გარდამავალი ხანა

სოფლიდან აღმოსავლეთით 2 კმ-ზე, ტყეში დგას სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც სხვადასხვა ზომის რიყისა და ფლეთილი ქვითაა ნა-

გები. მარკანტულ ნაწილებზე გამოყენებულია შირიმი.

ეკლესიიდან ყველაზე უკეთ შემორჩენილია ჩრდილოეთი ნავი. აქ აბსიდი ნახევარწრიულია, ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. ცენტრში გაჭრილია სარკმელი. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

ოდნავ შეისრული კამარის საბრჯენი თაღი პილასტრებს ეყრდნობა. პილასტრებს ეყრდნობა აგრეთვე ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლის თაღებიც. დარბაზი მთავარ ეკლესიას არქიტრავული შესასვლელით უკავშირდება. დასავლეთის შესასვლელი ამჟამად ამოშენებულია.

მთავარი ეკლესიიდან შემორჩენილია გრძივი კედლები, დასავლეთი, სამხრეთ-დასავლეთი კუთხე და აბსიდის მოხაზულობის ჩრდილოეთი ნაწილი. მასში მოთავსებულია სწორკუთხა ნიშა.

სამხრეთი ნავი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი.

ეკლესია სერიოზულადაა დაზიანებული. კამარა და კონქი ჩამოქცეულია. თითქმის ყველა კედელი დეფორმირებულია. ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით. მიწის დონე აწეულია.

სოფ. გარუეთი

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

სოფლიდან აღმოსავლეთით 3 კმ., მთაზე მდებარე ეკლესია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითაა ნაგები. ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია ფლეთილი ქვაც.

დარბაზული ეკლესია გეგმით კვადრატს უახლოვდება, აღმოსავლეთით გააჩნია ნახევარწრიული აბსიდი, რომლის ცენტრში გაჭრილია შიგნით თაღოვანი - გარედან არქიტრავული სარკმელი. სარკმლის ძირში დგას ტრაპეზის ქვა. სამხრეთით და ჩრდილოეთით თითო ნიშაა. კონქი სფერულია, მისი დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მცირე მხრებით. საკურთხევლის წინ შემორჩენილია კანკელის მარცხენა ნაწი-

ლი. აბსიდის ხარისხი მისსავე მოხაზულობას იმეორებს.

ეკლესიის სამხრეთი კედელი თითქმის ჩამონგრეულია. შეისრული კამარის მხოლოდ ჩრდილოეთი მხარეა შემორჩენილი. ჩრდილოეთ და დასავლეთ კედელს ხარისხი გასდევს. ამავე კედლებშია გაჭრილი სწორკუთხა სარკმლები. ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით. შესასვლელის კვალი არ ჩანს.

ჩრდილოეთის ფასადზე შემორჩენილია მარტივპროფილიანი შირიმის კარნიზი.

სოფ. გდუ, "საფერშეთი"-ს ხეობა

სამების ეკლესია

IX-X საუკუნეები



გეგმა

სასაფლაოზე მდებარე ეკლესია დიდი ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთით აქვს ნახევარწრიული აბსიდი, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სამხრეთით ერთი სწორკუთხა ნიშაა. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი შირიმის კაპიტელებს ეყრდნობა, კაპიტელებს თაროლავგარდანის ფორმა აქვს. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით.

ეკლესიის გრძივი კედლები პილასტრების მეშვეობით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრები სრულდება კაპიტელებით, რომელსაც კამარის საბრჯენი თაღები ეყრდნობოდა. კამარა ამჟამად ჩამონგრეულია.

სამხრეთ კედელში მოთავსებულია დიდი ზომის თაღოვანი ნიშა. იმის გამო, რომ ინტერიერში მიწის დონე საგრძნობლადაა აწეული, სამხრეთი შესასვლელი თაღის მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩა. დასავლეთ კედელზე სარკმლის კვალი შეინიშნება.

ჩრდილოეთ კედელში, აბსიდის მხართან მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. ამავე კედელში გაჭრილია შიგნით თაღოვანი - გარეთ

არქიტრავული შესასვლელი, რომელიც მინაშენს უკავშირდება. მინაშენი გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, მის აღმოსავლეთ კედელში სარკმელია მოთავსებული, ხოლო სამხრეთით ერთი ნიშა. მინაშენის კედლების სიმაღლე 1,5-2 მეტრს აღწევს.

ეკლესიას ასეთივე მინაშენი სამხრეთიდანაც ჰქონდა. მინაშენის კედლები თითქმის ჩამონგრეულია. იკითხება მხოლოდ გეგმა, რომელიც ასევე სწორკუთხაა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაში მიწის დონე აწეულია, ინტერიერი მაინც აზიდულია.

ირგვლივ ტერიტორია ჩახერგილია ჩამონაშალი ქვით. ეკლესია დაზიანებულია.

სოფ. გდუ, "საფერშეთი"-ს ხეობა

წმ. გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

მდ. ალეურას ხეობაში მდებარე დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია.

ეკლესია გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული ფორმის აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით დიდი ზომის თითო ნიშაა, რომელთაც გეგმაში ნახევარწრიული ფორმა აქვს. სფერული კონქი გადაყვანილია შირიმის ქვის რადიალური რიგებით. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

გრძივი კედლები ფართე პილასტრების საშუალებით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრებს ეყრდნობა შეისრული კამარის საბრჯენი თაღი, დასავლეთი თაღი კი კუთხის პილასტრს ებჯინება. დარბაზი განათებულია სამხრეთით ორი, დასავლეთით ერთი, ხოლო ჩრდილოეთით -

ორი სწორკუთხა სარკმლით. აქედან ჩრდილოეთის და სამხრეთის თითო სარკმელი ამოშენებულია.

დასავლეთ კედელში მოწყობილი შესასვლელი შიგნით არქიტრავული, გარეთ კი თაღოვანია.

ეკლესიის დასავლეთ ფასადზე სარკმლის ზემოთ წყობაში ჩაძირული ჯვრის გამოსახულებაა. კარნიზი მარტივპროფილიანია.

ძეგლის საბურავი აყრილია, სარკმლები დაზიანებული.

სოფ. გდულეთი

ღვთისმშობლის ეკლესია

ადრეული შუა საუკუნეები



გეგმა

გდულეთის "ღვთისმშობელი" საშუალო ზომის დარბაზული ეკლესიაა შვერილწახნაგოვანი აბსიდით. ძეგლი რიყის, ფლეთილი და შირიმის ქვითაა ნაგები. ეკლესიის კამარა და კონქი ჩაქცეულია. აბსიდი ოდნავ ნალისებრი მოხაზულობისაა. საკურთხეველში სამი სარკმელია გაჭრილი. ადგილობრივ მოსახლეობას დაწყებული აქვს რემონტი, რამაც დაამახინჯა ძეგლის თავდაპირველი სახე. ჩრდილოეთის კედელში ჩატანებულია დიდი ზომის ქვიშაქვა, რომელზეც ასომთავრული წარწერაა (წაკითხვა არ ხერხდება ძლიერი დაზიანების გამო). სამხრეთის კედელში ჩატანებულია, რამდენიმე ქვა ადრექრისტიანული ხანის ორნამენტებით.

სოფ. გეზევრეთი

წმინდა გიორგის მონასტერი

გარდამავალი ხანა

მონასტერი სოფლიდან აღმოსავლეთით 800 მეტრში, დაბურულ ტყეში მდებარეობს. კომპლექსს შემოვლებული აქვს ქვის მშრალი წყობით

ნაგები გალავანი, რომელიც თავდაცვითი ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. სამხრეთ-დასავლეთის არქიტრავული შესასვლელი გადახურულია ხის სამი ძელით. მოგვიანებით კარს პრიმიტიული კარიბჭე მიაშენეს, სადაც შირიმის პროფილირებული ტრაპეზის ქვა დადგეს. გალავანი გეგმით ოვალურია. კედლების სიმაღლე შემორჩა 1-3 მ.



გეგმა

გალავნის შიგნით ორი ეკლესიაა.

პირველი ეკლესია ყველაზე დიდია მონასტერში, რომელსაც გრძივ კედლებზე მინაშენები აქვს. ეკლესიის ინტერიერი მაღალია. კედლებზე შემორჩა შელესილობის კვალი. სწორკუთხა საკურთხეველში დგას ტრაპეზის მასიური ქვა. დარბაზში რამდენიმე ნიშაა.

გარედან ეკლესია სადაა. სახურავი ახდილია. ჩანს შირიმის ლავგარდნის ერთი არაპროფილირებული ფრაგმენტი. ეკლესიას სამხრეთიდან მიდგმული აქვს ეკვდერი, რომელიც ეკლესიის გადახურვის კალთაშია მოქცეული. კამარის ჩრდილოეთი საბრჯენებიც ეკლესიის კედელს ეყრდნობა. თაღედი შირიმისაა. კამარა ჩამოქცეულია, რომელიც გადახურული ყოფილა დიდი ზომის ფილაქვით. საკურთხეველი ბრტყელია, მიდგმულია ტრაპეზის ქვა. ეკლესიასა და ეკვდერს დასავლეთიდან სტოა ჰქონდა, მოგვიანებით გადაკეთებული, ჩაშენებული, დახშული ერთი გასასვლელით. გასასვლელიც თავისებურია. თაღი გამოყვანილია დიდი ზომის შირიმის სოლისებრი ქვებით.

მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთ მინაშენში ბევრია შირიმის თლილი კვადრი და შირიმისავე თაღის ქვა. მოგვიანებით შესასვლელი ამოუშენებიათ.

მეორე ეკლესია ორსართულიანია, სწორი საკურთხევლით. სარკმელი მხოლოდ დასავლეთ კედელშია. მეორე სართულის დონე შემორჩენილია კეხამდე. ნაგებობას შემოუყვება შირიმის ლავგარდანი (შესაძლოა, სხვა პერიოდის). თავიდან, როგორც ჩანს, არსებობდა ეკლესიის პირველი სართულის დონე, ხოლო შემდეგ მეორე დააშენეს, როგორც სამალავი. გარედან კედლებს ამჩნევია ნალესობის კვალი.

ეკლესიის სამხრეთით მიშენებულია სატრაპეზო - სწორკუთხა გეგმის, დიდი ზომის ნაგებობა. კამარა ჩამოქცეულია, დეფორმირებული კედლები შემორჩა 3-3,5 მ. სიმაღლეზე.

კომპლექსის ჩრდილოეთ კიდეში ორსართულიანი პალატია. მისი პირველი სართული დახშულია. სამხრეთით შემორჩა თაღოვანი შესასვლელი ლუნეტით. კამარისგან შემორჩა ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი და მეორე სართულის კედლის რამდენიმე ფრაგმენტი. პალატი შიგნიდან და გარედან გალესილი ყოფილა. მთელი კომპლექსი ფლეთილი ქვითაა ნაგები.

სოფ. გეზევრეთი

ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ძეგლი მდებარეობს სოფ. გეზევრეთის სასაფლაოზე, სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით ასიოდე მეტრში, მთის მოშიშვლებულ ფერდობზე.

დარბაზული ეკლესია მთლიანად დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთი კედლის წყობის პირველი რიგი, რომელიც ნაწილობრივ დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებზეც გრძელდება. აღმოსავლეთი კედლის წყობიდან გამომდინარე, ეკლესიას სწორკუთხა საკურთხეველი უნდა ჰქონოდა. საკურთხეველში შემორჩენილია შირიმის ბუნის ქვა. ეკლესიის გარშემო განლაგებულია XIX-XX საუკუნეების საფლავის ქვები მხედრული წარწერებით. აქა-იქ მიმობნეულია დანგრეული ეკლესიის ქვები და შირიმის რამდენიმე კვადრი.

სოფ. გუდითა

კლდეში ნაკვეთი ღვთისმშობლის მონასტერი

შუა საუკუნეები

სოფლიდან აღმოსავლეთით ტყიან ადგილას არის კლდეში ნაკვეთი მონასტერი. გამოქვაბული 50 მ სიგრძისაა და 10-15 მ სიმაღლის. სამონასტრო კომპლექსი თითქმის დანგრეულია. გადარჩენილია მხოლოდ მის სამხრეთ ნაწილში მოქცეული ეკლესიის ნანგრევი - საკურთხეველი და

კედლის რამდენიმე ფრაგმენტი. კედლები ამოშენებულია რიყის, ფლეთილი, შირიმისა და სხვადასხვა ფერის ტუფის ქვით. ეკლესიის სამხრეთ კედელში გამოჭრილია სამი თაღოვანი ნიშა და ამდენივე წრიული ღრმული, ალბათ დარბაზის აკუსტიკისათვის. ეკლესიის საკურთხეველში დგას ტრაპეზის ქვა. აბსიდის რკალს შემოუყვება ხარისხი.

სოფ. დაბაკნეთი

ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის უხეშად თლილი ქვითაა ნაგები. ფასადები შელესილი ყოფილა.

დარბაზი გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთით დასრულებული სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. სარკმლის ძირში და ჩრდილოეთ კუთხეში ტრაპეზის თითო ქვა დგას. ჩრდილოეთით და სამხრეთით მოწყობილია ნიშები. საკურთხევლის იატაკი დარბაზისაგან გამოყოფილია ერთსაფეხურიანი სოლეით. აბსიდის კონქი სფერულია.

ცილინდრულ კამარას ნახევარწრიული საბრჯენი თაღი აქვს. დასავლეთის კედელში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი; სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია. იატაკზე დაგებულია ქვის ფილები.

ეკლესიის ორქანობა სახურავის დასავლეთ კეხზე დადგმულია ოთხ სვეტზე შემდგარი სამრეკლო, რომელიც გადახურულია წახნაგოვანი სახურავით.

ეკლესიას გარს შემოუყვება მშრალი წყობის გალავანი.

სოფ. დაბაკნეთი

ეკლესია

გარდამავალი ხანა



გეგმა

ეკლესია დგას მთის ფერდზე და გადაჰყურებს ცხრაზმის ხეობას.

ნაგებობა დარბაზული ტიპისაა, ჩრდილოეთიდან თანადროული კარიბჭით. დარბაზი აღმოსავლეთიდან სრულდება სწორკუთხა საკურთხევლით, რომელშიც გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში დგას მასიური ტრაპეზის ქვა, რომლის ფრონტონზე გამოჭრილია ნიშა. სამხრეთ კედელში თაღოვანი ნიშაა. ოდნავ შებრტყელებულ კონქზე გადასვლა ხდება ტრომპების საშუალებით. ინტერიერის მთელ პერიმეტრს ხარისხი შემოუყვება.

ცილინდრული კამარა ეყრდნობა ნახევარწრიულ თაღს. ეკლესია ნათდება დასავლეთის და სამხრეთის არქიტრავული სარკმლებით.

ჩრდილოეთის შესასვლელი არქიტრავულია. შესასვლელის წინ მცირე ზომის, მართკუთხა კარიბჭეა.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა.

სოფ. დაბაკნეთი, მიდამოები

ყველაწმინდის ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილია საკურთხევლის მცირე ნაწილი, რომელიც მიწითაა დაფარული; სამშენებლო მასალად გამოყენებული იყო სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვა.

სამხრეთიდან კარიბჭის ნაშთი შეინიშნება.

სოფ. დაბაკნეთი

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

დარბაზული ტიპის ეკლესიას აღმოსავლეთიდან სწორკუთხა საკურთხეველი აქვს. საკურთხეველში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი, რომლის ჩრდილოეთით სწორკუთხა ნიშაა.

სამხრეთ კედელში ჩანს შესასვლელის კვალი. ეკლესიის კედლები შემორჩენილია 1 მეტრის სიმაღლეზე, სხვაგან უფრო ნაკლებია. ნაგებია ადგილობრივი წარმოშობის თლილი ქვით. ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.

ეკლესიას სამხრეთიდან მინაშენი ჰქონდა. მინაშენის მხოლოდ დასავლეთი კედლის მცირე ნაწილია შემორჩენილი.

სოფ. დაბაკნეთი

ზურგიანი კოშკი

IX-X სს.



გეგმა

კოშკი სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები.

ძეგლი შემორჩენილია სამი სართულის დონეზე. აქედან მესამე სართულის მცირე ნაწილია გადარჩენილი, ხოლო პირველი სართული ამოვსებულია მიწით. კოშკის ზურგი ჩრდილოეთისკენაა მიმართული. არქიტრავული შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთ კედელშია გაჭრილი. შესასვლელის თავზე სათოფურია მოწყობილი. დასავლეთი კედელი მიწის პირამდეა ჩამონგრეული.

სოფ. დაბაკნეთი

ამაღლების სამონასტრო კომპლექსი

შუა საუკუნეები

კომპლექსიდან შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობის ნანგრევები. მათი გეგმის დადგენა გაწმენდის გარეშე შეუძლებელია. აღმოსავლეთის კედელზე დევს შირიმის ქვისგან გამოთლილი სარკმლის სათაური.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა.

სოფ. დაბაკნეთი

წმინდა მარიამის ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

ნანგრევებად ქცეული ეკლესიიდან შემორჩენილია დასავლეთი კედელი, რომელშიც გაჭრილია არქიტრავული სარკმელი.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა.

სოფ. დადიანეთი

წმინდა გიორგის სამონასტრო კომპლექსი

განვითარებული შუა საუკუნეები

კომპლექსი მოიცავს დიდ ტერიტორიას და შედგება შემდეგი ნაგებობებისგან: ეკლესია, სამრეკლო, სასახლის ნანგრევი, სენაკები და გალავანი.

ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის, უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. საფასადო წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია შეისრულთაღიანი, მაღალი სარკმელი - საფეხურებით. სარკმლის ძირში დგას ტრაპეზის ქვა, რომელიც შედგება შეწყვილებული თაღედისაგან, რომლებიც მრგვალ სვეტებს ეყრდნობა. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. კონქი სფერულია, სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებ-

ში იძირება. მხრებში შემორჩენილია კანკელის ბუდეები.

ეკლესიის გრძივი კედლები პილასტრებით ორ არათანაბარ მონაკვეთად იყოფა. ცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი პილასტრების მარტივპროფილიან კაპიტელებს ეყრდნობა. დასავლეთის თაღი კრონშტეინებს ებჯინება. გრძივი კედლები დანაწევრებულია შეისრული თაღედით. დარბაზს სამივე მხარეს ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს.



გეგმა

ეკლესია ნათდება აღმოსავლეთის და დასავლეთის შეისრულთაღიანი, ხოლო სამხრეთის სწორკუთხა სარკმლებით.

ჩრდილოეთი შესასვლელი არქიტრავულია, კარი ნაოთხალია. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ფრესკების დიდი ნაწილი ჩამორეცხილია.

ჩრდილოეთიდან ეკლესიას გეგმით, ორი სათავსისაგან შემდგარი სწორკუთხა მინაშენი აქვს, რომლებიც ერთმანეთს არქიტრავული შესასვლელით უკავშირდება. მინაშენს აღმოსავლეთით და დასავლეთით სწორკუთხა სარკმლები აქვს. ნაოთხალი კარი ჩრდილოეთ კედელშია გაჭრილი.

ეკლესიას სადა ფასადები აქვს, კარნიზი მარტივპროფილიანია. საბურავად გამოყენებულია დიდი ზომის ფიქალი, რომელიც ამჟამად მრავალ ადგილასაა ჩამოცვენილი.

ეკლესიის ჩრდილოეთით 10 მეტრში, ორი სართულის დონეზე შემორჩენილია სასახლის ნანგრევი; ნაგებობა დიდი დარბაზისაგან შედგება. პირველი სართულის ოთხივე კედელში მოწყობილია ნიშები. მოჩანს სართულშუა გადახურვის კოჭის ბუდეები. სამშენებლო მასალად გამოყენებულია უხეშად თლილი ქვა.

ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით 5 მეტრში დგას მაღალი სამრეკლო, მისი პირველი სართული მთლიანად ამოვსებულია თავისივე ჩამონაშალი ქვით. მეორე სართულიდან შემორჩენილია ორი მასიური ოთხკუთხა სვეტი.

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაგებობის ნანგრევია, რომელსაც აღმოსავლეთით ნახევარწრიული მოხაზულობა აქვს. შესაძლოა ნაგებობა ეკლესია ყოფილიყო.

კომპლექსს გარშემო მაღალი გალავანი შემოუყვება. გალავანს შესასვლელი აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებში აქვს. აქედან დასავლეთის კედელს თავისი კარიბჭე ჰქონდა. კარიბჭიდან მცირე ნაწილია გადარჩენილი.

კომპლექსის ღერძი ვითარდება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

სოფ. დადიანეთი

ზურგიანი კოშკი

IX-X სს.



გეგმა

მდ. დადიანურას მარჯვენა ნაპირზე გაშენებულ კოშკს, სტრატეგიულად მომგებიანი პოზიცია უჭირავს.

აქედან კარგად მოჩანს ახლომდებარე სოფლები და გზები. კოშკს ზურგი ჩრდილოეთით აქვს მიმართული, სამხრეთი მხარე კი ხევისკენ არის მოქცეული. ნაგებობა შემორჩენილია ხუთი სართულის დონეზე.

არქიტრავული შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთ კედელშია გაჭრილი. შესასვლელის ღერძზე ყველა სართულში სათოფურია მოწყობილი. სამშენებლო მასალად გამოყენებულია უხეშად დამუშავებული, ადგილობრივი წარმოშობის ქვა. ზემო სართულის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. გარშემო მიწის დონე აწეულია.

სოფ. დადიანეთი

სამეგის ეკლესია

გარდამავალი ხანა



გეგმა

"წინდადიანეთის" სასაფლაოზე მდებარე ეკლესია კარგად დამუშავებული ქვითაა ნაგები. ნაგებობას სამხრეთით მინაშენი აქვს. დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდითაა დასრულებული, რომლის ცენტრში გაჭრილია შიგნით სწორკუთხა, გარეთ კი თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში დგას ტრაპეზის ქვა. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. აბსიდის იატაკის დონე დარბაზთან შედარებით, ერთი საფეხურით მაღალია.

ეკლესიის კამარა ცილინდრულია. ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ კედლებს ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს. დასავლეთ კედლის ზედა ნაწილში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სამხრეთის არქიტრავულ შესასვლელს ნაოთხალები აქვს. იატაკი მინაყრილია.

ეკლესიის სამხრეთ მინაშენს კამაროვანი გადახურვა აქვს. აღმოსავლეთ კედელში სარკმლის ადგილას გაჭრეს არქიტრავული კარი. შესასვლელის წინ თაღოვანი კარიბჭეა. სამხრეთი შესასვლელი ამოქოლილია.

ეკლესიის კარნიზი მარტივპროფილიანია. ძეგლის საბურავად გამოყენებულია ფიქალი.

სოფ. დადიანეთი, უბანი "წინდადიანეთი"

კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

კოშკი უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. გეგმით ოთხკუთხა კოშკი შემორჩენილია 6 სართულის დონეზე.

არქიტრავული შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთ კედელშია მოთავსებული. კარი ნაოთხალია. ამავე სართულის დასავლეთ კედელში ბუხარია მოწყობილი, ხოლო აღმოსავლეთ კედელში ერთი სარკმელი და მის გვერდებზე განლაგებული თითო ნიშა.

კოშკის მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სართულის სამხრეთ კედელში თითო ვიწრო სარკმელია. სარკმლები განლაგებულია ერთ ღერძზე.

კოშკის ოთხივე კედელი აღჭურვილია სათოფურებით, გადახურვა ბანურია.

სოფ. დადიანეთი, უბანი "წინდადიანეთი"

ეკლესია

შუა საუკუნეები

სწორკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიიდან შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1-1,5 მეტრს აღწევს. არქიტრავული შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. სამშენებლო მასალად სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვაა გამოყენებული. ეკლესია ჩახერგილია ჩამონაშალი ქვით. გარშემო მიწის დონე აწეულია.

სოფ. დადიანეთი, უბანი"წინდადიანეთი"

ღვთისმშობლის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია ფიქალი.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით აქვს სწორკუთხა საკურთხეველი, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. სამხრეთით ერთი სწორკუთხა ნიშაა.

ეკლესიიდან შემორჩენილია აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი კედლები, რომელთა სიმაღლე 2-2,5 მეტრს აღწევს.

სამხრეთის არქიტრავულ შესასვლელს ნაოთხალები აქვს.

ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.

სოფ. დადიანეთი, უბანი "ხადილაანი"

ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილია დასავლეთი და სამხრეთი კედლის მცირე ფრაგმენტი. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი წარმოშობის დიდი ზომის ფლეთილი ქვა. ინტერიერი მთლიანად ჩახერგილია ჩამონაშალი ქვით.

სოფ. დადიანეთი, უბანი "ხადილაანი"

კოშკისა და ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

კოშკის კედლები შემორჩენილია ფრაგმენტულად. აღმოსავლეთით ჩანს ზურგის მომრგვალება. დასავლეთით ნაოთხალი შესასვლელია. გრძივი კედლების მხოლოდ საძირკველია. კოშკი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.



ეკლესიის გეგმა

იქვეა უაბსიდო ეკლესია, რომლის არქიტრავული შესასვლელი დასავლეთ კედლის სამხრეთ ნაწილშია დატანებული. კა-

მარა ცილინდრულია. ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის უხეშად თლილი ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია.

სოფ. დადიანეთი, უბანი "ხადილაანი"

კვირაცხოვლის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ეკლესია ხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით აქვს ნახევარწრიული აბსიდი. ეკლესიაში მიწის დონე იმდენად აწეულია, რომ სარკმელი არ ჩანს. ჩანს ჩრდილოეთით და სამხრეთით მოწყობილი ნიშების ზედა ნაწილი.

დასავლეთ შესასვლელს ნაოთხალი აქვს. კედლები შემორჩენილია 1,5 მეტრის სიმაღლეზე.

ინტერიერში ჩახერგილია ჩამონაშალი ქვა.

სოფ. დადიანეთი

კოშკის ნანგრევი

შუა საუკუნეები

მდ. დადიანურას მარჯვენა ნაპირას, მთაზე დგას ადგილობრივი წარმოშობის დიდი ზომის ფლეთილი ქვით ნაგები კოშკი.

შემორჩენილია ჩრდილოეთ კედლის ნაწილი დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლეზე.

კოშკის ირგვლივ ყრია ჩამონაშალი ქვა.

სოფ. დადიანეთი, უბანი "შარიაანთ კარი"

ღვთისმშობლის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები, წყობაში დაცულია სწორხაზოვნება.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით ასიმეტრიული ფორმის აბსიდით. მის ცენტრში მდებარე სარკმელი ამოშენებულია. სამხრეთით სწორკუთხა ნიშაა. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით.

ეკლესიის ცილინდრული კამარის მხოლოდ დასავლეთი ნაწილია შემორჩენილი. ჩრდილოეთი შესასვლელი შიგნით არქიტრავული, გარეთ თაღოვანია. კარი ნათხალია. დასავლეთი სარკმლები ერთ ღერძზეა განლაგებული.

ეკლესიას ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მინაშენები აქვს.

ნაგებობის დასავლეთი მინაშენის სამხრეთის კედელში მოთავსებულია სწორკუთხა ნიშები, გადახურვა კამაროვანი ჰქონდა, ჩანს მისი მცირე ნაწილი.

ჩრდილოეთი მინაშენი გეგმით სწორკუთხაა. კედლები შემორჩენილია 1-15 მეტრის სიმაღლეზე. მინაშენში შესასვლელი ჩრდილოეთის კედელშია გაჭრილი.

ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადზე შემორჩენილია მარტივპროფილიანი კარნიზის ფრაგმენტი.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლები მრავალ ადგილას დანგრეულია. მიწის დონე აწეულია. ძეგლის გარშემო ჩამონაშალი ქვის გროვაა.

სოფ. დელკანი

კვირაცხოვლის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებული ნახევარწრიული აბსიდით, ჩრდილოეთით თაღოვანი ნიშაა. სარკმლის კვალი არ ჩანს.

შესასვლელი სამხრეთიდანაა. კარი ნაოთხალია.

ეკლესია ადგილობრივ მოსახლეობას თუნუქით გადაუხურავს. ძეგლი დაკეტილია და მისი აზომვა ვერ მოხერხდა. აღწერა ხდება კედლის ნაპრალიდან.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. გარშემო მიწის დონე აწეულია.

სოფ. დორეთკარი, მდ. ჭურთას ხეობა, სოფლიდან აღმოსავლეთით მაღალ მთაზე

"წინკიბის" ციხის კომპლექსი, წმ. ბარბარეს ეკლესია IX-X საუკუნეები

ნასოფლარ გავაზის ზურგიანი კოშკი IX-X საუკუნეები

ეკლესია გარდამავალი შუა საუკუნეები;

ზურგიანი კოშკი IX-X სს.

წინკიბე მდებარეობს ქსნის მარჯვენა შენაკადზე, ჭურთის წყალზე. მაღალი მთებით შემოზღუდულ ამ ხეობაში სიმაგრისთვის ისეთი მთისწვერი შეურჩევიათ, რომ აქ გამავალი მტერი მას გვერდს ვერ აუვლიდა. მისი მფლობელი, ცხადია, ჭურთის ხევის სტრატეგიული მფლობელიც იყო.



გეგმა

მაღალ მთაზე სოფელ წინკიბეს საკმაოდ დიდი ფართობი ეკავა. ნაგებობები ორ კომპლექსადაა განლაგებული. მაღლა მდებარეობს ნასოფლარი გალავნით და ორი ეკლესიით; ცოტა ქვემოთ კოშკი, ეკლესია და რამოდენიმე სახლის ნანგრევია გალავნით.

ქვედა კომპლექსის ეკლესია წმ. ბარბარეს სახელობისაა. საშუალო ზომის ეკლესია კოშკის აღმოსავლეთით ორ ნაბიჯზე დგას. ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით კოლოფა აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ძირში დგას ფართე ტრაპეზის ქვა. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. კონქი ოდნავ შებრტყელებულია, სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

ეკლესიის კანკელი ორიგინალურია. მისი სამი თაღი არათანაბარია. მათგან ცენტრალური და მარცხენა - გასასვლელებია. თაღების საყრდენებს ნაკვეთილი კონუსისმაგვარი კოლონები წარმოადგენს. ისინი ზემოთ მსხვილი ბალიშებით მთავრდება, ქვემოთ კი კვადრატულ ფილებს ეყრდნობა.


ინტერიერი, საკურთხევლის მოხატულობა ღვთისმშობელი ყრმით

მოგვიანებით, ეკლესიის შიდა კედლები ფრესკული მხატვრობით დაუფარავთ. სამხრეთ კედელზე ასომთავრული წარწერით გამოსახული არიან ქტიტორები, საკურთხეველში ღვთისმშობლის ფრეს-

კაა ყრმით ხელში, ქვედა რეგისტრში წმინდა მამების გამოსახულებაა. აქვეა ასომთავრული წარწერა: "სულსა და ტიმოთეს შეუნდვეს ღმერთმა", კიდევ, "ბერსა აბრამს შეუნდვენ ღმერთმან, ამინ" დასავლეთ კედელზე სცენა "აბანოი", სარკმლის თავზე წარწერაა: "აღვადგინე" ჩრდილოეთ კედელზე: "დედასა მისსა შეუნდვეს ღმერთმან"

ინტერიერი. კანკელის ფრაგმენტი

ეკლესიის გრძივ კედლებს და აბსიდს ხარისხი შემოუყვება. სამხრეთი და დასავლეთი სარკმელი სწორკუთხაა. ჩრდილოეთი შესასვლელი ნაოთხალია.

ეკლესიის მარტივ ფასადებს ამთავრებს სწორკუთხა კარნიზი. საბურავად გამოყენებულია დიდი ზომის ფიქალი.

ეკლესიას ჩრდილოეთიდან გვიანდელი მინაშენი აქვს. მინაშენი ორი სათავსისაგან შედგება და ერთმანეთს არქიტრავული, ნაოთხალი შესასვლელით უკავშირდება. კედლებში მოწყობილია ნიშების რიგი. აღმოსავლეთით კარი და სარკმელია მოთავსებული.

ზურგიანი კოშკის ჩრდილოეთით 200 მეტრში დგას დარბაზული ეკლესია, რომელიც ადგილობრივი წარმოშობის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები.

ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით სიმეტრიული ფორმის აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სამხრეთით ერთი ნიშაა. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით.

დასავლეთ კედელში გაჭრილია სარკმელი. სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია. კარი ნაოთხალია. ეკლესიის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლები მრავალ ადგილას დაბზარულია. ეკლესიაში მიწის დონე აწეულია.

კოშკი სოფელ დორეთკარის ჩრდილოეთით, ნასოფლარ გავაზში დგას.

ზურგიანი კოშკი სწორი კედლით ორიენტირებულია მდინარისაკენ. ნაგებია ადგილობრივი წარმოშობის სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით - დუღაბზე.

პირველი სართული მაღლა იწყება მიწის ზედაპირიდან 3,5 მეტრზე. ამ სართულის იატაკქვეშ უჯრედებად დაყოფილი სარდაფია. ამ მცირე სათავსების კედლები შელესილია და ზემოდან ლორფინებით იფარებოდა. მათ იყენებდნენ როგორც წყლისა და სანოვაგის შესანახად, ისე საბრძოლო მასალებისათვის. სარდაფის ზემოთ ექვსი სართულია. პირველ სართულს მხოლოდ მოზრდილი არქიტრავული კარი აქვს, ზედა სართულებს კი, სარკმლები. მესამე და მეოთხე სართულებს ვიწრო და მაღალი სარკმლები აქვს, მეხუთეს კი განიერი. მეექვსე სართულის ზედა ნაწილი მორღვეულია და არ ჩანს მისი გადაწყვეტა. ხის კოჭოვანი სართულშუა გადახურვა ჩამონგრეულია.

კოშკის კედლების სისქე ზურგის მხარეს თითქმის სამი მეტრია, დანარჩენი სამისა კი, ორ მეტრს უახლოვდება.



საერთო ხედი სამხრეთიდან



სამხრეთი ფასადი

სოფ. დორეთკარი, ადგილი "კუცხოვეთი", სასაფლაოზე

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



ხედი დასავლეთიდან

დარბაზული ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

გეგმით სწორკუთხა მოხაზულობის ეკლესია აღმოსავლეთიდან დასრულებულია ასიმეტრიული ფორმის ღრმა აბსიდით. მისი სარკმლის ორსავე მხარეს თითო ნიშაა დატანებული. აქვე დგას ტრაპეზის ქვა. გრძივ კედლებს ორ არათანაბარ მონაკვეთად ყოფს ერთი წყვილი პილასტრი.

ინტერიერის გადახურვა კამაროვანია. არქიტრავული შესასვლელი დასავლეთიდანაა. განათება ხდება აღმოსავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის სწორკუთხა სარკმლებით.

ეკლესიის ერთადერთ დეკორატიულ მორთულობას წარმოადგენს აღმოსავლეთ სარკმლის თავზე ჩასმული ფილა ჯვრის გამოსახულებით.

ორფერდა სახურავის საბურავად გამოყენებულია ყავარი.

ეკლესიის გარშემო მიწის დონე საგრძნობლად აწეულია.



გეგმა



აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი

სოფ. დორეთკარი, მიდამოები

წმინდა გიორგის ეკლესია

გარდამავალი ხანა



საერთო ხედი

მდ. ჭურთულას ხეობის მაღალი ქედის სერზე, ნასოფლარ კუცხოვეთიდან ჩრდილოეთით, 1,5-2 კმ. ალპურ ზონაში მდებარეობს კუცხოვეთის წმინდა გიორგის ეკლესია.

კუცხოვეთის მიდამოებთან დაკავშირებულია ლეგენდა დევის შესახებ. არის სხვა ლეგენდაც: აშენებისას ამ ეკლესიას ორი ხეობა იჩემებდა დორეთკარისა და ქარჩოხისა; პაექრობაში პირველს გაუმარჯვია და კარიც ამ ხეობის მხარეს გაუჭრიათ.



ინტერიერი, საკურთხევლის ფრაგმენტი

კომპლექსის ნაგებობათა მშენებლობისთვის გამოყენებულია ადგილობრივი ფლეთილი ქვა. აღსანიშნავია შირიმის კარგად გათლილი ქვები, რომლებიც გამოყენებულია ეკლესიის სარკმლის საპირეებად და სატრიუმფო თაღში. ეკლესია მცირე ზომის დარბა-



გეგმა

ზული ნაგებობაა. იგი მთლიანი კომპლექსის ცენტრია; მის გარშემო განლაგებული იყო სხვადასხვა ნაგებობა, რომელთა თავდაპირველი სახე სერიოზული დაზიანების გამო დღეს ძნელი წარმოსადგენია. დარბაზულ ეკლესიას გვიანდელი მინაშენები აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან.

ეკლესიის კამარა, რადიალურად ჩალაგებული ქვებისგან იყო აწყობილი, რომელშიც გარეული იყო მსხვილი ფრაქციის შემავსებელი. კონქი საკმაოდ ტლანქადაა შესრულებული წვრილი ქვით; ეკლესია შელესილი ყოფილა. შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა. სხვა ნაგებობათა შესახებ გეგმის გამოხაზვის გარდა ვერაფერს აღვნიშნავთ.

სოფ. დორეთკარი, მიდამოები მდ. ჭურთის ხეობა

წმინდა გიორგის ეკლესია

გარდამავალი ხანა

ეკლესია სამხრეთის მოკლე მინაშენით ადგილობრივი წარმოშობის დიდი ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

ხედი სამხრეთ დასავლეთიდან

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით ღრმა აბსიდი ოდნავ შებრტყელებულია. მის ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში დგას ტრაპეზის ქვა. აბსიდის ჩრდილოეთით ერთი, ხოლო სამხრეთით ორი სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. სამხრეთის ერთ-ერთი ნიშა სამალავს წარმოადგენს. საკურთხეველს ხარისხი შემოუყვება. ოდნავ შებრტყელებული კონქი გადაყვანილია ქვის რადიალური რიგებით. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

ეკლესიის გრძივ კედლებზე შემორჩენილია იმპოსტები. სარკმლები მოთავსებულია სამხრეთ და დასავლეთ კედლებში, აქედან დასავლეთისა თაღოვანია.



სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი



გეგმა

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედელშია, კარი ნაოთხალია. ინტერიერში შემორჩენილია ნალესობის კვალი.

ეკლესიის სამხრეთი მინაშენის კედლების სიმაღლე 1-1,5 მეტრს აღწევს. არქიტრავული შესასვლელი აღმოსავლეთ კედელშია გაჭრილი. ფასადები სადაა, კარნიზი მარტივპროფილიანია. საბურავად გამოყენებულია ფიქალი.

ეკლესია სერიოზულადაა დაზიანებული, ჩამოქცეულია კამარა, აყრილია საბურავი.

სოფ. დორეთკარის მიდამოები, ადგილი "აბრამიანი" სოფლის აღმოსავლეთით, სასაფლაოზე

წმინდა გიორგის ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

ნანგრევებად ქცეული მცირე ზომის დარბაზული ეკლესის სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი ჯიშის ფლეთილი ქვა. გეგმით სწორკუთხა ნაგებობა აღმოსავლეთიდან დასრულებულია ასეთივე სწორკუთხა საკურთხევლით. უკეთესად შემორჩენილ დასავლეთ კედელში ერთი სარკმელი და კარია.

ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა. შემორჩენილია XIX საუკუნის საფლავის ქვებიც. უფრო ხშირად გვხვდება ილურიძეების ჯვარი.

საერთო ხედი

სოფ. დორეთკარის მიდამოები, ნასოფლარი ხეტიანი, ბერციხის დაბლა, ქსნის დინებაზე

ნაგებობის ნაშთი

შუა საუკუნეები

საერთო ხედი

ნაგებობის გეგმა არ იკითხება. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1 მეტრს აღწევს, ზოგან უფრო ნაკლებია.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვა.

სერიოზული დაზიანების გამო ნაგებობის სახეობის დადგენა ვერ ხერხდება.

სოფ. დორეთკარის მიდამოები, ადგილი "აბრამიანი"

წმინდა გიორგის ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

საერთო ხედი

მცირე დარბაზული ნაეკლესიარი ნასოფლარ ლევანაანთ კარში მდებარეობს. ძეგლი გაღმა გადაჰყურებს სოფელ მენყერს. ნაშენია ადგილობრივი ჯიშის ფლეთილი ქვით. ეკლესიიდან შემორჩენილია სწორკუთხა საკურთხეველი ცენტრში სარკმლით. წყობა დეფორმირებულია და კედლები გარედან გადახსნილია. სამხრეთით იკითხება მინაშენის კარიბჭის კვალი.

ხოხაანთ კოშკი

ადრე შუა საუკუნეები



საერთო ხედი

მდინარეების ხოხაანთ წყლისა და ჭურთულას შესაყართან, ციცაბოზე აღმართული კოშკი ადგილობრივი ჯიშის ფლეთილი ქვითაა ნაგები. ძეგლი განეკუთვნება ზურგიან კოშკთა ტიპს. ზურგის სისქე 2,2 მეტრია. დღესდღეობით კოშკის 7 სართულის დონე იკითხება. საინტერესოა სართულშუა გადახურვა - კედლების წყობაში პერიმეტრზე კონსოლისებურად ჩატანებული ქვები ისეა ერთმანეთზე დაწყობილი, რომ იქმნება ფილების მშრალი გადახურვა. ასეთი გადახურვა შემორჩა ერთ-ერთ დონეზე, მის ზევით იგივე ჩანს ჭრილში.



ინტერიერის ფრაგმენტი

შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთ სწორხაზოვან კედელშია. იგი ძალიან მაღლაა გაჭრილი. წინ მიდგმული ჰქონდა სუბსტრუქცია, რომლის მხოლოდ ერთი კედელიღა შემორჩა. კოშკი საკმაოდ საინტერესოა და საჭიროებს ყურადღებას.

ამჟამად ძეგლი არასახარბიელო მდგომარეობაშია. სწორედ მისი უკიდურესად ავარიული მდგომარეობის გამო ვერ მოხერხდა დეტალური აღწერა-აზომვა. შენობა შუაზეა გადახსნილი. შემორჩა მხოლოდ ერთი კედელი. მთელი ფერდი მოფენილია სამშენებლო მასალითა და ნაგებობის ნანგრევებით.

სოფ. დორეთკარის მიდამოებსა და ქარჩოხის ხეობის გამყოფ ქედზე, ალპურ ზონაში

წმინდა გიორგის ეკლესიის კომპლექსი

გარდამავალი შუა საუკუნეები



საერთო ხედი

წმინდა გიორგის კომპლექსისათვის ულამაზესი ადგილი შეურჩევიათ. აქედან კარგად ჩანს მყინვარწვერი, ლომისის ხატი, ქარჩოხის და ბევრი სხვა ციხე თუ კოშკი. მთელი კომპლექსი ნაშენია ადგილობრივი ქვით, რომელსაც მეტ-ნაკლებად მიცემული აქვს სწორკუთხოვნება. შემორჩა კირის დულაბი. ძეგლი იმდენად დაზიანებულია, რომ ძნელდება მისი სრულყოფილი აღწერა. ნაგებობათა კედლები 3 მეტრამდეა შემორჩენილი.

კომპლექსის ცენტრალურ ნაგებობას მცირე დარბაზული ეკლესია წარმოადგენს. მისი აბსიდი უხეში ქვის კვალობაზე კოხტად არის ამოყვანილი. კედლები სქელია. შემორჩა სამხრეთი შესასვლელი და აღმოსავლეთი სარკმლის ქვედა ნაწილი. ეკლესიის გარშემოსავლელი გვიანი უნდა იყოს.



კომპლექსის

ყველა ნაგებობა მჭიდროდაა შეჯგუფული ეკლესიის გარშემო. მათგან ჩრდილო-აღმოსავლეთით 10-15 მეტრის მოშორებით წარმოდგენილია სუბსტრუქცია - გალავანი.

კომპლექსის გეგმა

სოფ. ელოიანი, "ელოშვილების" უბანი

ლომისას კომპლექსი, წმინდა გიორგის ეკლესია

VIII-IX საუკუნეები

საერთო ხედი

ლომისას კომპლექსი მდებარეობს მაღალი მთის თხემის უზარმაზარ ტერიტორიაზე; კომპლექსში გაერთიანებულია - ეკლესია, სამრეკლო, კოშკის ნანგრევი და მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა, მათ შორის, გალავნის ფრაგმენტები.

სამრეკლოს ნანგრევი

დარბაზული ეკლესია ნაგებია დიდი ზომის უხეშად დამუშავებული ქვით. გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია მაღალი თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ორივე მხარეს მცირე ზომის წყვილი ნიშაა. სფერულ კონქზე გადასვლა ხდება ტრომპების საშუალებით. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში თითო სწორკუთხა ნიშაა. ნიშების თავზე შეწყვილებული თაღები გადადის. სატრიუმფო თაღი პილასტრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ შვერილი საფეხურებია. საფეხურებში ჩართულია ტრაპეზის ქვა.

ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი ეყრდნობა პილასტრებს და დარბაზის ცენტრალურ ნაწილში აღმართულ ოთხკუთხა სვეტს. დასავლეთ კუთხის პილასტრი ოთხსაფეხურიანია.

ეკლესია ნათდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის თაღოვანი სარ-

კმლებით. სამხრეთის და ჩრდილოეთის არქიტრავული შესასვლელები ნაოთხალია. აქედან ჩრდილოეთის შესასვლელი ამოშენებულია. ინტერიერში შემორჩენილია შელესილობის კვალი.

ეკლესიას სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე მინაშენი აქვს, რომელიც შუა ნაწილში გადატიხრულია. გადახურვა კამაროვანია. დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში სარკმლებია გაჭრილი. მინაშენში არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა. შესასვლელის ნინ სვეტებიანი კარიბჭეა. კარიბჭე გადახურულია კამარით.



გეგმა

ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით დგას ორსართულიანი სამრეკლო. მეორე სართულიდან მხოლოდ ორი სვეტია გადარჩენილი. მთლიანად სამრეკლო შედგება მასიური სვეტებისაგან. ეკლესიის დასავლეთით 100 მეტრში დგას ზურგიანი კოშკის ნანგრევი, კოშკის მხოლოდ პირველი სართულია შემორჩენილი, რომელიც ჩახერგილია ჩამონაშალი ქვით.

ტერიტორიაზე რამდენიმე სათავსის ნანგრევია შემორჩენილი, მაგრამ მათი დანიშნულების გარკვევა განმენდის გარეშე შეუძლებელია.

სოფ. ელოიანის მიდამოები, ნასოფლარი ლომისა

ციხის კომპლექსი

გვიანი შუა საუკუნეები

ნანგრევებად ქცეული კომპლექსიდან ყველაზე უკეთ შემორჩა ფლეთილი ქვით ნაგები კოშკი. დანარჩენი ნაგებობანი ფიქალით ყოფილა აგებული.

ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

კოშკი შემორჩენილია სამი სართულის დონეზე, აქედან პირველი სართული თითქმის მიწითაა ამოვ-



გეგმა



ციხის გალავნის ფრაგმენტი

სებული. ჩრდილოეთი კედელი მთლიანად ჩამონგრეულია. გადარჩენილ სამ კედელზე სათოფურებია. შემონახულია სართულშუა გადახურვის კოჭის ბუდეები, დასავლეთ კედელზე კი ნისკარტა სალოდე. ტერიტორიაზე მრავალი ნაგებობის ნაშთია, რომელთა მნიშვნელობის და სახეობის დადგენა განმენდის გარეშე შეუძლებელია.

აქა-იქ მიმოფანტულია გალავნის ფრაგმენტები.

სოფ. ელოიანის მიდამოები, ნასოფლარი ლომისა

ზურგიანი კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები



ჩრდილოეთი ფასადი

კოშკი ფიქალითა და ადგილობრივი წარმოშობის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები.

კოშკი გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, ზურგი ჩრდილოეთით აქვს. სწორკუთხა შესასვლელი სამხრეთის კედელშია გაჭრილი. კოშკი საბრძოლო დანიშნულებისა არ უნ-

და ყოფილიყო.

ნაგებობა შემორჩენილია ორი სართულის დონეზე. პირველი სართული მიწითაა ამოვსებული, ხოლო მეორე სართულის კედლების სიმაღლე 1 მეტრს აღწევს.

კოშკთან მისასვლელი გზა ჩრდილოეთიდანაა.



გეგმა

სოფ. ელოიანის მიდამოები, ნასოფლარი ლომისა

ლომისას ნიში

გვიანი შუა საუკუნეები

ნასოფლარში, სავარაუდოდ ძველი ეკლესიის ადგილზე დგას უხეშად დამუშავებული ქვით ნაგები ნიში. მისი ჩრდილოეთი ნაწილი მიწაშია ჩაფლული.

აქ დღესაც ამოდიან მომლოცველები.

ნიში. საერთო ხედი

სოფ. ელოიანის მიდამოები, ნასოფლარი ლომისა

ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ეკლესია აგებული იყო დიდი ზომის ფიქალით. კედლები შემორჩენილია ერთი მეტრის სიმაღლეზე, სამხრეთი კედელი მიწის პირზეა დასული.



კედლის ფრაგმენტი

გეგმა

ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია ასევე სწორკუთხა სარკმელი. მისგან მარჯვნივ ნიშაა. შესასვლელის კვალი არ იკითხება.

ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით.

სოფ. ელოიანის მიდამოები, ნასოფლარი ლომისა

აკლდამა I

გვიანი შუა საუკუნეები

აკლდამა სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა. ერთი ვიწრო ღიობი სამხრეთ კედელშია გაჭრილი. გადახურვა ორქანობიანია.



სამხრეთი ფასადი

სოფ. ელოიანის მიდამოები, ნასოფლარი ლომისა

აკლდამა II

გვიანი შუა საუკუნეები



საერთო ხედი

აკლდამა ხვადასხვა ზომის ფიქალითაა ნაგები, აკლდამის ყველა კედელი ყრუა. მინის დონე იმდენად აწეულია, რომ ღიობი არ ჩანს.

სოფ. ელოიანის მიდამოები, ნასოფლარი ლომისა

აკლდამა III

გვიანი შუა საუკუნეები



აღმოსავლეთი ფასადი

აკლდამა მოთეთრო-მოყვითალო ფერის ადგილობრივი წარმოშობის ქვითაა ნაგები. აღმოსავლეთ კედელში მოთავსებულია ღიობი. დასავლეთი მხარე მიწაშია ჩაფლული.

ნაგებობას ბანური გადახურვა აქვს.

სოფ. ელოიანი

ქარჩოხის ციხე

ანსამბლი შუა საუკუნეების. კოშკი VI-VII ს.



საერთო ხედი

ვახუშტის მიხედვით: "ერთვის კსანსა აღმოსავლიდამ ცხრაზმის ევი, გამოსდის ლომისას და ამ ევს ზეით, ჩრდილოთკენ, არს ქარჩოხისა, კსნის პირსა ზედა, ლომისიდამ ჩამოსულსა კლდესა ზედა". ქარჩოხის ციხეს მრა-

ვალი ბრძოლა გადახდენოდა, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე ცნობამ მოაღწია. XIII-XIV სს. მიჯნაზე მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლი დავით VIII მთებს შეეხიზნა. როდესაც მეფემ მის წინააღმდეგ გამოსული შალვა ქსნის ერისთავის დასჯა განიზრახა, მან ამ ხეობაში დიდი ცოდვაც დაატრიალა, მაგრამ ქარჩოხის ციხე ვერ აიღო.



საერთო ხედი

სამხრეთით, ქსნის ხეობის სათავეებში, იმ კონცხზე, რომელსაც ქმნის ქარჩოხისა და "ოხერხევს" ხევები, დგას ქარჩოხის ციხე, რომელიც ქსნის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობებისგან თავისი სიდიდით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ციხე მდებარეობს მდინარის მარცხენა მხარეს, ქსანთან ოხერხევის შეერთების ადგილზე. ციხისათვის ისეთი მაღალი კლდოვანი ადგილია შერჩეული, რომ ყველა მხრიდან მიუდგომელია.

ციხე მრავალფენოვანია. ნანგრევების მიხედვით, რამდენადაც ამის გარკვევა ხერხდება, თავდაპირველად აქ მხოლოდ ზურგიანი კოშკი მდგარა. მოგვიანებით მისთვის სამხრეთით მცირე გალავანი მიუშენებიათ. ამის შემდეგ აუგიათ უფრო დიდი გალავანი, რომელიც კოშკს სამხრეთით და აღმოსავლეთით ესაზღვრება. კოშკის ირგვლივ მეორე გალავნის აგებით, გაჩნდა ციხე, რომელსაც ესაჭიროებოდა საკუთარი ეკლესია. ამ მიზნით კოშკსა და გალავანს შორის ჩააშენეს ეკლესია, შემდეგ იქვე გაჩნდა კარიბჭეც.

ციხის გალავანი და კოშკი

ანსამბლის გალავანი დღემდე ოთხი მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი, კარი არსად არ აქვს, მაგ-



გენგეგმა

რამ სავარაუდოა, რომ მაღლა იქნებოდა გაჭრილი. უსაფრთხოების მიზნით XVII საუკუნეში ციხე აღმოსავლეთით და სამხრეთით ვრცელი გალავნის შემოზღუდვით გაუზრდიათ. ამ ახალ კედლებში უკვე სათოფურებია განლაგებული.

ზურგიან კოშკს გადაკეთებები განუცდია. მასში სამი ფენა ჩანს. თავდაპირველად აქ ხუთსართულიანი კოშკი მდგარა. პირველი სართული სამიოდე მეტრის სიმაღლეზე იწყება. კარი და სარკმლები განლაგებულია სწორ კედელში, რომელიც სამხრეთისკენ მდინარეს დაჰყურებს. სარკმლები მეორე და მესამე სართულს აქვს შერჩენილი. მესამე სართულის იატაკის დონიდან დასავლეთის კედელი მთლიანად და სამხრეთი კედლის ნახევარი დანგრეულია.

სამხრეთ კედელზე სარკმლები თავდაპირველი სახით აღუდგენიათ, დასავლეთის სქელ კედელში კი კიბე დაუტანებიათ. მეოთხე და მეხუთე სართულებს შორის კავშირი ამ კიბით ხდებოდა. მესამე სართულზე ღრმა ნიშა შეუქმნიათ საპირფარეშოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფენის გადახურვის ფორმა და კონსტრუქციები არ ირკვევა, მას, როგორც ჩანს, ცილინდრული კამარა ჰქონია. კამარის ნაშთი კარგად ჩანს აღმოსავლეთ კედელზე. კოშკს XVII საუკუნეში კიდევ განუცდია გადაკეთება. ამჯერად მისთვის მეექვსე სართული დაუდგამთ. სამხრეთის მთავარი კედლის შუაზე ნისკარტა სალოდეა, გვერდებზე კი თითო ცალმაგი სათოფური; ჩრდილოეთით, ცენტრში ბუხარია.

ციხის ეკლესიას ორიგინალური გადაწყვეტის გამო ანალოგია არა აქვს. ციხის მფლობელს სხვა გზა არ ჰქონდა, ეკლესია უნდა მოეთავსებინა იმ პატარა ფართობზე, რომელიც გალავნით იყო შემოფარგლული. ციხისა და კოშკის კედლები ქმნიან თითქმის სწორკუთხედს, მაგრამ ორიენტაცია ისეთი იყო, რომ აღმოსავლეთი ხვდებოდა ეკლესიის ორი კედლის გადაკვეთაზე, ამიტომაც აბსიდი მოათავსეს კუთხეში. ეკლესიის კამარა ცილინდრულია. სამხრეთიდან მცირე ზომის მინაშენია, რომელიც ნათდებოდა აღმოსავლეთის თაღოვანი სარკმლით. შესასვლელი სამხრეთ კედელშია.

ქარჩოხის ციხე XVIII საუკუნის ბოლომდე მოქმედი იყო.

ამჟამად ციხის ყველა სამშენებლო ფენა დაზიანებულია.

სოფ. ელოიანი

ეკლესია

გარდამავალი ხანა

ოხირიდან დასავლეთით 1-1,5 კმ. მთის წვერზე, გულარაანთ უბნის თავზე დგას მცირე დარბაზული ეკლესია გალავნით. ეკლესია და გალავანი ძალიან დიდი ზომის ფლეთილი ქვითაა ნაშენი. გამოყენებულია კირის დუღაბი. ჩრდილოეთიდან ეკლესიას და გალავანს მინაშენი ჰქონია. შეინიშნება საძირკვლის კვალი. სნორკუთხა საკურთხეველში ერთი ოთხსაფეხურიანი სარკმელია, ტრაპეზის ქვა ერთი მეტრის სიმაღლეზე სარკმლის ძირში პირდაპირ კედელშია ჩასმული. კედლებში პატარა ნიშებია ამოღებული. ეკლესიის კარი დასავლეთ კედელშია დატანებული. გადახურვა ორქანობიანია. არსებობს მისი ჩანგრევის საშიშროება. ეკლესიაში ჩასმულია ორი ქვევრი. გალავანში შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა.



ეკლესიის დასავლეთი ფასადი



გეგმა

სოფ. ელოიანი, ვაშლოვანი

ლომისას ნიში ნაეკლესიარზე

XIX-XX საუკუნეები

ძველი ეკლესიის ადგილას მოსახლეობამ მოაწყო რიყის ქვით ნაგები სალოცავი ნიში, რომელიც შემდეგ კი შეულესავთ. ტერიტორიაზე ყრია ეკლესიის ქვები.

საერთო ხედი

სოფ. ერედა

ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითაა ნაგები.

ეკლესიიდან შემორჩა დასავლეთი კედელი, რომლის სიმაღლე 180 სმ-ს აღწევს, სამხრეთი კედელი ფრაგმენტულად და სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხის მცირე ნაწილი.

კედლის ფრაგმენტი



გეგმა

ეკლესიის ნანგრევი დაფარულია დიდი ზომის ეკალ-ბარდებით. ირგვლივ მიმობნეულია ჩამონაშალი ქვები.

სოფ. ერედა

ნაგებობის ნაშთი

გვიანი შუა საუკუნეები

გზის პირას შემორჩენილია ნაგებობის ნაშთი, რომელსაც ხატს უწოდებენ. ჩვენამდე მოღწეული კედლის სიმაღლე 1 მეტრს აღწევს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის ქვა და სქელი დუღაბი. კედელში შემორჩენილია სწორკუთხა ნიშის კვალი.

საერთო ხედი

სოფ. ველურა

კოშკი

შუა საუკუნეები

სამხრეთ-აღმოსავლეთით 3-4 კმ. ტყიანი გორის წვერზე მდებარე ძეგლი საშუალო ზომის რიყის ქვითაა ნაგები, რომელიც თავისი გეგმით ზურგიან კოშკთა ტიპს განეკუთვნება. მისი სამხრეთი კედელი მთლიანად ხევშია ჩაქცეული, თუმცა ეს გარემოება ხელს არ გვიშლის ნაგებობის თავდაპირველი სახის აღდგენაში. გადარჩენილი კედლების წყობაში არსებული კოჭის სამაგრი ბუდეები მიგვანიშნებს, რომ კოშკი ხუთსართულიანი უნდა ყოფილიყო.



საერთო ხედი

პირველი სართული ამოვსებულია ქვებით და მცენარეებით.

მეორე სართული დღესდღეობით პირველ სართულს წარმოადგენს. დასავლეთის კედელში ვერტიკალურად ჩაჭრილი ქვის წყობა მიგვანიშნებს კარის არსებობას. ამავე სართულზე ჩრდილოეთი კედლის წყობა გარღვეულია ოვალურად დაახლოებით მეტრნახევარი დიამეტრით. საფიქრებელია, რომ ეს გვიანდელი ღიობი განგრეულია და თავდაპირველ გეგმას არ შეესაბამება. აღმოსავლეთ კედელში სამი სარკმელია გაჭრილი - ორი მესამე სართულზე, ერთი კი - მეოთხეზე.



გეგმა

მეხუთე სართული თითქმის დანგრეულია.

სოფ. ზემო ბოლი

წმინდა მარინეს ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები



გეგმა

დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით. მის ცენტრში მასიური ტრაპეზის ქვა დგას. იკითხება ჩრდილოეთის მხარი.

ეკლესიის კედლები შემორჩენილია 150 სმ-ის სიმაღლეზე; ამათგან დასავლეთის კედელი შედარებით მაღალია. კედლების დაზიანების გამო შესასვლელი ღიობი არ იკითხება. ეკლესია სავსეა მიწითა და ჩამონაშალი ქვით.

სოფ. ზემო ბოლი

მარანი

XIX საუკუნე


საერთო ხედი

მარანი, რომელიც ზაქარია ეკალაძის კარ-მიდამოშია, რიყის ქვითაა ნაგები. გეგმით მართკუთხედია. გადახურვის კონსტრუქცია ხისაა. ორ სვეტზე გადასულია ორი კოჭი, მათზე დაწყობილია კვადრატული კვეთის ძელები, რომელზედაც ფიცრული გადახურვაა მოწყობილი.

სათავსის დასავლეთი კედლის მთელ სიგრძეზე მოწყობილია საწნახელი, საიდანაც გამოდიოდა მილი, რომელიც დაკავშირებულია ყველაზე მოზრდილ ქვევრთან



გეგმა

მარნის ინტერიერი

(2160 ლ.). საინტერესოდაა მოწყობილი საწნახლის კედელი. აქ განლაგებულია 5 თახჩა, მათ შორის 5 მცირე კვადრატული ნიშაა. გარდა ამისა, გრძივ კედლებში მოწყობილია თახჩები და ნიშები.

აღმოსავლეთ კედელში იყო შესასვლელი, რომელიც ამჟამად ამოშენებულია. ამავე კედელშია გეგმით ნახევარწრიული ბუხარი; მის ორივე მხარეს სათოფურებია გაჭრილი.

სამხრეთ კედელში ადრე გასასვლელი იყო, ახლა მასზე მიჯრით სახლია მიშენებული. ამავე კედელში ახალი შესასვლელია გაჭრილი და აქედან მარანში ჩასვლა ხის კიბით ხდება.

იატაკი დატკეპნილი მიწისაა. გადახურვა ადრე ბანიანი ყოფილა, ახლა ცალფერადაა. საბურავად გამოყენებულია კრამიტი.

სოფ. ზემო ბოლი

კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები

სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით ნაგები კოშკი შემორჩენილია ოთხი სართულის დონეზე. შესასვლელი აღმოსავლეთი კედლის პირველ სართულშია გაჭრილი.

კოშკს გარშემო მიშენებული აქვს ხის ნაგებობანი, შიგნით შესვლა და აზომვა ვერ ხერხდება.

სოფ. ზემო ბოლი

კვირაცხოვლის ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

საერთო ხედი

დარბაზული ტიპის ეკლესიიდან შემორჩენილია კედლები 80 სმ-ს სიმაღლეზე. ეკლესიას სწორკუთხა საკურთხეველი ჰქონდა. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ყორექვა.

ეკლესიაში მიწის დონე აწეულია.

სოფ. ზემო ზახორი

ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები, წყობა ქაოსურია.

დარბაზული ეკლესია გეგმით მართკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში შემორჩენილია სარკმლის კვალი.

ეკლესიის დანარჩენი კედლები შემორჩენილია 30 სმ-ის სიმაღლეზე. ინტერიერში და ეკლესიის გარშემო ამოსულია დიდი ზომის მცენარეები.



გეგმა

საერთო ხედი

სოფ. ზემო ზახორი, სასაფლაოზე

წმ. გიორგის ეკლესია

გარდამავალი ხანა

ხედი სამხრეთიდან

დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში მასიური ტრაპეზის ქვა დგას. ჩრდილოეთით ერთი არქიტრავული ნიშაა. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი პილასტრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ ნახევარწრიული სოლეაა.

გრძივი კედლები ორსაფეხურიანი პილასტრების საშუალებით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. პირველ საფეხურებს კედლის თაღები ეყრდნობა, ხოლო მეორეს ცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი. პილასტრები დასრულებულია მარტივი ფორმის კაპიტელებით.

დარბაზს ერთსაფეხურიანი ხარისხი შემოუყვება. ეკლესია ნათდება აღმოსავლეთის და სამხრეთის სარკმლებით. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი. კარი ნაოთხალია.

ეკლესიის ინტერიერში იატაკი მიწაყრილია. დაზიანებულია კამარის საბრჯენი თაღი. კედლებში წარმოქმნილია ბზარები. საბურავი აყრილია.



გეგმა

სოფ. ზემო ზახორი, ნასოფლარი "იჩეთი"

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. კედლები შემორჩენილია 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე. გეგმით უაბსიდო, სწორკუთხა მოხაზულობისაა.



გეგმა

საერთო ხედი

სამხრეთ კედელში ერთი ნიშაა, ხოლო შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა.

ეკლესია ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.

სოფ. ზემო ზახორი

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ნასოფლარი "იჩეთის" ჩრდილოეთით 1 კმ-ზე მდებარე ეკლესია ფლეთილი ქვითა და ფიქალითაა ნაგები.


ხედი სამხრეთიდან

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთიდან დასრულებულია შებრტყელებული, ნახევარწრიული ფორმის აბსიდით,

რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. მისგან ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო არქიტრავული ნიშაა.

ჩრდილოეთ კედელში ორი სხვადასხვა ზომის, სამხრეთ კედელში კი ერთი სწორკუთხა ნიშაა. დასავლეთი სარკმელი არქიტრავულია. არქიტრავულია სამხრეთი შესასვლელიც.



გეგმა

ეკლესიის გადახურვა მთლიანად ჩამონგრეულია.

შემორჩენილია მარტივპროფილიანი კარნიზის ნაწილი.

სოფ. ზემო ზახორი, მიდამოები "კაბაური"

ციხე

XVII ს.

ვახუშტის მიხედვით: "ზაყორს ზეით არს ციხე კაბერი"

მდ. ლეხურას ზემო წელში, მრავალ საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობათა შორის, ყურადღებას იქცევს კაბაურის ციხე-კოშკი.

საერთო ხედი

კომპლექსი შედგება გალავნის, ეკლესიისა და კოშკისაგან, ამათგან ეკლესია-კოშკით ერთ მთლიანობაშია. პირველი სართულის გრძელ სწორკუთხედში მოწყობილია ეკლესია-კარიბჭით, მის თავზე საყარაულო ოთახია. მესამე სართული წარმოადგენს საბრძოლო ტერასას.

მცირე ზომის დარბაზული ეკლესია მაღალი პროპორციებისაა. ერთადერთი შესასვლელი დასავლეთიდანაა. გეგმით კვადრატია, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში ვიწრო სარკმელია გაჭრილი. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო ნიშაა.

ეკლესიის კამარა ცილინდრულია. სამხრეთ კედელში მოთავსებულია

მაღალი სარკმელი. კარიბ-ჭის გრძივი და დასავლეთი კედლები გახსნილია შეისრული თაღებით. კარიბჭის კვადრატული ნაგებობა გადახურულია დაბალი, ჯვარედი კამარით.



გეგმა


საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

მეორე სართული მოწყობილია მხოლოდ კარიბჭის თავზე. ამ სართულზე მოხვედრა შეიძლებოდა ჩრდილოეთიდან, ხის კიბით. მეორე სართული გეგმით კვადრატს უახლოვდება, სიმაღლე 2,5 მეტრს აღწევს. დასავლეთ კედელში ორი თაღოვანი ღიობია. სწორკუთხა ფორმის ასეთივე ღიობი, სამხრეთ კედელშია მოთავსებული.

ამ ნაგებობების აღმოსავლეთ კედელში მოწყობილია კიბე, რომელიც ტერასას უკავშირდება. კიბის გვერდებზე მცირე ნიშებია განლაგებული.

შენობა ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

გალავნის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.

სოფ. ზემო ზახორი

კოშკი

XVII ს.


კოშკი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

მდ. ლეხურას ხეობაში მდებარე პირამიდული კოშკი სახით ხეობისკენაა მიქცეული. კოშკი შემორჩენილია ოთხი სართულის დონეზე. პირველი სართული ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით. მეორე სართულის აღ-

მოსავლეთ კედელში თაღოვანი შესასვლელია. ამ სართულის ყველა კედელში გაჭრილია ვიწრო სათოფური. ჩრდილოეთ კედლის შუა ნაწილში მოწყობილია ნახევარწრიული ბუხარი, რომლის მოპირდაპირე მხარეს ნყვილი სწორკუთხა ნიშაა. მესამე სართულის სამხრეთ კედელში ირიბად გაჭრილი ღიობია. აქაც ყველა კედელში სათოფურია. მეოთხე სართულზე, აღმოსავლეთ მხარეს მცირე სწორკუთხა სარკმელია.

კოშკი სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

აღმოსავლეთი ფასადის
კარის ღიობი

სოფ. ზემო წირი

ეკლესია ბზეზვა

გარდამავალი ხანა

სოფლიდან დასავლეთით 2 კმ., ტყიანი ბორცვის თავზე მდებარე ეკლესია მცირე ზომის რიყისა და ფლეთილი ქვითაა ნაშენი. დარბაზული ეკლესია აღმოსავლეთით დასრულებულია ნალისებრი ფორმის საკურთხევლით, რასაც ადასტურებს შემორჩენილი სამხრეთის მხარი. ჩრდილოეთის მხარი მონგრეულია. აბსიდში სარკმლის სამხრეთით და ჩრდილოეთით თითო ნიშაა მოთავსებული. საკურთხევლის ძირში მოხაზულობას იმეორებს ხარისხი. კედლების ძლიერი დაზიანების გამო სარკმლების კვალი არ შეინიშნება.

სამხრეთი კედლის კარი დასავლეთ მონაკვეთშია გაჭრილი.



გეგმა

საერთო ხედი

სოფ. ზემო წუბენი

"მთის ხატის" ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ხედი აღმოსავლეთიდან

სამხრეთი ფასადი

სოფლიდან დასავლეთით 4 კმ-ზე, მთაზე მდებარე დარბაზული ეკლესია რიყისა და ფლეთილი ქვითაა ნაგები. მარკანტული ნაწილებისთვის გამოყენებულია შირიმი. წყობაში დაცულია სწორხაზოვნება.

ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

ეკლესიის კამარა ცილინდრულია. დასავლეთ კედელში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. ასეთივეა სამხრეთი შესასვლელიც.

ეკლესია გარედან პერანგშემოცლილია.

საბურავი აყრილია, შესასვლელის ნირთხლები სერიოზულადაა დაზიანებული.

ინტერიერი ამოვსებულია მიწით.



გეგმა

სოფ. ზემო წუბენი, მიდამოები.

"ვაკის ხატის" ნაეკლესიარი

გვიანი შუა საუკუნეები

ინტერიერის ფრაგმენტი

ძეგლი მდებარეობს ნასოფლარ ბალოვანის დასავლეთით 2 კმ-ზე. ნაეკლესიარის მცირე ფრაგმენტების მიხედვით ძეგლი ქართული აგურითა და ყორექვით ყოფილა ნაშენი. ამჟამად ეკლესია სერიოზულადაა დაზიანებული. ტერიტორია დაფარულია ქვით, მიწით და ხშირი მცენარეულობით. იკითხება მხოლოდ საკურთხევლის მცირე ნაწილი ნახევარწრიული ნიშით. გაწმენდის გარეშე გეგმის გამოხაზვა არ ხერხდება.

ეკლესიიდან 15 მეტრის დაშორებით ოთხკუთხა ნაგებობის კვალი ჩანს - ისიც დაფარულია მიწითა და მცენარეულობით.

სოფ. ზოდეხი, მიდამოები მთაზე

"კვირაცხოვლის" ნაეკლესიარი

გვიანი შუა საუკუნეები

საერთო ხედი

ნანგრევებად ქცეულ ეკლესიიდან შემორჩენილი კედლების სიმაღლე ერთ მეტრს აღწევს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვა. გეგმა არ იკითხება.

სოფ. ზოდეხი

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი

დანგრეული ეკლესიიდან შემორჩენილი კედლების სიმაღლე 2 მეტრს აღწევს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვა.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი. ეკლესიამ განიცადა არაერთი გადაკეთება, მისი კედლები დეფორმირებულია.

სოფ. ზოდეხი, მიდამოები

ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილი კედლების სიმაღლე 60-70 სმ-ს აღწევს; ძეგლი ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა. აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხეველში სარკმლის კვალი ჩანს. ჩრდილოეთით მცირე ზომის ნიშაა.

შესასვლელი ღიობის კვალი დასავლეთით იკითხება.



გეგმა

საერთო ხედი

სოფ. ზოდეხი

წმინდა გიორგის ეკლესია

გარდამავალი ხანა

ეკლესია სხვადასხვა ზომის დამუშავებული ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზულ ეკლესიას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან თანადროული მინაშენები აქვს. კარნიზი მარტივპროფილიანია, საბურავად გამოყენებულია ფიქალი.

ეკლესიას გარშემო გალავანი შემოუყვება. იმის გამო, რომ ეკლესია დაკეტილია, მისი შიდა აღწერა და აზომვა არ ხერხდება.

სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი

დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი

სოფ. ზემო გრუ

წმინდა გიორგის ეკლესია

გარდამავალი ხანა

სოფლის სასაფლაოზე მდებარე წმ. გიორგის ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები, წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნალისებრი აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია ერთი, ხოლო სამხრეთით ორი საფეხურებიანი სარკმელი. სამხრეთი სარკმლის გვერდით მცირე ზომის ნიშაა. ჩრდილოეთით თაღოვანი ნიშა სამალავს წარმოადგენს.

აბსიდის ცენტრში და ჩრდილოეთ მხარეს ტრაპეზის ქვები დგას. კონქი სფერულია, სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. შემორჩენილია ხის კანკელის ფრაგმენტი. საკურთხეველი დარბაზის იატაკთან

შედარებით ერთი საფეხურით მაღალია.

ეკლესიის გრძივი კედლები ორსაფეხურიანი პილასტრების საშუალებით ორ ტოლ ნაწილად იყოფა. ცილინდრული კამარის საბრჯენი თაღები პილასტრების კაპიტელებს ებჯინება, ხოლო გვერდით საფეხურებზე კედლის თაღები გადადის. დასავლეთი თაღი კუთხის პილასტრებს ეყრდნობა. ეკლესიის ოთხივე კედელს ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს.



გეგმა

ეკლესია ნათდება აღმოსავლეთით სამი, სამხრეთით ორი და დასავლეთის ერთი თაღოვანი სარკმლით.

სამხრეთი შესასვლელი შიგნით თაღოვანი - გარეთ არქიტრავულია. კარი ნაოთხალია. ინტერიერში შემორჩენილია ნალესობის კვალი.

ეკლესიის სამხრეთით შემორჩენილია მინაშენის მცირე ფრაგმენტი. დასავლეთ ფასადზე, სარკმლის თავზე ჩასმულია ქვის ფილა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. ძეგლის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

ნაგებობა დაზიანებულია, კამარა მრავალ ადგილას ჩამონგრეულია. კედლები და სარკმელთა ღიობები დაბზარულია, ინტერიერში მიწის დონე აწეულია.

სოფ. თინიკაანი

ეკლესია "ერთაბრძანებულობა"

გვიანი შუა საუკუნეები

სასაფლაოზე დგას ეკლესია, რომელიც სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. კუთხეებში გამოყენებულია თლილი ქვა. ფასადების წყობაში ჰორიზონტალურად ჩაყოლებულია ფიქალი.



გეგმა

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხეველია, რომლის ცენტრში გაჭრილია ფართო სარკმელი.

ეკლესიის კედლები სხვადასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი, აქედან ყველაზე მაღალი დასავლეთის კედელია. ჩრდილოეთ კედელში ჩანს სარკმლის ქვედა ნაწილი. აღმოსავლეთით ადგილობრივი მოსახლის, ვასო პავლიაშვილის მიერ აგებული მცირე სათავსია, რომელშიც ინახება "ლომისას" სახელობის ტოლმკლავა ჯვარი მოპირკეთებული ვერცხლის ფირფიტებით. ცენტრში დისკია, ყვავილის გამოსახულებით, შუაგულში კი ჩასმულია სერდოლიტი. ჯვარი დამაგრებულია ვერცხლის ბურთულაზე, რომელზეც მხედრული წარწერაა ამოკაწრული:

"თბაფის, კა, მევნი ქყლ: ლომისა მთავარ; მონამე, წმინდა გიორგი, ჩავლელ, ხორასნს, წვლებით, მოველ, მოგებით გუკლეთებივარ, პავლეთ, შვლებთ, თავსი, საქონლი და მ."

აქვეა შენახული ჭედური ხელოვნებით შესრულებული დიდი ზომის ვერცხლის ხატი, რომელზეც გამოსახულია წმ. გიორგი.



საერთო ხედი



ლომისას სახელობის ჯვარი

ხატი წმ. გიორგის გამოსახულებით

სოფ. თინიკაანი

ნიში ღვთისმშობლის ნაეკლესიარზე

XX საუკუნე

სოფლის სასაფლაოზე, ძველი ეკლესიის ადგილას, ადგილობრივ მოსახლეობას დაუდგამს ნიში, რომლის წყობაში ეკლესიის სამშენებლო მასალად შირიმია გამოყენებული. ნანგრევებს შორის მხოლოდ საძირკვლის მცირე ფრაგმენტები განირჩევა.



საერთო ხედი

სოფ. თინიკაანი, მიდამოები მთაზე

სამების ეკლესია

გარდამავალი ხანა



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



გეგმა

დარბაზულ ეკლესიას ჩრდილოეთით თითქმის თანადროული მინაშენი აქვს.

გეგმით მართკუთხაა, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო ნიშაა. სარკმლის ძირში და საკურთხევლის ცენტრში ტრაპეზის ქვები დგას. საკურთხევლის კონქი სფერულია.

ჩრდილოეთ კედელში ერთი სწორკუთხა ნიშაა. ამავე კედელში გაჭრილია კარი, რომელიც მინაშენს უკავშირდება. ეკლესიას არა აქვს დამოუკიდებელი კარი. ეკლესიის კამარა ცილინდრულია. დასავლეთ კედელში მოთავსებულია არქიტრავული სარკმელი.

მინაშენი გეგმით მართკუთხაა. შესასვლელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. ინტერიერში, სამხრეთ კედელზე შემორჩენილია განიერი პილასტრი, რომელსაც კედლის თაღები ებჯინება. აღმოსავლეთ კედელში სარკმელი და თითო ნიშაა. მინაშენის გადახურვა მთლიანად ჩამოქცეულია.

ეკლესიის ფასადები სადაა. ერთადერთ მორთულობას წარმოადგენს აღმოსავლეთ და დასავლეთ სარკმლების თავზე ჩასმული ფილა ბოლნური ჯვრის რელიეფური გამოსახულებით.

ნაგებობის სამშენებლო მასალად გამოყენებულია მოწითალო ფერის ფლეთილი ქვა. ძეგლის გარშემო მშრალი წყობის გალავანია.

სოფ. თინიკაანი, მიდამოები

ნაგებობის ნაშთი (კვირაცხოველი)

შუა საუკუნეები

იმ ადგილს, სადაც შემორჩენილია ნაგებობის ნაშთი, მოსახლეობა კვირაცხოველს უწოდებს. ნაგებობა გეგმით კვადრატს უახლოვდება. იგი ამოვსებულია მინით და ქვით. გადახურვა ჩანგრეულია. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა.

საერთო ხედი

სოფ. თოხთა

წმ. მარინეს ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ეკლესიის კედლები შემორჩენილია 1 მეტრის სიმაღლეზე, ზოგან უფრო ნაკლებია. დარბაზული ტიპის უაბსიდო ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

ინტერიერში ამოსულია დიდი ზომის ხე. ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა.

ძეგლის აზომვა საგანგებო გაწმენდის გარეშე არ ხერხდება.

კედლის ფრაგმენტი

სოფ. თოხთა, სასაფლაოზე

ღვთისმშობლის ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

საერთო ხედი

ნანგრევებად ქცეული ეკლესიიდან შემორჩენილია საძირკვლის ფრაგმენტები. სამშენებლო ქვა ადგილობრივი წარმოშობისაა და ფლეთილია. ნაგებობის ღერძი ვითარდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ.

ძეგლის დათარიღება და აზომვა გათხრა-გაწმენდის გარეშე შეუძლებელია.

სოფ. თოხთა, სასაფლაოზე

კვირაცხოვლის ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

საერთო ხედი

ეკლესიიდან შემორჩენილია სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლების მცირე ფრაგმენტი. ადგილობრივი წარმოშობის ქვა ფლეთილია.

სპეციალური გათხრა-გაწმენდის გარეშე, ძეგლის აზომვა და დათარიღება შეუძლებელია.

სოფ. თოხთა, სასაფლაოზე

წმინდა მარინეს ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

უაბსიდო ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის დიდი ზომის თეთრი ქვითაა ნაგები. ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია მცირე ზომის ქვაც.

დარბაზული ეკლესიიდან შემორ-

ჩენილია ჩრდილოეთი კედელი, ჩრდილო-დასავლეთის და ჩრდილო აღმოსავლეთის კუთხე. ჩრდილოეთ კედელში ჩანს შესასვლელი ღიობის კვალი.



ჩრდილოეთი ფასადი

სოფ. თოხთა, სასაფლაოზე

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის თეთრი ფერის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. აქა-იქ წვრილი ქვაცაა გამოყენებული.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი.



დასავლეთი ფასადი



გეგმა

ეკლესიის კედლები შემორჩენილია მიწის ზედაპირიდან 2-2,5 მეტრის სიმაღლეზე.

სოფ. თოხთა, მიდამოები

წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

უაბსიდო დარბაზული ეკლესიის კედლები შემორჩენილია მიწის ზედაპირიდან 1 მეტრის სიმაღლეზე, ზოგან უფრო ნაკლებია.

ძეგლი გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა. სამხრეთ კედელში ჩანს შესასვლელი ღიობის კვალი. ნაგებია ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვით.



გეგმა

საერთო ხედი

სოფ. თოხთა

გვიანი შუა საუკუნეები

კოშკი

სათვალთვალო კოშკი სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მარჯვე ადგილას, სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ-ზე, "თუთარაანში" დგას. ძეგლი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით.

კოშკი შემორჩენილია სამი სართულის დონეზე.

დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი

არქიტრავული შესასვლელი მეორე სართულის დასავლეთ კედელშია გაჭრილი. ასვლა მისადგმელი კიბით ხდებოდა. აღმოსავლეთ კედელში წრიული სარკმელია მოთავსებული.

კოშკს თავდაცვითი ელემენტები არ გააჩნია.



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

სოფ. თოხთა

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ-ზე, "თუთარაანის" მიდამოებში დგას ეკლესია, რომელიც დიდი ზომის ფიქალითაა ნაგები.

უაბსიდო დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, სამხრეთ კედელში ერთი სწორკუთხა ნიშაა. ამავე კედელს ხარისხი მიუყვება. ეკლესიის კედლების სიმაღლე 2 მეტრს აღწევს. შესასვლელი დასავლეთიდან ჰქონდა.



საერთო ხედი



გეგმა

სოფ. თოხთა

ნაგებობის ნანგრევი

შუა საუკუნეები

საერთო ხედი

ძეგლი სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ-ზე, ადგილ "თუთარაანში" მდებარეობს. ეკლესიიდან 20-30 მეტრში შემორჩენილია ნაგებობის ნანგრევი. გეგმა არ იკითხება. ქვები გროვად ყრია. სამშენებლო მასალად გამოყენებულია მოთეთრო ფიქალი. შემორჩენილია აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლების მცირე ფრაგმენტები.

სოფ. იკოთი

წმინდა გიორგის ეკლესია

გარდამავალი ხანა



გეგმა

დარბაზული ეკლესია, სამხრეთის და დასავლეთის მინაშენებით, დიდი ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. გეგმით მართკუთხა მოხაზულობისაა, სნორკუთხა საკურთხეველში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რომლის სამხრეთით ორი შეისრული, ხოლო ჩრდილოეთით - ორი არქიტრავული ნიშაა. სარკმელთან დგას მასიური ტრაპეზის ქვა. საკურთხეველს ხარისხი შემოუყვება. კონქი სფერულია, სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს

ეყრდნობა. საკურთხევლის წინ მოწყობილია ქვის კანკელი.

ეკლესიის კამარა ნახევარ-ცილინდრულია. გრძივი კედლები ორსაფეხურიანი, წყვილი პილასტრებით, ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. კამარის საბრჯენი თაღები პილასტრების მარტივი ფორმის კაპიტელებს ეყრდნობა. ასეთივე თაღი დასავლეთ კედელზეც გადადის. დარბაზის კედლებს ხარისხი შემოუყვება.

სამრეკლო

ეკლესია ნათდება სამხრეთით ორი, დასავლეთით კი ერთი თაღოვანი სარკმლით; არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი.

ეკლესიას სამხრეთიდან ოთხკუთხა ფორმის კარიბჭე და მინაშენი აქვს. კარიბჭეს არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, მინაშენს, კი თაღოვანი კარით უკავშირდება.

სამხრეთი მინაშენი გეგმით მართკუთხაა. გრძივ კედლებს ორი წყვილი პილასტრი ანაწევრებს. მინაშენის გადახურვის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამონგრეულია. ინტერიერში ყრია მიწა და ჩამონაშალი ქვა; ამოსულია მცენარეულობა. დასავლეთ მინაშენის გეგმა არ იკითხება; დაფარულია მიწით და ქვებით. ჩანს მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის კუთხე 1,5 მ-ის სიმაღლეზე.

ეკლესიიდან აღმოსავლეთით დგას ორსართულიანი სამრეკლო. პირველი სართული, გეგმით სწორკუთხა, ღია, თაღოვან ნაგებობას წარმოადგენს. შუაში გადადის ნახევარწრიული თაღი, რომელიც სამმაგლილვიან იმპოსტებს ეყრდნობა. მეორე სართულზე ასასვლელი არაა შემორჩენილი, ჩანს მხოლოდ ოდნავ შეისრული თაღები. სამრეკლო ნაგებია ფლეთილი ქვით.

ეკლესია და სამრეკლო მოქცეულია გალავანში. გალავნის შიგნით სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ფრაგმენტები დაფარულია მიწით და მცენარეებით. მათი აზომვა არ ხერხდება.

სოფ. იკოთი

წმინდა ბარბარეს ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ასიმეტრიული ფორმის ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში მასიური ტრაპეზის ქვა დგას. აბსიდის ჩრდილოეთით ერთი სწორკუთხა ნიშაა. კონქი ოდნავ შებრტყელებულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.



გეგმა

სამხრეთი ფასადი

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია. დარბაზი ნათდება სამხრეთისა და დასავლეთის სწორკუთხა სარკმლებით. შესასვლელი სამხრეთ კედელშია მოწყობილი. ძეგლი იმდენად არის დაზიანებული, რომ მისი გეგმა არ იკითხება.

ეკლესიის საბურავი მთლიანად ჩამოცვენილია. ფასადებს საპირე შემოცლილი აქვს. კედლები დაზიანებულია.

სოფ. იკოთი

კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

კოშკი, რომელიც დგას ფიცხელაურის კარ-მიდამოში სხვადასხვა ზომის რიყის ქვითაა ნაგები.

მრგვალი კოშკის გეგმარება სწორკუთხაა. ნაგებობა შემორჩენილია სამი სართულის დონეზე.



საერთო ხედი

პირველი სართულის ჩრდილოეთ კედელში ერთი თაღოვანი და ერთი არქიტრავული ნიშაა. აღმოსავლეთ კედლის ცენტრში მოწყობილი იყო ბუხარი, რომელიც ამჟამად ამოშენებულია. ბუხრის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. სამხრეთ კედელში ერთი თაღოვანი ნიშაა მოთავსებული. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში შეისრულთაღიანი შესასვლელია, აქვეა მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. პირველი სართულის გადახურვა კამაროვანია; კამარა ქართული აგურით არის გადაყვანილი, რომელიც მოგვიანებით შებათქაშებულ-შეთეთრებულია. პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისაა.

მეორე სართული გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, მისი გადახურვაც კამაროვანია. შეისრულთაღიანი შესასვლელი დასავლეთ კედელშია მოთავსებული. შესასვლელის სამხრეთით სწორკუთხა, ხოლო ჩრდილოეთით შეისრული ფორმის ნიშებია. ჩრდილოეთი კედლის ნიშებში გაჭრილია სათოფურები.

აღმოსავლეთ კედელში მოწყობილია თაღოვანი ბუხარი, რომლის ორივე მხარეს თითო შეისრული ნიშაა. ნიშებში სათოფურებია გაჭრილი.

სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მესამე სართულზე ასასვლელი კიბეა. მესამე სართულის კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამონგრეულია.

სოფ. იკოთი

წმინდა მარინეს ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ძველ სასაფლაოზე მდებარე ეკლესია, სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. კუთხეებში და ლავგარდანზე გამოყენებულია ქართული აგური.



გეგმა



სამხრეთი ფასადი



სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი.

აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით მოთავსებულია წყვილი, შეისრულთაღიანი ნიშა. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი პილასტრებს ეყრდნობა. კონქში შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

ეკლესიის კამარა შეისრული ფორმისაა. კამარის საბრჯენი თაღები კრონშტეინებს ეყრდნობა. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედელში შეისრულთაღიანი ნიშებია მოწყობილი. დასავლეთ კედელში შესასვლელის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. დარბაზი ნათდება სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის თაღოვანი სარკმლებით.

დასავლეთ და სამხრეთ კედლებში თაღოვანი შესასვლელებია.

სამხრეთ შესასვლელის თავზე ჩასმულ ქვის კვადრებზე, მოთავსებულია მხედრული წარწერა, რომლის ამოკითხვა ვერ მოხერხდა. კვადრს მცენარეული ორნამენტი აჩარჩოებს. შესასვლელს ორივე მხარეს ჩამოუყვება კედლის წყობაში ჩაძირული რომბები, ანალოგიურია დასავლეთი კარის მორთულობაც. შესასვლელის თავზე მოწყობილია თაღოვანი ნიშა.

აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის ზემოთ, კედლის წყობაში ჩაძირული გოლგოთის ჯვარია გამოსახული. ეკლესიას აგურის ვერტიკალური წყობის კარნიზი აქვს. საბურავად გამოყენებულია შიფერი.

საბურავი მრავალ ადგილას ჩამოცვენილია. შესასვლელის და სარკმლის წირთხლები დაზიანებულია.

სოფ. კიტრიული

ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილია ნახევარწრიული აბსიდის სამხრეთი ნაწილი. მისი სიმაღლე 60 სმ-ს აღწევს. დანარჩენი კედლები მიწის პირზეა დასული; სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი და რიყის ქვა.

აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტი

სოფ. კიტრიული

ყველაწმინდას ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

ნაეკლესიარი შემორჩენილია სოფლის სასაფლაოზე. აქა-იქ მიმობნეული სამშენებლო მასალის მიხედვით, ძეგლი ფლეთილი და რიყის ქვითაა ნაგები. ზოგან ყრია შირიმის პროფილირებული ქვები. დარბაზულ ეკლესიას, სავარაუდოდ, საკურთხეველი სწორკუთხა უნდა ჰქონოდა. საგანგებო გათხრა-გაწმენდის გარეშე გეგმის დადგენა შეუძლებელია.



კედლის ფრაგმენტი

სოფ. კიტრიული

ნიში ნაეკლესიარზე

XIX საუკუნე

ადგილობრივმა მოსახლეობამ წმინდა გიორგის სახელობის ნიში შვერილაბსიდიანი ეკლესიის ადგილზე შეაკონიწა. ფრაგმენტულად იკითხება ეკლესიის აბსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე.



საერთო ხედი

სოფ. კიტრიული

"ყრუ-საყდრის" ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ეკლესიაში მიწის დონე იმდენად არის აწეული, რომ არ ჩანს საკურთხევლის ნიშები, შესასვლელი და სარკმლები. საკურთხეველი სწორკუთხა უნდა ყოფილიყო. სამშენებლო მასალად გამოყენებულია დიდი ზომის ფლეთილი ქვა.



გეგმა

საერთო ხედი

სოფ. კიტრიული

"ამაღლების" ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

ნაეკლესიარზე შემორჩენილია რიყის და ფლეთილი ქვის გროვა, აგრეთვე კედლის მცირე ფრაგმენტი. გათხრა-გაწმენდის გარეშე გეგმის წაკითხვა შეუძლებელია.



კედლის ფრაგმენტი

სოფ. კიტრიულიდან ჩრდილო-დასავლეთით

"ყველაწმინდას" ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მდგარი ჩვენამდე მოღწეული ეკლესიის ნანგრევიდან შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის ფრაგმენტი. დანარჩენი დაფარულია მიწით. ძეგლი ნაგები იყო რიყისა და ფლეთილი ქვით.

კედლის ფრაგმენტი

სოფ. კიტრიული, ნაეკლესიარი ბერიჯვარი

ნაეკლესიარი; (სტელა)

ეკლესია X ს.; სტელა VI-VII სს.

აქ არსებულ ეკლესიას სახელწოდება ბერიჯვარი, შესაძლოა ცხინვალიდან გადმოსახლებულმა მაცხოვრებლებმა უწოდეს.

ნაეკლესიარი თითქმის მთლიანად მიწითაა დაფარული. ჩანს ჩამონ-

სტელის ფრაგმენტები



ეკლესიის სარკმლის სათაურის ქვა

გრეული კონქისა და კამარის ფრაგმენტი. აზომვა არ ხერხდება; ფოტოფიქსაციაც ძნელდება. ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით, ხევში აღმოჩნდა ქვის სტელის ნამტვრევი, რომელიც ბერიჯვრის ეკლესიის სარკმლის თავსართად იყო გამოყენებული. სტელა VI-VII სს. მიჯნას განეკუთვნება და იკონოგრაფიული, მხატვრულ-სტილისტური და პალეოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა.

სოფ. კორინთა, სასაფლაოზე

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები, ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია რიყის ქვა და შირიმი.

გეგმით სწორკუთხა ნაგებობა აღმოსავლეთით დასრულებულია ასიმეტრიული ფორმის აბსიდით. ცენტრში გაჭრილი ფართე, თაღოვანი სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა მო-

თავსებული. აქედან სამხრეთისა უფრო დიდია.

ეკლესიის კამარა შეისრულია. საკურთხევლის კონქს მკვეთრად შეისრული ფორმა აქვს, სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.



ხედი დასავლეთიდან

სამხრეთ კედელში ფართე, თაღოვანი სარკმელია. დასავლეთი კედელი მთლიანად გახსნილია ასევე შეისრული თაღით.

ნაგებობამ მრავალჯერ განიცადა გადაკეთება. მოგვიანებით მას დასავლეთიდან მიაშენეს დიდი ზომის სწორკუთხა დარბაზი. ეკლესიისათვის სამშენებლო მასალად გამოყენებულია ქართული აგური და რიყის ქვა.

შესასვლელი კარი დასავლეთ კედელშია გაჭრილი.

ეკლესიის სამხრეთით შემორჩენილია მეორე, შვერილაბსიდიანი ეკლესიის საძირკველი, რომლის მხოლოდ აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი კუთხე იკითხება. ასევე შემორჩენილია მინაშენის კედლები ფრაგმენტულად.

ეკლესიის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

სოფ. კორინთა

კვირაცხოვლის ეკლესია

გარდამავალი ხანა



გეგმა

მდ. ალეურას ხეობაში მდებარე დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით კოლოფა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია შიგნით სწორ-

კუთხა გარეთ თაღოვანი სარკმელი. ჩრდილოეთით ერთი ნყვილი სნორკუთხა ნიშაა.

აღმოსავლეთი ფასადი

ეკლესიის კედლები შემორჩენილია 2-3 მეტრის სიმაღლეზე, ზოგან უფრო მეტია. დასავლეთ კედელში გაჭრილია სნორკუთხა სარკმელი. არქიტრავული შესასვლელი ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია მოთავსებული. შესასვლელთან კარიბჭის კედლებია შემორჩენილი, ეკლესიის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

ნაგებობის კამარა და კონქი ჩამოქცეულია, კედლები დეფორმირებული, სარკმლების ღიობები დაზიანებულია, ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.

სოფ. კორინთა

კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები

კოშკი, სტრატეგიული თვალსაზრისით, ძალზე მარჯვე ადგილას, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირას, კონცხზე დგას. აქედან კარგად მოჩანს ხეობის დიდი ნაწილი.



გეგმა

ძეგლი ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით. კოშკი შემორჩენილია სამი სართულის დონეზე. პირველი სართული თითქმის მთლიანად მიწით არის ამოვსებული. ჩანს მხოლოდ მეორე და მესამე სართული და სართულშუა გადახურვის კოჭის ბუდეები.

მეორე სართულის აღმოსავლეთ

საერთო ხედი

კედელში მოწყობილია ბუხარი, რომლის ორივე მხარეს სწორკუთხა ნიშებია. მარჯვენა ნიშაში გაჭრილია სათოფურები. ამავე სართულის ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებში არქიტრავული შესასვლელებია. დასავლეთ კედელში კიდევ ორი სარკმლის კვალია.

მესამე სართულის სამხრეთ კედელში შეწყვილებული ნიშებია. აღმოსავლეთ კედელზე შემორჩენილია კუთხის პილასტრი.

კოშკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები, რომელიც სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

კოშკი სერიოზულად არის დაზიანებული.

სოფ. ლარგვისი, მიდამოები
მდ. ჭურთისა და ქსნის შესართავთან

სამონასტრო კომპლექსი:

წმინდა თევდორეს ეკლესია - 1759 წ.
ციხე - 1721-1741 წწ.



გენგეგმა

ლარგვისში ნაგებობათა არსებობის შესახებ პირველ ცნობას გვაწვდის "ძეგლი ერისთავთას" ავტორი, რომლის მიხედვით, პირველ ერისთავად თითქოს იუსტინიანე კეისრის მიერ (527-565 წწ.) განწესებულ იქნა როსტომი და საგვარეულო სამარხად მიეჩინა მის მიერვე აგებული მონასტერი.

იგივე ავტორი მონასტრის ისტორიას დაწვრილებით მოგვითხრობს XIV ს დასაწყისიდან.

ისტორიული დოკუმენტებით ირკვევა, რომ ლარგვისი მრავალჯერ დანგრეული და აღდგენილი ყოფილა. ნგრევა ძირითადად განპირობებული იყო სტიქიებითა და შემოსევებით.



საერთო ხედი

მდ. ქსნის ზედა ნაწილში, იქ, სადაც მას ჭურთის წყალი ერთვის, დგას ლარგვისის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც შემდეგი ნაგებობებისაგან შედგება: კოშკებიანი ციხე-გალავანი, საცხოვრებელი ნაგებობანი, გუმბათოვანი ეკლესია და ცალკე მდგარი კოშკი. ამათგან ყველაზე უკეთაა შემონახული გუმბათოვანი ტაძარი, ყველაზე ცუდ მდგომარეობაში კი - ცალკე მდგომი საცხოვრებელი კოშკია.

ვახუშტის მიხედვით: ჩდილოთ არს მონასტერი ლარგვისი, წმინდის თევდორესი, აღმოსავლით უდის კსანი, სამხრით ჭურთის წყალი, უგუმბათო, შემკული ყოვლითა, ან ხუცის სამარ; აქა ჰყო შანშემ ციხე, არამედ ურგებად თვისად".

ისტორიული ცნობებით დგინდება, რომ ქსნის ხეობას შუა საუკუნეებში ერისთავები მართავდნენ. ისინი პირველად თავიანთ თავს "ქუცნიფეველებს" უწოდებდნენ, რადგან რეზიდენცია ქუცნიფევში ჰქონდათ (ქვენიფნევის ნანგრევები ლარგვისის სამხრეთითაა). ერისთავების რეზიდენცია სხვადასხვა დროს ლარგვისშიც ყოფილა. ამიტომ ისინი ხშირად "ლარგველებადაც" იწოდებოდნენ.

ერისთავების სამარხი თავდაპირველად ლარგვისი ყოფილა, ხოლო მოგვიანებით, როდესაც რეზიდენცია ახალგორში გადავიდა, საძვალედ 1172 წელს აგებული იკორთის ტაძარი გაუხდიათ.

არსებული ცნობების თანახმად, XVIII საუკუნეშიც კი მდგარა აქ წმ. თეოდორეს ეკლესია. 1750 წ. თვალებდამწვარი შანშე ქსნის ერისთავი ამკობს თეოდორე ტირონის ხატს და ქვემოთ აწერს: "ჩვენ ერისთავთ-ერისთავმა შანშე შევამკე ხატი ეგე ლარგვის მონასტერს წმიდის თევდორე ტირონისა, რათა მეოხ მექმნეს წინაშე ღვთისა... ქორონიკონსა უკი ც".

რაკი 1750 წელს ერისთავი შანშე ლარგვისის მონასტრის თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიისათვის ამ ხატს უკვეთავს, ცხადია, რომ ეკლესია არსებობდა. მაგრამ, რაღაც მიზეზის გამო ის დანგრეულია.

ეკლესია

ახალ ეკლესიაზე ამ მონასტრის წმ. თეოდორეს ეკლესიის ღვთისმშობლის ხატის ასომთავრული წარწერა გვამცნობს: "ოდეს ეკლესია ესე ლარგვის მონასტრისა აღშენდა კეთილმსახურის ერისთავის დავითის და კეთილ მორწმუნის დედისა მისისა ქეთევანის მიერ, ძისა მათის შალვას კეთილად აღსაზრდელად, მას ჟამსა მე უღირსმან არქიმანდრიტმან ამის მონასტრისმან დავახატვინე ესე ყოვლად წმინდისა მცველად და მფარველად ერისთავისა დავითის საოხად სულისა ჩემისა. ქვს. ჩღთბ. მხატვარი იოანე"

ლარგვისის მონასტრის არსებობა ბევრად იქნებოდა დამოკიდებული ქსნის საერისთავოს არსებობაზე. ცენტრალური ხელისუფლების ურჩ ერისთავებს ერეკლე II თანდათანობით თავიდან იცილებდა და მათ შორის 1771 წელს, ქსნის საერისთავოც მოსპო. ამას მოჰყოლია ლარგვისის მონასტრის დაქვეითება, ხოლო ხალხშემოცლილი მონასტერი 1811 წელს ჩვეულებრივ სასოფლო ეკლესიად უქცევიათ.

ლარგვისის წმინდა თეოდორეს ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვან ეკლესიათა ტიპს მიეკუთვნება. ტაძრის ძირითადი სივრცე შექმნილია ჯვრის მკლავებისა და მათ შუა აღმართული გუმბათით. ჯვრის მკლავებიდან გვერდის მკლავები მოკლე და ტოლია, ხოლო ორი დანარჩენი გრძელი და სხვადასხვა ზომისაა. ამათგან მხოლოდ აღმოსავლეთის მკლავი მთავრდება აბსიდით, დანარჩენი კი სწორკუთხაა. დასავლეთის, ყველაზე გრძელი მკლავი, გვერდის ნავებს ორ-ორი თაღით უერთდება. ჯვრის ოთხივე მკლავი მოისრო ფორმის კამარითაა გადახურული. ნაგებობის შიგნით გამოყენებული ყველა თაღი, გარდა სარკმლებისა, ისრულია.

ტაძარს შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდან აქვს. დასავლეთი კარი ცენტრალურ ღერძზე მდებარეობს. კარი სამხრეთ კედელ-

შიც არის დატანებული.

ეკლესიის შიდა სივრცე კარგადაა განათებული, რაც ხელს უწყობს კარგი პროპორციების მქონე მასათა აღქმას. სინათლის წყაროს ნარმოადგენს გუმბათის მაღალ ყელში განლაგებული ათი სარკმელი, ჯვრის მკლავებში (გარდა ჩრდილოეთისა) მდებარე თითო და სამხრეთი ნავში მოთავსებული ორი სარკმელი.



ეკლესიის გეგმა

გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთის ორ სვეტს. გუმბათქვეშა თაღები არ არის გამოყოფილი ჯვრის მკლავების გადამხურავი კამარებისაგან.

გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა ხდება აფრების საშუალებით.

საკურთხეველი ღრმაა, მაგრამ ბემა გამოყენებული არ არის და გვერდის სიბრტყეები აბსიდის მომრგვალებასთან ერთნაირია. აბსიდში თანაბარი ინტერვალით (ერთი ცენტრში და თითო გვერდებზე), ნახევარწრიული გეგმის მქონე ნიშებია. საკურთხევლის შუაში ტრაპეზის ქვა დგას.

საკურთხევლის გვერდებზე ორი ორსართულიანი სადგომია. ქვემოთ სადიაკვნე და სამკვეთლოა, ზემოთ კი - სამალავები. სადიაკვნე და სამკვეთლო თითო კარითაა დაკავშირებული როგორც საკურთხეველთან, ისე ეკლესიის დარბაზთან. ორივე სადგომი აბსიდით მთავრდება და თითო სარკმლით ნათდება, გვერდის კედლებზე კი სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა ზომის ნიშებია.

საკურთხეველი დარბაზისაგან კანკელით იყო გამოყოფილი, მისგან მხოლოდ ზედა კოჭია გადარჩენილი.

ეკლესიის კედლები შიგნიდან ყორექვითა და აგურითაა ნაგები, ხოლო კამარები და თაღები მთლიანად აგურისაა. კედლები შელესილი ყოფილა, მაგრამ მოხატულობა არ ჩანს. უკანასკნელ პერიოდში იგი კირით შეუთეთრებიათ. ეკლესიის ფასადები მარტივია. ნაგებობა ორსაფეხურიან, მარტივი პროფილის მქონე ცოკოლზეა აღმართული და ფასადებიც სადა კარნიზით მთავრდება. ფასადების მთელი მორთულობა კარებისა და ზოგიერთი სარკმლის ირგვლივაა განლაგებული. აღმოსავლეთ ფასადზე სამი სარკმელია და სამივეს მოჩუქურთმებული საპირე არშია გასდევს. ცენტრალური სარკმლის თავზე კი ჯვარია აღმართული.

სამხრეთი ფასადის ზედა ორ ჰორიზონტზე განლაგებული სამი სარკმელი მხოლოდ თლილი ქვით ყოფილა მოპირკეთებული. დასავლეთ ფასადზე ერთი კარი და სამი სარკმელია. ისინი თლილი ქვითაა მოპირკეთებული. ამათგან მორთულია მხოლოდ ცენტრალურ ღერძზე მდებარე ელემენტები. კარის თაღის ზემოთ, მარჯვნივ, ოსტატს თავისი მარჯვენა და სამუშაო იარაღები გამოუსახავს. შესასვლელის თავზე სამყურა-ბოლოებიანი, ტოლმკლავა ჯვარია.

გუმბათის ყელს მარტივი ფორმის, უჩუქურთმო, სადა კარნიზი ამთავრებს.

ლარგვისის ციხე მაღალი მთის ფერდობზეა აგებული. იგი ძირითადად ორი ეზოსგან შედგება, რომელთაგან პირველი, სამხრეთით მდებარე, თითქმის ოთხჯერ აღემატება მეორეს. აქვეა ჭიშკრიანი კოშკი, ეკლესია და საცხოვრებელი სახლების ნანგრევები; ციტადელი უფრო მაღლაა.

ციხის კომპლექსის ფრაგმენტი

ციხეს ორი შესასვლელი ჰქონია. სამხრეთ-აღმოსავლეთით და დასავლეთით, ამათგან ერთი მთავარია, მეორე - დამხმარე.

ციხე გეგმით უწესო მრავალგვერდაა, რაც მთის რელიეფითა გამოწვეული, კედლები სხვადასხვა სიმაღლისაა. გალავნის კუთხეებს კოშკები ამაგრებდა, ხოლო თვით კედლებს ბურჯები. კოშკებიდან ყველაზე დიდი და საინტერესო - გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს. სიმაღლისა და სიდიდის მხრივ მას მოსდევს სამხრეთ-აღმოსავლეთი კოშკი; ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კოშკები კი შედარებით მცირე ზომისაა.

ჭიშკრიან კოშკს კვადრატული გეგმა აქვს. მის ქვედა სართულში კამაროვანი გასასვლელია. ზედა სართულში დახურული სათავსი ყოფილა კედლებში დატანებული სათოფურებით. ციხის ამ მთავარი შესასვლელის დაცვას ემსახურებოდა იქვე, გალავნის გარეთ მდგარი კოშკი. მდინარეთა შეერთების ადგილზე აგებული ეს უკანასკნელი კოშკი, ალბათ, საგუშაგოს ფუნქციას ასრულებდა.

ციხის სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკებიდან



საცხოვრებელი კოშკი, გეგმა

მხოლოდ პირველის კვალი ჩანს, ხოლო მეორე ორი-სამი მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ორივე კოშკი ნახევარწრეხაა, გალავანზეა მიდგმული და მცირე ზომისაა. ციხის დასავლეთი კედელი სხვებზე გაცილებით მაღალი და განიერია. ქვედა იარუსი ყრუა. საბრძოლო ბილიკს სათოფურებიანი თხელი კედელი გასდევს.

ციხის ყველაზე რთულ ნაგებობას ციტადელის კოშკი წარმოადგენს. მისგან მხოლოდ სამი სართულია შემორჩენილი. ეზოდან ოთხი მეტრის სიმაღლეზე შესასვლელია. გარედან კოშკი კვადრატულია, შიგნით კი, გეგმაში ტოლმკლავა ჯვარი იქმნება. კუთხეებში სხვადასხვა სადგომია. ერთ-ერთი მათგანში კიბის უჯრედია მოთავსებული. სამხრეთ-დასავლეთი კუთხის მეორე სართულის ოთახს ქვის მასალის გვირგვინული გადახურვა აქვს. კოშკი უხვადაა აღჭურვილი სარკმლებით, სათოფურებით, ბუხრებითა და ნიშებით. იგი კარგად დაგეგმარებულ კოშკური სახლის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს.

სოფ. ლარგვისი, სოფლის სამხრეთით 2 კმ-ზე, ადგილი იფნევი

ქსნის ერისთავების რეზიდენცია (ციხე-დარბაზი)

XIV ს და გვიანი შუა საუკუნეები



კოშკის გეგმა

თავისი მმართველობის პირველ პერიოდში ქსნის ერისთავებს რეზიდენცია ქვენიფნევში (ნაქალაქარი) ჰქონდათ.. მათ საგვარეულო სამარხს ლარგვისი წარმოადგენდა. "ძეგლი ერისთავთას" მიხედვით, ქვენიფნევში უნდა ყოფილიყო მოზრდილი ციხე. ქვენიფნევი მოხსენიებულია ქსნის საერისთავოს იმ დიდ ციხეთა შორის, რომელთა აღება მეფე დავით VIII ვერ მოახერხა: " და მოაოხრეს ყოველი ცხრაზმის ხევი გარეშე ციხეთა, და ცი-

ხეთა ჰბრძოდეს ქუენიფ-
ნევს, არ‹ამედ ვერ აიხუნეს
და შ დ ნელ გაგრძელდა
ჰომი მათი" ერისთავი
ლარგველი შალვას ძე გი-
ორგი V-ის მეფობის დროს
(1314-1346 წწ.) აშენებს
"...ტფილურითა წესითა
დარბაზოვანს ქუენიფ-
ნევს" ხოლო ქვენიფნეველ
ვირშელისძემა XIV ს. შუა
ხანებში "აღაშენა ქუენიფ-
ნევს ეკლესია და დარბა-
ზოვანი დიდ-დიდი და შუ-
ენიერი"



კოშკის საერთო ხედი

ქვენიფნევი მდებარე-
ობს მდინარის მარჯვენა
მხარეს მაღალ მთაზე. როგორც ერისთავთა რეზიდენცია, იგი წარმოად-
გენდა ძლიერ გამაგრებულ ციხე-სიმაგრეს და ნაგებობათა რთულ კომ-
პლექსს.

ციხის გალავანი თითქმის კვადრატულია. გალავნის დასავლეთ მხა-
რეს ვიწრო შესასვლელია. ციხის გალავნის კედლები შედარებით უკეთ
დასავლეთ ნაწილშია შეძონახული. სიმაგრის კედლები ნაგებია მსხვილი
ქვით, რომელიც ოდნავაა დამუშავებული და ერთმანეთთან კარგადაა მიჯ-
რილი.

გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დგას ნახევრად დანგრე-
ული კოშკი, რომლის გეგმა შიგნიდან კვადრატულია, ხოლო დასავლე-
თი კედელი გარედან მომრგვალებულია. კოშკის კედლები გაცილებით
მცირე ზომის ქვითაა ნაგები, ვიდრე გალავნისა. კოშკს დატანებული აქვს
რამდენიმე სათოფური. კოშკი წყობითა და სათოფურების მიხედვით გა-
ლავანზე გვიანდელი ჩანს.

კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთით სწორკუთხა გეგმის მქონე დი-
დი შენობის ნანგრევებია, რომლის წყობა რამდენადმე ჰგავს გალავნის
დასავლეთ კედლისას. შესაძლოა ეს იყოს ლარგველ შალვასძის მიერ "ტფი-
ლური წესით" ნაგები "დარბაზოვანი"

გალავნის შიგნით კიდევ რამოდენიმე სათავსის ნანგრევია. კომპლექ-
სის აღმოსავლეთით პარალელური კედლის ფრაგმენტებია, რაც გამაგ-
რების სისტემას უნდა ეკუთვნოდეს.

გალავნის გარეთ სერიოზულად დაზიანებული, ფლეთილი ქვით ნა-

გები მცირე დარბაზული ეკლესიაა. ეკლესიის საკურთხეველი კუთხეებში ოდნავ მომრგვალებულია. აღმოსავლეთ კედელში ორი სარკმელი იყო. ერთი სარკმლის თავზე, ფასადზე ქვაა დატანებული, რომელზედაც ჯვარია ამოკვეთილი. ინტერიერის ეკლესიის კედლები დაფარული ყოფილა ფრესკული მხატვრობით, რომელთა მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ქვენიფნევში რეზიდენციის არსებობა განპირობებული იყო მისი სტრატეგიული მდებარეობით. ჩრდილო-დასავლეთით აღმართული მთები საიმედოდ იცავდა მას, დასავლეთიდან კი ზურგს უმაგრებდა ქოლოთის ციხე. ქვენიფნევი თავისი ხელსაყრელი მდებარეობის წყალობით კონტროლს უნევდა ქსანზე გამავალ მაგისტრალს და ხეობის ზედა ნაწილის დაცვის ორგანიზაციის საკითხს წყვეტდა.

სოფ. ლარგვისი, ნასოფლარი ქვენიფნევი

ეკლესია

გარდამავალი შუა საუკუნეები

ეკლესია დიდი ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები.

სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი

დარბაზული ეკლესია გეგმით მართკუთხედია, აღმოსავლეთით სწორკუთხა შებრტყელებული ნალისებრი აბსიდით. საკურთხევლის კედლის ნაწილი ჩამონგრეულია მიწის დონეზე. ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილია სარკმლის მარჯვენა წირთხლი. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა.



გეგმა

გრძივ კედლებს წყვილი, ორსაფეხურიანი პილასტრი ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს.

სამხრეთ კედელში არქიტრავული

შესასვლელი და სარკმელია გაჭრილი. ინტერიერში აღმოსავლეთ კედელზე შემორჩენილია ფრესკების ფრაგმენტები.

ფასადებზე შეიმჩნევა შელესილობის კვალი. ძეგლის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

ეკლესიის კამარა და კონქი ჩამოქცეულია, კედლები დაბზარული. იატაკი ამოვსებულია მიწით.

სოფ. ლარგვისი

სალოცავი, ხატის ნანგრევი

შუა საუკუნეები



გეგმა

ნასოფლარ ხრომისწყაროს სამხრეთ განაპირას აგებულია სოფლის მთავარი სალოცავი ხატი. მისგან შემორჩენილია კედლები დაახლოებით 1 მეტრ სიმაღლეზე. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ნამსხვრევი კლდოვანი ქვა.

საერთო ხედი

მცირე ნაგებობის ჩრდილოეთ კედელში მოწყობილია შესასვლელი. გეგმით ნაგრძელებული სწორკუთხა დარბაზი, აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხეველს ქმნის. საკურთხევლის ჩრდილოეთ ნაწილში მცირე ნიშაა.

სოფ. ლარგვისი, მიდამოები, ნასოფლარი საქორეთი

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ეკლესია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზული ეკლესია გეგმით მართკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით აქვს ასიმეტრიული ფორმის

აბსიდა, რომლის ცენტრში არქიტრავული სარკმელია. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას.



ხედი სამხრეთიდან

ეკლესიის კამარა და კონქი ოდნავ შებრტყელებულია. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა.

ეკლესიას დასავლეთიდან მცირე სამლოცველო აქვს მიშენებული. აღმოსავლეთ კედელში მოწყობილია შეისრული ნიშა. მის ქვეშ ტრაპეზის ქვა დგას. მინაშენს დასავლეთით სწორკუთხა სარკმელი, ხოლო სამხრეთით არქიტრავული შესასვლელი აქვს. მინაშენის გადახურვა მთლიანად ჩამოქცეულია.

სოფ. ლარგვისი, მიდამოები, ნასოფლარი საქორეთი

ამაღლების ეკლესია

გარდამავალი ხანა

ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის სხვადასხვა ზომის ქვითაა ნაგები.



გეგმა

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. სამხრეთით და ჩრდილოეთით თითო სწორკუთხა ნიშაა.

სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილში გაჭრილია არქიტრავული კარი. ამავე კედელში სარკმლის კვალია.

ეკლესიას სამხრეთიდან თანადროული მინაშენი აქვს, კედლების სიმაღლე 1 მეტრს აღწევს.

დაზიანებულია ძეგლის კამარა, კონქი ჩამოქცეულია, კედლები დეფორმირებულია. ინტერიერი ამოვსებულია ქვით. ძეგლის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.



ინტერიერი, საკურთხევლის ფრაგმენტი

სოფ. ლარგვისი, მიდამოები

ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ნასოფლარ საქორეთის დასავლეთით 2 კმ-ში, მთის სერზე, ძველი სამარხილე გზის მახლობლად, არის ეკლესიის ნანგრევი. ირგვლივ წიფლისა და რცხილის ტყეა, ურევია მუხაც.

საერთო ხედი

საყდრის კედლები შემორჩენილია დაახლოებით 1,5 მეტრამდე, წყობაში ერთმანეთს ენაცვლება დიდი და მცირე ზომის დახავსებული, უხეშად თლილი, ზოგჯერ უფორმო კლდოვანი ქვები. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. სწორკუთხა საკურთხევლის სატრაპეზო ქვა კედლის წყობაშია ჩაშენებული. სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაპირში მცირე ზომის, გეგმაში სწორკუთხა, ნიშაა.



გეგმა

სოფ. ლარგვისი, მიდამოები

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

საკურთხეველის ფრაგმენტი

ძეგლი მდებარეობს ნასოფლარ საქორეთის დასავლეთით 3 კმ-ზე, ხშირი, შერეული ტყით დაფარულ მთის წვერზე. სახურავი, რომელიც ფიქალის ფილებისგან ყოფილა გადახურული, ამჟამად ჩაქცეულია. სამშენებლო მასალად გამოყენებულია უხეშად თლილი, სხვადასხვა ზომის კლდოვანი ქვა.

დარბაზი გეგმაში წაგრძელებული სწორკუთხა მოხაზულობისაა და საკურთხეველისაგან გამიჯნულია ერთსაფეხურიანი მხრებით. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. ფართო სწორკუთხა საკურთხეველი სამხრეთით ნალისებრია. მის ცენტრში მოთავსებულია სწორკუთხა სარკმელი, რომლის ორივე მხარეს ასევე თითო სწორკუთხა ნიშაა. თაღები შირიმის თლილი ქვებით იყო ნაშენი.

საერთო ხედი

ეკლესიაზე შემორჩენილია ბათქაშის კვალი. იქვე ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამიოდე მეტრში შემორჩენილია დამხმარე სათავსის გეგმის კვალი.

სახურავი ჩაქცეულია, კედლები დამსკდარია.

სოფ. ლარგვისი, მიდამოები

სალოცავი ნიში

XIX-ს.



გეგმა

ნასოფლარ საქორეთის დასავლეთით 2 კმ-ში, მთის სერზე არის მშრალი წყობით აგებული მცირე ნიში.

სოფ. ლარგვისი, მიდამოები

სალოცავი ნიში

XIX ს.



საერთო ხედი

ნიში მდებარეობს ნასოფლარ ხრომისწყაროს ჩრდილოეთ განაპირას. იგი მცირე ზომისაა და სხვადასხვა ზომის კლდოვანი ქვითაა ნაშენი.

სოფ. მარტიანი, მიდამოები

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



საერთო ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

მდ. ცხრაძმის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს დარბაზული ეკლესია ჩრდილოეთი მინაშენით, რომელიც ადგილობრივი წარმოშობის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. ალაგ-ალაგ წყობაში ჩაყოლებულია უხეშად დამუშავებული დიდი ზომის კვადრები.

ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში ერთ ღერძზე ორი არქიტრავული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. ჩრდილოეთით ერთი თაღოვანი ნიშაა. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში შემორჩენილია კანკელის ბუდეები. ეკლესიის სამხრეთ კედელში ერთი ნიშაა. ამავე კედელზე მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი მხედრული წარწერა: "ქ. ღმერ... წმინდავ სამება შეიწყალე მუ... ფ... იად... დვი... სარ... გ.... აფ.... მესამე და მეოთხე სტრიქონი დაზიანების გამო არ იკითხება.

მხედრული წარწერის კვალია დასავლეთ კედელზეც.

ეკლესიის მთელ პერიმეტრს ერთსაფეხურიანი ხარისხი მიუყვება.

კამარა ცილინდრულია. დასავლეთ კედელში მოთავსებულია სწორკუთხა სარკმელი. იატაკი მიწაყრილია.

ჩრდილოეთი შესასვლელი არქიტრავულია. კარი ნაოთხალია. მინაშენს არქიტრავული და ნაოთხალი შესასვლელი ჩრდილოეთ კედელში აქვს. ანალოგიურია აღმოსავლეთი სარკმელიც. მინაშენის კედლები შემორჩენილია დაახლოებით 2 მეტრზე.

ეკლესიის საბურავად გამოყენებულია ფიქალი. კარნიზი მარტივპროფილიანია. ძეგლის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

სოფ. მარტიანი

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

ძეგლი მდებარეობს სოფლიდან დასავლეთით 2 კმ-ზე ნასოფლარ "ახლოურებში" ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის თლილი ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზული, სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესიის კედლები შემორჩენილია 1,5-2 მეტრის სიმაღლეზე. გეგმით მართკუთხედია. საკურთხეველს მხარი მხოლოდ ჩრდილოეთიდან აქვს. ამავე კედელში გაჭრილი იყო შესასვლელი და სარკმელი. ინტერიერი ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით.

ეკლესიას ჩრდილოეთიდან მინაშენი ჰქონდა. იგი მთლიანად დანგრეულია. მინაშენი ეკლესიას ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი კარით უკავშირდება.



გეგმა

საერთო ხედი

სოფ. მარტიანი, მიდამოები

კვირაცხოვლის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ძეგლი მდებარეობს სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ-ზე, ნასოფლარ ყველდაბაში. ეკლესია დიდი ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. შემორჩენილია დასავლეთი კედელი, რომლის სიმაღლე 1,5 მეტრს აღწევს და სამხრეთ-დასავლეთი კუთხე. ოდნავ უკეთეს მდგომარეობაშია ეკლესიის ჩრდილოეთი მინაშენი. აქ შემორჩენილი კედლების სიმაღლე 2 მეტრია. მინაშენში შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. კარი ნაოთხალია. აღმოსავლეთ კედელში მოთავსებულია სარკმელი. მინაშენის და ეკლესიის აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები დანგრეულია.



გეგმა

ეკლესიის ჩრდილოეთით შემორჩენილია სამრეკლოს მასიური ოთხკუთხა ფორმის სამი სვეტი.

ძეგლს გარშემო მაღალი გალავანი შემოუყვებოდა. გალავნის აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლების კვალი არ იკითხება.

სოფ. მარტიანი, მიდამოები

სამონასტრო კომპლექსი "ჯვარპატიოსანი"

განვითარებული შუა საუკუნეები

სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 3 კმ-ზე, ნასოფლარ ყველდაბაში მდებარე დარბაზული ეკლესია სამხრეთის თანადროული მინაშენით, გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთით აქვს ნახევარწრიული აბსიდა, რომლის ცენტრში გაჭრილი არქიტრავული სარკმელი გარეთ ვიწროვდება. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. კონქი სფერულია, სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. აბსიდის იატაკის დონე ერთი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკთან შედარებით. საფეხურის წინ მასიური ბუნის ქვა დგას. ოთხკუთხა ქვა ოთხივე მხარეს მორთულია დეკორატიული თა-

ღებით. ქვაზე შემორჩენილია ჯვრის ზედა მკლავის მოხატულობა და წარწერის ფრაგმენტი, ჩრდილოეთ და სამხრეთ კედელში კი კანკელის ბუდე.



გენგეგმა

ეკლესიას ოდნავ შეისრული კამარა აქვს. დასავლეთ კედელში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედელს ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს. სამხრეთი შესასვლელი შიგნით შეისრულთაღიანი, გარეთ არქიტრავულია. კარი ნაოთხალია. ეკლესიის კედლები შელესილი იყო მოსახატავად.

სამხრეთი მინაშენის კედლები შემორჩენილია 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე. შესასვლელი აღმოსავლეთიდან ჰქონდა, დაზიანების გამო მისი ფორმა არ იკითხება. დასავლეთ კედელში ვიწრო სარკმლის კვალია.

ეკლესია დიდი ზომის მოყვითალო, ფლეთილი ქვითაა ნაგები. კარნიზი მარტივპროფილიანია. საბურავად გამოყენებულია ფიქალი.

ეკლესიიდან დასავლეთით დიდი ზომის სატრაპეზოა. კედლები შემორჩენილია 2-3 მეტრის სიმაღლეზე. აღმოსავლეთ კედელში ჩანს შესასვლელის კვალი. ჩრდილოეთ კედელში რამდენიმე ნიშაა მოწყობილი. სატრაპეზო დიდი ზომის ადგილობრივი წარმოშობის ქვითაა ნაგები.

ეკლესიას გარს შემოუყვება გალავანი. გალავნის გარეთ სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მოთავსებულია კარიბჭე - სამრეკლო. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ოთხკუთხა, მასიური სვეტები.

სოფ. მარტიანი

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 3 კმ-ზე, ნასოფლარ ყველდაბაში მდებარე ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზული ეკლესია ჩრდილოეთი მინაშენით გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით გააჩნია მოკლე, შებრტყელებული აბსიდი,

რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. ჩრდილოეთით სწორკუთხა ნიშაა. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებში სწორკუთხა სარკმლებია გაჭრილი. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა, კარი ნაოთხალია. ინტერიერში მიწის დონე აწეულია.

ეკლესია მინაშენს არქიტრავული შესასვლელით უკავშირდება. მინაშენის გადახურვა კამაროვანია. დასავლეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია. ჩრდილოეთ კედელში მოწყობილია მცირე ზომის ნიშა.

ეკლესიის ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა.



გეგმა

სოფ. მახიარეთი

წმინდა მარიამის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

სოფლის სასაფლაოზე მდებარე დარბაზული ეკლესიის კედლები შემორჩენილია 2 მეტრის სიმაღლეზე. გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით საკურთხეველში დგას ტრაპეზის ქვა.

ნაოთხალი შესასვლელი სამხრეთიდანაა. სამშენებლო ქვა უხეშადაა დამუშავებული.

საერთო ხედი



გეგმა

სოფ. მახიარეთი

კვირაცხოვლის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ძეგლი მდებარეობს სასაფლაოს ტერიტორაზე. ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის უხეშად დამუშავებული მოთეთრო ქვითაა ნაგები. კედლები შემორჩენილია 3 მეტრის სიმაღლეზე, ზოგან უფრო ნაკლები.



საერთო ხედი სამხრეთიდან

მცირე ზომის დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, სწორკუთხა საკურთხეველის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. ცილინდრული კამარის მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილია შემორჩენილი. დასავლეთ კედელში მცირე, სწორკუთხა სარკმელია. სამხრეთ კედელში შესასვლელის კვალია, ამავე კედელში მოთავსებულია ნიშა. ეკლესია ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.



გეგმა

სოფ. მახიარეთი

მთავარანგელოზის ეკლესია, სატრაპეზო

გარდამავალი ხანა

დარბაზული ეკლესია კარგად თლილი ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია.

ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით აქვს ასევე სწორკუთხა საკურთხეველი, რომლის ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი, საფეხურებიანი სარკმელი. სარკმლის ძირში ორმაგთაღიანი ტრაპეზის ქვა დგას. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო თაღო-

ვანი ნიშაა. სფერულ კონქზე გადასვლა ხდება ტრომპების საშუალებით. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. აბსიდის იატაკის დონე სამი საფეხურით მაღალია დარბაზთან შედარებით.



აღმოსავლეთი ფასადი



სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი

გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. ცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი პილასტრების კაპიტელს ეყრდნობა.

ეკლესია ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის შეისრულთაღიანი სარკმლებით. ჩრდილოეთ და დასავლეთ კედელში თითო სწორკუთხა ნიშაა. სამხრეთის არქიტრავული შესასვლელი ნაოთხალია. კარის თავზე ლუნეტი ამოშენებულია. ეკლესიის მთელ პერიმეტრს ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს. იატაკი მიწაყრილია.

ეკლესიას სამხრეთიდან თანადროული მინაშენი აქვს. მინაშენის კედლები შემორჩენილია 2 მეტრის სიმაღლეზე, შესასვლელი დასავლეთ კედელშია. აღმოსავლეთით - ვიწრო სარკმელია. ეკლესიის საბურავად გამოყენებულია ფიქალი. ლავგარდანი მარტივპროფილიანია.



გეგმა

ეკლესიიდან სამხრეთით 3-4 მეტრში შემორჩენილია სატრაპეზო. მისი კედლები 2-3 მეტრზეა, გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში მოწყობილია არქიტრავული ნიშები.

ეკლესიის კედლები დეფორმირებულია.

სოფ. მახიარეთი

ღვთისმშობლის ნიში

XIX ს.

ნიში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა აგებული. წყობა მშრალია.



საერთო ხედი

სოფ. მახიარეთი

კოშკის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

სოფელში შემავალი გზის მარცხნივ, შემაღლებულ ადგილზე შემორჩენილია მრგვალი კოშკის დასავლეთ კედლის ნანგრევი. სამშენებლო მასალა ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვაა. კედლის სიმაღლე 2 მეტრს აღწევს.

კედლის ფრაგმენტი

სოფ. მახიარეთი

ნაგებობის ნაშთი და კოშკის ნანგრევი

შუა საუკუნეები

სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე ნაგებობის მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის წყობა ჩანს. სამშენებლო მასალა ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვაა. გეგმა არ იკითხება. ტერიტორიაზე მიმობნეულია დიდი ზომის ქვები.

საერთო ხედი

იქვეა დიდი ზომის მრგვალი კოშკის ნანგრევი, საიდანაც კოშკის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთის კედელია შემორჩენილი. ქვა ფლეთილია.

სოფ. მახიარეთი

ეკლესია

გარდამავალი ხანა

დარბაზული ეკლესია კარგად თლილი ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია. ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, სწორკუთხა საკურთხევლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი, საფეხურებიანი სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო თაღოვანი ნიშაა. სფერულ კონქზე გადასვლა ხდება ტრომპების საშუალებით. სატრიუმფო თაღი იმპოსტებს ეყრდნობა. აბსიდი დარბაზისგან გამოყოფილია შვერილებით. საკურთხევლის წინ სამ-საფეხურიანი სოლეაა. კედლებში შემორჩენილია კანკელის ბუდეები.

გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრები დასრულებულია კაპიტელებით, რომელთაც ცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი ეყრდნობა. ეკლესიას მთელ პერიმეტრზე ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს.

ეკლესია განათებულია აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის



ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

თაღოვანი სარკმლებით. ნაოთხალი შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი. არქიტრავის თავზე ამოშენებულია ლუნეტი.

ეკლესიას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან თანადროული მინაშენები აქვს. სამხრეთ მინაშენის კედლების სიმაღლე 2-2,5 მეტრს აღწევს, მინაშენი ჩახერგილია ჩამონაშალი ქვით. არქიტრავული შესასვლელი მოთავსებულია სამხრეთ კედელში. ეკლესიის ფასადზე შემორჩენილია მინაშენის კამარის ნაწილი.



გეგმა

ეკლესია ჩრდილოეთის მინაშენს აბსიდში გაჭრილი არქიტრავული კარით უკავშირდება. მინაშენი გრძელ სათავსს წარმოადგენს. გადახურვა კამაროვანია. აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლებში თითო სწორკუთხა სარკმელი და ნიშაა.

ეკლესიის საბურავად გამოყენებულია დიდი ზომის ფიქალი. კარნიზი მარტივპროფილიანია.

ძეგლის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები.

საბურავი თითქმის აყრილია, კედლები დაბზარულია, მიწის დონე ეკლესიის გარშემო აწეულია.

სოფ. მახიარეთი

კოშკის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

კედლის ფრაგმენტი

კოშკი ადგილობრივი წარმოშობის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. შემორჩენილია სამხრეთი და ნაწილობრივ ჩრდილოეთი კედელი. პირველი სართული მთლიანად ამოვსებულია მიწით.

სოფ. მახიარეთი

ზურგიანი კოშკის ნანგრევი

განვითარებული შუა საუკუნეები

სამი სართულის დონეზე შემორჩენილი კოშკი, სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. აქედან სამხრეთი და დასავლეთი კედლები მთლიანად ჩამონგრეულია, გადარჩენილია ჩრდილოეთ ზურგის მცირე ნაწილი. დგას მხოლოდ აღმოსავლეთი კედელი.

კოშკს საბრძოლო ელემენტები არ შემორჩენია.



გეგმა



ჩრდილო-აღმოსავლეთი
კედლის ფრაგმენტი

სოფ. მახიარეთი

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია სოფლიდან სამხრეთით 3 კმ-ზე მდებარეობს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვა. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია ფიქალით.

ეკლესიიდან შემორჩენილია დასავლე-



გეგმა

თი და ჩრდილოეთი კედელი, დასავლეთი კედლის სიმაღლე 4-5 მეტრს აღწევს, ჩრდილოეთისა კი 1 მეტრს. ამ კედელზე შემორჩენილია პილასტრის ქვედა ნაწილი. დასავლეთ შესასვლელი გარედან არქიტრავულია - შიგნით თაღოვანი. თაღი შირიმის ქვისაა. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

დასავლეთი კედლის ფრაგმენტი

აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები მინამდეა დასული.

სოფ. მონასტერი

კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები

მრგვალი კოშკი შემორჩენილია ორი სართულის დონეზე. პირველი სართულის აღმოსავლეთ კედელში მოთავსებულია შესასვლელი. კარი ნაოთხალია. ჩანს საურდულე. ამავე სართულის სამხრეთ კედელში მოწყობილია შეწყვილებული ნიშა, რომელთაც შეისრული თაღები აქვს.

მეორე სართულის ჩრდილოეთ კედელში კიდევ ერთი კარია. შესასვლელის მარჯვნივ ბუხრის კვალია. აღმოსავლეთ კედელში ორი არქიტრავული ნიშაა. დასავლეთ კედელში გაჭრილია სარკმელი.

კოშკი სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. გარშემო მინის დონე აწეულია.

კოშკზე ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა დანიშნულების სათავსები მიუშენებია. კოშკი დაზიანებულია.

სოფ. მონასტერი

ნათლისმცემლის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითაა ნაგები.

გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდის ცენტრში გაჭრილია სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპე-

ზის ქვა დგას. აბსიდის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ აგურის კანკელია. კანკელს ორი აღსავლის კარი აქვს. სვეტებზე მოწყობილია ნიშები.

ეკლესიის კამარა ცილინდრულია. კამარის საბრჯენი თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა. დასავლეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. ჩრდილოეთ კედელს ხარისხი გასდევს. სამხრეთი შესასვლელი შიგნით არქიტრავული, გარეთ თაღოვანია.

ეკლესიას სამხრეთიდან მინაშენი ჰქონდა. მინაშენის მხოლოდ ჩრდილოეთი კედლის კვალი ჩანს.



ხედი ჩრდილოეთიდან



გეგმა

სოფ. მონასტერი

ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები



კედლის ფრაგმენტი

სოფლის სასაფლაოზე მდებარე ეკლესიიდან შემორჩენილია აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების მცირე ნაწილი, რომელთა სიმაღლე 1 მეტრს აღწევს, ზოგან უფრო ნაკლებს. ქვა ძირითადად ფლეთილია. აქა-იქ შირიმის ქვაც ურევია, მაგალითად, სამხრეთ შემოსასვლელის თაღზე. გეგ-

მა არ იკითხება, ჩანს მხოლოდ აბსიდის მომრგვალებული მცირე ნაწილი. მიწის დონე აწეულია.

ეკლესია ჩახერგილია ჩამონაშალი ქვით.

ძეგლის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები და სხვა ნაგებობათა ნაშთები.

სოფ. მონასტერი, მიდამოები

ღვთისმშობლის სამონასტრო კომპლექსი

განვითარებული შუა საუკუნეები



გეგმა

სამონასტრო კომპლექსი შედგება ეკლესიის, სამრეკლოსა და სატრაპეზოსაგან.

დიდი მოცულობის დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. ეკლესიამ არაერთხელ განიცადა გადაკეთება.

გეგმით წაგრძელებულ სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით შვერილი, ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია შეისრულთაღიანი სარკმელი. სარკმლის ძირში და აბსიდის ცენტრში დგას მასიური ტრაპეზის ქვები. აბსიდს ორსაფეხურიანი ხარისხი გასდევს. საკურთხევლის წინ გვიანდელი კანკელია, ცენტრში აღსავლის კარით და გვერდებზე თაღოვანი ნიშებით. კონქი სფერულია, სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით თითქმის თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. ეკლესიის ცენტრალურ სივრცეში მოგვიანებით აუგიათ სამი წყვილი მასიური, ოთხკუთხა სვეტი, ჩრდილოეთით და სამხრეთით შექმნილია პასტოფორიუმები. ცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი პილასტრებს ეყრდნობა. ეკლესია ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის თაღოვანი სარკმლებით. იატაკი მინაყრილია.

დასავლეთ არქიტრავულ შესასვლელს ნაოთხალები აქვს. ტიმპანზე

და წირთხლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

შესასვლელს წინ გვიანდელი, კამაროვანი გადახურვის კარიბჭე აქვს. კარიბჭის თაღები შეისრულია.

ეკლესიას ჩრდილოეთიდან სამლოცველოები, ხოლო სამხრეთიდან მინაშენი აქვს. პირველი სამლოცველო წარმოადგენს დარბაზს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ცენტრში გაჭრილია სარკმელი. ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. სამხრეთის გრძივ კედელში ასეთივე ნიშაა. სამლოცველოში შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. იგი დამოუკიდებელია და არ უკავშირდება მთავარ ეკლესიას. ეკლესიის ჩრდილოეთის მეორე მინაშენიც აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით. ეკლესია მინაშენს ჩრდილოეთის კედელში მოთავსებული შესასვლელით უკავშირდებოდა. კარი ამჟამად ამოშენებულია. ჩრდილოეთის მინაშენების გადახურვა ჩამოქცეულია. სამხრეთ მინაშენს მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეებია შემორჩენილი. აქ იკითხება აბსიდის მომრგვალების მცირე ნაწილი. სამხრეთ შესასვლელთან დამაკავშირებელი კარი ამოშენებულია.

ეკლესიიდან აღმოსავლეთით 10 მეტრში შემორჩენილია ორსართულიანი სამრეკლოს ნანგრევი. სამრეკლო ძირითადად რიყის ქვითაა ნაგები, შირიმი მხოლოდ კუთხეებშია გამოყენებული. სამრეკლოს ნახევარწრიული თაღები ოთხკუთხა სვეტებს ეყრდნობა. მეორე სართული თითქმის ჩამონგრეულია.

სამრეკლოს აღმოსავლეთით სატრაპეზო ემიჯნება. მისი კედლების სიმაღლე 2-3 მეტრს აღწევს. გრძივი კედლები დაყოფილია პილასტრების საშუალებით. აღმოსავლეთი კედლის ცენტრში მოწყობილია ნახევარწრიული ბუხარი.

კომპლექსის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

სოფ. მონასტერი

ეკლესია "ბასილის ძმა"

XX საუკუნის დასაწყისი



გეგმა

ალეურას ხეობაში მდებარე დარბაზული, სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. გეგმით სწორკუთხედს წარ-

მოადგენს. სწორკუთხა ნიშები მოწყობილია სამხრეთ და აღმოსავლეთ კედელში. არქიტრავული შესასვლელი მოთავსებულია დასავლეთ კედელში.

ადგილობრივ მოსახლეობას ეკლესია გადაუხურავს კრამიტით.



ხედი ჩრდილო დასავლეთიდან

სოფ. მორბედაანი

წმინდა გიორგის ეკლესია

ადრე შუა საუკუნეები

ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია შირიმის ქვა.



აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი

დარბაზული ეკლესია, აღმოსავლეთით დასრულებულია ნალისებრი ფორმის აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით.

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია. დარბაზი ნათდება დასავლეთის და სამხრეთის სწორკუთხა სარკმლებით.



გეგმა

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია გაჭრილი. კარი ნაოთხალია.

ეკლესიას გარს შემოუყვება გალავანი, რომელიც ყორექვითაა ნაგები.

სოფ. მორბედაანი

ამაღლების ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ეკლესია ყორექვითაა ნაგები. ლავგარდანი შირიმის ქვისაა.

დარბაზული ეკლესია გეგმით კვადრატს უახლოვდება, აღმოსავლეთით ასიმეტრიული ფორმის ნალისებრი აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა.

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია გაჭრილი. დასავლეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია მოთავსებული. იატაკი ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით. კარნიზი მარტივპროფილიანია.

ეკლესიის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

სოფ. მოსაბრუნი, "ძეგლევის ხევი" სასაფლაოზე

ღვთისმშობლის ეკლესია

ადრე შუა საუკუნეები


ინტერიერის ფრაგმენტი

ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს, რომელიც, რიყისა და ფლეთილი ქვითაა ნაგები.

ეკლესიის ცენტრალური ნავი აღმოსავლეთით სრულდება კოლოფა აბსიდით, ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. ჩრდილოეთ

და სამხრეთ მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. კონქი ჩამოქცეულია. აბსიდი დარბაზისგან გამოყოფილია შვერილებით.



გეგმა

ცენტრალური ნავის გრძივი კედლები გახსნილია ნახევარწრიული თაღებით. თაღები მასიურ სვეტებს ეყრდნობა. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე შემორჩენილია იმპოსტები. თაღოვანი სარკმლები სამივე კედელშია მოთავსებული.

არქიტრავული შესასვლელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. არქიტრავად გამოყენებულია მასიური ხის ბოძები. კარი ნაოთხალია.

სამხრეთი ნავს სწორკუთხა საკურთხეველი გააჩნია. შემორჩენილია ცილინდრული კამარის მცირე ნაწილი. ნავის სამხრეთი კედლის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია.

ჩრდილოეთი ნავის აბსიდი ნახევარწრიულია, მის ცენტრში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აბსიდის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. შემორჩენილია სფერული კონქის სამხრეთი ნაწილი, აგრეთვე სამხრეთის მხარი. ნავის ჩრდილოეთი კედელი მთლიანად ჩამონგრეულია, დასავლეთი კედელი შემორჩენილია 3-4 მეტრის სიმაღლეზე. სამხრეთ კედელზე ჩანს ორსაფეხურიანი პილასტრის ქვედა ნაწილი.

ეკლესიის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

ეკლესია სერიოზულად არის დაზიანებული. კამარა და კონქი ჩამოქცეულია, კედლები დეფორმირებულია, მინის დონე აწეულია.

სოფ. მოსაბრუნი

მიძინების ხატის ეკლესია

ადრე შუა საუკუნეები



გეგმა

"ძეგლევის ხევში" მდებარე დარბაზული ეკლესია თანადროული სამხრეთი მინაშენით, დიდი ზომის რიყის ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია. ეკლესია გეგ-

მით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი, ჩრდილოეთით ერთი სწორკუთხა ნიშაა. აბსიდის მხრები ოდნავაა წინ გამოწეული.



აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი

ეკლესიის დასავლეთი კედელი თითქმის დანგრეულია, დანარჩენი კედლები შემორჩენილია 2 მეტრის სიმაღლეზე, ზოგან უფრო ნაკლებია.

თაღოვანი შესასვლელი სამხრეთ კედელშია, თაღი მორღვეულია, ინტერიერში მიწის დონე საგრძნობლად აწეულია.

ეკლესიის სამხრეთიდან მიჯრილი სწორკუთხა მინაშენის კედლები შემორჩენილია 1-1,5 მეტრზე. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. შემორჩენილია სფერული კონქი და აბსიდის მხრები.

ეკლესიის შესასვლელის მარჯვენა მხარეს ჩასმულია ქვა, რომელზეც ამოკაწრულია ასომთავრული წარწერა. წარწერა დაზიანების გამო არ იკითხება. მინაშენში შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი.

აღმოსავლეთ სარკმლის თავზე ჩასმულია შირიმის ქვა, რომელზეც წარბისა და ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. წარბი მეორდება ჯვრის ზემოთაც.

ეკლესია დაზიანებულია.

სოფ. მოსაბრუნი

წმინდა გიორგის ეკლესია

განვითარებული შუა საუკუნეები

ძეგლი მდებარეობს ძეგლევის ხევში, მთაზე. დარბაზული ეკლესია სამხრეთი მინაშენით რიყისა და ფლეთილი ქვითაა ნაგები.

გეგმა სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით ნახევარწრიული, შვერილი აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში დაბალი ტრაპეზის ქვა დგას. ჩრდილოეთით და

სამხრეთით თითო თაღოვანი ნიშაა. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხეველს ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს.

ეკლესიის კამარა ცილინდრულია. სამხრეთ კედელში მოთავსებულია სწორკუთხა სარკმელი, რომლის ზედა ნაწილი ჩამონგრეულია. შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია, იგი შიგნით არქტირავული - გარეთ თაღოვანია. კარი ნაოთხალია.

ინტერიერში კედლები შელესილია მოსახატად. ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია ფრესკული წარწერის (ასომთავრული) კვალი, რომელიც დაზიანების გამო არ იკითხება. ნალესობა მრავალ ადგილას ჩამოცვენილია, კამარა ორ ადგილას ჩამონგრეულია, იატაკი მინაყრილია.

ეკლესიის სამხრეთის გვიანდელი მინაშენი გეგმით სწორკუთხაა. მინაშენი აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, კონქი სფერულია, სატრიუმფო თაღი მხრებს ეყრდნობა. ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი პილასტრებს ეყრდნობა. ამჟამად სამხრეთი კედლის პილასტრი აღარ არსებობს. მინაშენის სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია.

ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



გეგმა

ეკლესიას შირიმის ქვის კარნიზი აქვს, იგი თარო-ლავგარდანია. ფასადები სადაა. ეკლესიის გარშემო შემორჩენილია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით ნაშენი მაღალი გალავანი. მისი სამხრეთი კედელი მთლიანად დანგრეულია, შემოსასვლელი თავისი კარიბჭით აღმოსავლეთ კედელშია.

გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიშენებულია გეგმით სწორკუთხა სათავსი, რომლის კედლების სიმაღლე 2-2,5 მეტრს აღწევს. სავარაუდოა, რომ იგი სენაკი იყო. ტერიტორიაზე მრავალად ყრია ჩამონაშალი ქვა.

სოფ. მოსაბრუნი

ხოფას მონასტერი

XIII საუკუნის I ნახევარი

"ვახუშტის მიხედვით: "ოძის ზეით არს მონასტერი ხოფა, უგუმბათო, დიდშენი კეთილად და ან ცარიელი"

XVIII საუკუნის ბოლოს სრულიად საქართველოს კათალიკოსის ანტონის დავალებით, ხოფის არქიმანდრიტი იოსებ ფიცხელაური ატარებს აქ რიგ აღდგენით სამუშაოებს. იგი სამხრეთის კარიბჭეზე აღმართავს სამრეკლოს, ხოლო შიგნით ეკლესიაში აგებს ახალ, აგურის კანკელს.

სოფლიდან 1 კმ-ზე, ტყეში მდებარე ხოფას სამონასტრო ანსამბლიდან შემორჩენილია ეკლესია და სატრაპეზო. ორივე ნაგებობა ტყით დაბურულ ადგილას დგას.

დარბაზულ ეკლესიას დასავლეთიდან და სამხრეთიდან მინაშენები აქვს. ნაგებია კარგად თლილი მოყვითალო ქვით. შიგნით კედლებზე ნახმარია რიყის ქვა. ეკლესიის მინაშენები სხვადასხვა დროისაა. ჩრდილოეთის გრძელი ეკვდერი, რომელიც ეკლესიას ორი შესასვლელით უკავშირდება - თანადროულია. დასავლეთი და სამხრეთი კარიბჭეები განეკუთვნება XIII-XIV საუკუნეებს.

დარბაზული ეკლესია შიგნით ფართე და მაღალია. გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი. ჩრდილოეთ და სამხრეთ



დასავლეთი ფასადი

ხოფა

მხარეს ნიშებია, რომლებიც მცირე სამალავებს წარმოადგენენ. საკურთხეველში მასიური ტრაპეზის ქვა დგას. კონქი სფერულია; სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.



გეგმა

საკურთხევლის წინ მოწყობილი ქვის კანკელი სამიარუსიანია. პირველი იარუსი ყრუა, მეორე - დაყოფილია შეისრული თაღებით, რომლის ცენტრში აღსავლის კარია. მესამე იარუსის მხოლოდ რამდენიმე სვეტია შემორჩენილი.

გრძივ კედლებს სამი თაღოვანი მალი არათანაბარ მონაკვეთებად ჰყოფს. შეისრული კამარის საბრჯენი თაღები იმპოსტებს ეყრდნობა. ეკლესია განათებულია აღმოსავლეთის, სამხრეთის ორი და დასავლეთის ერთი თაღოვანი სარკმლით. ნაოთხალიანი შესასვლელები ეკლესიას სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს. ორივე კარს ტიმპანი აქვს.

ჩრდილოეთი სამლოცველო განათებულია აღმოსავლეთის და დასავლეთის სარკმლებით. კამარის საბრჯენი თაღი პილასტრებს ეყრდნობა. აბსიდი ნახევარწრიულია.

ეკლესიაში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

ვინაიდან ეკლესიასთან მისასვლელი დასავლეთიდანაა, ეს ფასადი მეტი დეკორატიულობით გამოირჩევა. შესასვლელის ორივე მხარეს ფესტონებით მორთული ნიშებია. თვით შესასვლელს მდიდრულად მოჩუქურთმებული პორტალი ამშვენებს. ჩუქურთმაში წარმოდგენილია გეომეტრიული ნნული და მცენარეული მოტივი. კომპოზიციის თავზე აღმართულია ფრონტონით დაგვირგვინებული კედელი. ფრონტონში მოთავსებული სარკმელი მოჩარჩოებულია სამმაგი ლილვით. სარკმლის ოლე უხვადაა მოჩუქურთმებული. მის თავზე ჩასმულია გირჩი, ხოლო გირჩის ზევით კვადრია ჯვრის რელიეფური გამოსახულებით.

მოგვიანებით დასავლეთ ფასადს პორტიკი მიაშენეს, რომელმაც დაფარა ფასადის ქვედა ნაწილი. კარიბჭის შესასვლელს ასევე პორტალი ამშვენებს, რომლის ორივე მხარეს ნიშების მაგივრად თაღები გადადის.

სამხრეთი კარიბჭე გეგმით კვადრატია, რომელიც შიგნიდან გადახურულია ვარსკვლავისებრი კამარით. აღმოსავლეთით და დასავლეთით თითო სარკმელია, ნაოთხალიანი შესასვლელი სამხრეთიდანაა. შესასვლე-

ლის თაღს სამმაგი ლილვი შემოუყვება.

აღმოსავლეთი ფასადის კომპოზიცია გამოირჩევა სარკმლის მოჩუქურთმებული ჩარჩოთი და მის თავზე მოთავსებული დიდი რელიეფური ჯვრით.

ეკლესიის კარნიზი თარო-ლავგარდანია. საბურავად გამოყენებულია ყავარი.



დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი

ეკლესიიდან ჩრდილო-დასავლეთით რამდენიმე მეტრზე დგას დიდი ზომის სატრაპეზო. სატრაპეზო გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა. აღმოსავლეთ კედელში მოთავსებულია მცირე საკურთხეველი. ერთი ფართე ნიშა ჩრდილოეთ კედელშია მოწყობილი. კამარის საბრჯენი თაღები პილასტრებს ეყრდნობა. სატრაპეზოს ორი ნაოთხალიანი შესასვლელი დასავლეთით, ხოლო ერთი შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. სამხრეთის კედელშივე გაჭრილია მცირე ზომის, თაღოვანი სარკმლები. სატრაპეზო რიყის ქვითაა ნაგები. მარკანტულ ნაწილებში გამოყენებულია შირიმი.

ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადს მრავალ ადგილას პერანგი აქვს შემოცლილი, ჩრდილოეთის ფასადი დაზიანებულია.

სოფ. მსხლები

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითაა ნაგები. გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. აბსიდის ჩრდილოეთით ერთი, ხო-

ლო სამხრეთით ორი სწორკუთხა ნიშაა. კონქი და კამარა ორივე შეისრულია. სატრიუმფო თაღი პილასტრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ შემორჩენილია სადა კანკელი.

საერთო ხედი

ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ კედლებს ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს.

ეკლესია განათებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმლებით. სამხრეთი შესასვლელი შიგნით არქიტრავული - გარეთ თაღოვანია. შესასვლელის თაღი შირიმის ქვითაა გადაყვანილი. კარი ნაოთხალია.

ეკლესიას სამხრეთიდან მინაშენი ჰქონდა. მინაშენის მხოლოდ დასავლეთი კედელია შემორჩენილი.

კედლები ბევრ ადგილას დაბზარული და გარღვეულია. კამარის დასავლეთი ნაწილი ჩამონგრეულია. სარკმლები დაზიანებულია. საბურავი აყრილია.

სოფ. მსხლები

კვირაცხოვლის ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

ეკლესიიდან მხოლოდ საძირკვლის მცირე ფრაგმენტები შემორჩა. აზომვა სპეციალური გათხრა-გაწმენდის გარეშე არ ხერხდება.

სოფ. მუჯუხი

წმინდა გიორგის ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები



გეგმა

სოფლიდან ჩრდილოეთით 2 კმ-ზე, მაღალ მთაზე, ძველი ეკლესიის ადგილას, ადგილობრივ მოსახლეობას, ეკლესიისავე ქვებით აუგია გეგმით ოვალური ნაგებობა. მი-

სი კედლების სიმაღლე 1 მეტრს აღწევს. წყობა მშრალია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. შესასვლელის მარცხნივ ჩამაგრებულია ორი ხის სარი, რომელზეც ზარი კიდია. მასზე მხედრული წარწერაა: "ქ. შევწირე მუჯუხის წმინდა გიორგის ჩვენ ტატო სიოს ძე მელაძე ჩვენ სადღეგრძელოდ. წელს 1881"



ზარი

სოფ. მშველიეთი

კვირაცხოვლის ეკლესია

შუა საუკუნეები

ეკლესია მდებარეობს სოფ. ლარგვისის წმ. თევდორეს სახელობის სამონასტრო ანსამბლის ჩრდილო-დასავლეთით 70-80 მეტრში, მთის ფერდზე. ამჟამად ძეგლი დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთი კედელი ბათქაშის ნაშთით. ბათქაშზე ჯერ კიდევ იკითხება ფრესკული წარწერის ფრაგმენტები" რგი..... სენე....უფალ....." წარწერის ქვეშ ნიშაა. ეკლესია გეგმით სწორკუთხა ყოფილა. სწორკუთხა საკურთხევლის ცენტრში იკითხება სარკმლის კვალი.



გეგმა



ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი კლდოვანი ქვა და კირის დუღაბი. ჩრდილოეთ კედლის ზედა ნაწილი ინტერიერის მხარეს ოვალურად იწევს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეკლესია შიგნიდან გადახურული ყოფილა კამარით. მიმობ-

ნეული სამშენებლო მასალიდან ჩანს, რომ ეკლესიას ჰქონია შირიმის კარნიზი. ამჟამად ეკლესიის ინტერიერი ნიშის დონემდე ამოვსებულია მინითა და ქვით.

სოფ. მშველიეთი

ღვთისმშობლის ეკლესია

გარდამავალი შუა საუკუნეები



გეგმა. სამხრეთი ფასადი, ჭრილი აღმოსავლეთზე

ეკლესია მდებარეობს სოფ. მშველიეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით 200 მეტრზე, გარშემო სასაფლაოა. რელიეფი სამხრეთისაკენაა დაქანებული. გეგმით ეკლესია წაგრძელებული სწორკუთხა მოხაზულობისაა. საკურთხეველი დარბაზიდან ერთსაფეხურიანი მხრებითაა გამიჯნული. დარბაზს შემოუყვება ერთსაფეხურიანი ხარისხი; იატაკი აყრილია. საკურთხეველში ქვის იატაკი ორი საფეხურითაა ამაღლებული. აქვეა სწორკუთხა ამბიონი. ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთიდანაა. გასანათებლად არის ორი სარკმელი - დასავლეთ კედელში და აღმოსავლეთით საკურთხეველში. ეკლესია ნაშენია კირქვითა და კირის დულაბით.. ბათქაში ინტერიერში და ექსტერიერში აცვენილია. შესასვლელის ორსავე მხარეს არის თითო, წყობაში დატანებული ფილების მცირე თაროები. ეკლესია გა-

ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

დახურულია ფიქალის ფილებით.

იქვე, სამხრეთით მოწყობილია ეკლესიასთან მისასვლელი სუბსტრუქცია.

საკურთხევლის სამხრეთ კუთხეში კედელი გაბზარულია.

სოფ. მშველიეთი

ეკლესია

გარდამავალი შუა საუკუნეები

ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქედის დასასრულში. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან აქვს გვიანდელი მინაშენები. მინაშენთა სახურავები ჩაქცეულია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. დარბაზს შემოუყვება ერთსაფეხურიანი ხარისხი. საკურთხეველი დარბაზიდან გამიჯნულია ერთსაფეხურიანი მხრებით. დგას ტრაპეზის ქვა. ეკლესიის ინტერიერი განათებულია დასავლეთიდან და საკურთხევლის სარკმლიდან. იატაკი აყრილია. ბათქაში შიგნიდანაც და გარედანაც აყრილია. კარ-სარკმელი არქიტრავულია, კარნიზი სწორკუთხა; დეკორი არ არის.



გეგმა



ხედი სამხრეთ დასავლეთიდან

სამშენებლო მასალად გამოყენებულია კირქვა და კირის ხსნარი. გადახურულია ფიქალის ფილებით.

ეკლესიაში ხატობა იმართება აღდგომიდან 7 ან 9 კვირის შემდეგ, 24 ივნისს (ხალარჯობა).

ეკლესიის კედლები დაბზარულია და დეფორმირებული.

სოფ. მშველიეთი

კვირაცხოვლის ეკლესია (ხატი)

შუა საუკუნეები

ეკლესია მდებარეობს სოფ. მშველიეთის ჩრდილო-დასავლეთით მუხნარში ჩაფლულ მთის სერზე. აქ ოდნავ შემაღლებულ ბორცვზე არის გეგმაში წაგრძელებული, სწორკუთხა ფორმის ეკლესია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ეკლესია დანგრეულია, შემორჩენილია კედლები 0,5 მ. სიმაღლეზე. სამშენებლო მასალად გამოყენებულია კირქვის ლოდები და კირის დულაბი. იქვე ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცირე ნიშაა.



კვირაცხოვლის ეკლესიის გეგმა

საერთო ხედი

ირგვლივ თვალწარმტაცი ხედია: სამხრეთით მოჩანს მდ. ჭურთულას ხეობა, ჩრდილოეთით მდ. ქსნის ხეობა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხრაზმის ხეობა.

სოფ. მშველიეთი

წმინდა გიორგის ეკლესია (გიორგობა)

განვითარებული შუა საუკუნეები

ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილო განაპირას 100 მეტრში, მთის სამხრეთ ფერდზე. იგი წარმოადგენს გეგმაში წაგრძელებულ სწორკუთხედის ფორმის დარბაზულ ეკლესიას. დასავლეთი კედლის თავზე მოგვიანებით დადგმული სამრეკლოა. გვიანი პერიოდისაა ეკლესიის დასავ-

ლეთით და სამხრეთით არსებული მინაშენები, რომელთა გადახურვის კვალი აღარ ჩანს. ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთიდანაა. დასავლეთ და ჩრდილოეთ კედელს შემოუყვება ხარისხი. საკურთხეველი დარბაზს უკავშირდება ერთსაფეხურიანი მხრებით. დარბაზის კამარა საბრჯენი თაღით მაგრდება. ეკლესია განათებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ კედელში გაჭრილი ორი სარკმლით. საკურთხეველში ორი ტრაპეზის ქვაა, ერთი ცენტრში, მეორე ჩრდილოეთ ნიშასთან. საკურთხევლის წინ სოლეაა.



გეგმა, ჭრილი ჩრდილოეთზე, დასავლეთ ფასადი



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფიქალი, კლდოვანი ქვა და კირის დუღაბი. იატაკი ქვისაა. გადახურულია კრამიტით. სამრეკლო ამოყვანილია ქართული აგურით. ბათქაში ეკლესიის კედლებზე და სამრეკლოზე აცვენილია.

ეკლესიაში არის ხის კანკელი და ორი ჭედური ხატი.

სოფ. მშველიეთი

სამლოცველო წმინდა ელია (ხატი ელიაობა)

შუა საუკუნეები

სოფლის ჩრდილოეთით მდებარეობს კირქვის ლოდებით ნაგები, სწორკუთხა გეგმის მცირე სამლოცველო. სწორკუთხა საკურთხევლის ცენტრში გაჭრილია სარკმელი. ნაგებობაში შესასვლელი ჩრდილოეთი-

დანაა. აღმოსავლეთი კედლის სიმაღლე 1,5 მეტრია. იქვე ხატის სამხრეთით მცირე ნიშაა.

ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



გეგმა

სოფ. მშველიეთი

ამაღლების ნიში

შუა საუკუნეები

საერთო ხედი

კირქვის დიდი ლოდებით აწყობილი ნიში მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთ განაპირას. ნიში სავარაუდოდ ნაეკლესიარზე დაუდგამთ.

სოფ. მშველიეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით 1 კმ-ზე

კოშკის ნანგრევი

შუა საუკუნეები



გეგმა

კოშკის ნანგრევი მდებარეობს მთის ქედის დასასრულში. ადგილობრივი მაცხოვრებლების თქმით იგი ყოფილა სათვალთვალო კოშკი.

(შესაძლოა ყოფილიყო საკულტო ნაგებობაც). ამჟამად იკითხება ნაგებობის მცირე ფრაგმენტი. ირგვლივ მიმოფანტულია მისი სამშენებლო კირქვის ლოდები.

საერთო ხედი

სოფ. ნაგომევი

წითელი ხატის ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

სოფლიდან 2 კმ-ზე, მთაში მდებარე დარბაზული ეკლესიის კედლები შემორჩენილია 1 მეტრის, ზოგან უფრო ნაკლებ სიმაღლეზე. ძეგლი გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით ასევე სწორკუთხა საკურთხეველი აქვს.

შესასვლელი ღიობი სამხრეთ კედელში უნდა ყოფილიყო, კედლების დაზიანების გამო სარკმლების კვალი არ იკითხება.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია დიდი ზომის რიყის ქვა.



საერთო ხედი

სოფ. ნაგომევი

ეკლესია მთისჯვარი (თისჯვარი)

განვითარებული შუა საუკუნეები

კოშკი, გვიანი შუა საუკუნეები

კარიბჭე, გვიანი შუა საუკუნეები

სოფლიდან ჩრდილოეთით 2 კმ-ზე მდებარეობს დარბაზული ეკლესია, რომელსაც მოგვიანებით სამხრეთ ფასადზე მიაშენეს კოშკი, ამ უკანასკნელს კი კარიბჭე. ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია გარეთ თაღოვანი, შიგნით არქიტრავული სარკმელი. საკურთხეველში შემორჩენილია სფერული კონქის სამხრეთი ნაწილი. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობოდა. ჩრდილოეთით მხოლოდ ქვედა ნაწილია შემორჩენილი.



გეგმა

საკურთხევლის წინ გვიანდელი ქვის კანკელის სამხრეთი ნაწილია. ეკლესიის თაღოვანი კარი სამხრეთითაა.

ეკლესიის სამხრეთ კედელზე მიჯრილი ორსართულიანი კოშკი გეგმით ოთხკუთხაა. კოშკის კედლების წყობაში ჩატანებულია ეკლესიის მოჩუქურთმებული ქვები. პირველი სართულის გადახურვა კამაროვანია, აღმოსავლეთ კედელში გაჭრილია ვიწრო

საერთო ხედი

სარკმელი, რომლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. კოშკის გრძივ კედლებში მოთავსებულია შესასვლელი ღიობები, რომელთაგან ერთი მათგანი ეკლესიას უკავშირდება, სამხრეთისა კი, კარიბჭეს. სამხრეთის შესასვლელის არქიტრავზე ბოლნური ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა, ხოლო კარის თავზე ჩასმულია დიდი ზომის კვადრი, რომელზეც აყვავებული ჯვარია გამოსახული. ჯვრის მკლავები მორთულია გეომეტრიული წნულით.



კოშკის კედლებში უსისტემოდ ჩატანებულია ჩუქურთმიანი ქვები

კოშკის მეორე სართულის სამხრეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.

კარიბჭე ამოვსებულია ქვაღორღით.

ეკლესიის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

ძეგლმა ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი და რიყის ქვა, მარკანტული ნაწილებისთვის კი თლილი კვადრებია გამოყენებული.

სოფ. ნახიდი

ღვთისმშობლის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

დარბაზული ეკლესია ადგილობრივი ნარმოშობის ქვითაა ნაგები. გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ასიმეტრიული ფორმის აბსიდით, რომლის სამხრეთი მხარე სწორკუთხაა. საკურ-

თხევლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი, რომლის ძირშიც ტრაპეზის ქვა დგას. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. საკურთხევლის მხრები ოდნავ წინ გამოწეულია.

ხედი ჩრდილოეთიდან

იატაკის დონე ერთი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკთან შედარებით.

ეკლესიის კამარა შეისრულია. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა. დასავლეთ კედელში გაჭრილია ვიწრო სარკმელი. იატაკი მინაყრილია.

ნაგებობის საბურავი აყრილია.

ეკლესიას გარშემო მშრალი ნყობის გალავანი შემოუყვება.

სოფ. ნაგომევი

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 4 კმ-ზე, ტრიალ მინდორში დგას დარბაზული ეკლესია. ძეგლი შორიდანაც კარგად მოჩანს. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით.

ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

ეკლესია გეგმით უაბსიდო, სწორკუთხა მოხაზულობისაა, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. კედლების სიმაღლე 2-2,5 მეტრს აღწევს, ზოგან უფრო ნაკლებია. აღმოსავლეთ კედელზე შემორჩენილია ნალესობის ფრაგ-

მენტები. შესასვლელის კვალი დასავლეთ კედელში იკითხება.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია, ინტერიერი ამოვსებულია მიწითა და ქვით.

აღმოსავლეთ ფასადის ფრონტონში გამოსახულია წყობაში ჩაძირული ჯვარი.



გეგმა

სოფ. ნახიდი

ნათლისმცემლის ეკლესია

გარდამავალი ხანა



გეგმა

კუდუხაანთ უბანში მდებარე ნაგებობამ ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. დარბაზული ტიპის ეკლესიას სამივე მხრიდან გარშემოსავლელი აქვს. მისი აბსიდის მხოლოდ სამხრეთი ნაწილია შემორჩენილი. აქ კუთხის პილასტრები ორსაფეხურიანია. ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში გაჭრილ ღიობს გავყავართ გარშემოსავლელში, რომელიც ასიმეტრიული ფორმის აბსიდითაა დასრულებული. ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი; სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. აქვეა მცირე ზომის ბუნის ქვა. ჩრდილოეთით შეისრულთაღიანი ნიშაა. კონქი სფერულია, სატრიუმფო თაღი გადაყვანილია სოლისებრი ქვებით და ეყრდნობა თაროს ფორმის კაპიტე-



საკურთხევლის ფრაგმენტი

ლებს. ჩრდილოეთი და დასავლეთი დერეფნები ერთმანეთს უკავშირდება თაღოვანი გასასვლელებით; თაღები ნალისებრია. გარშემოსავლელის დასავლეთი კედელი დაყოფილია მასიური პილასტრებით. მათზე კედლის თაღები გადადის. მალებში მოწყობილია ნიშები. გადახურვა კამაროვანია. სამხრეთ კედელში მოთავსებულია არქიტრავული კარი - ასეთივე კარით უკავშირდებიან ერთმანეთს სამხრეთი და დასავლეთი გარშემოსავლელები.

ეკლესია მთლიანად ჩახერგილია ჩამონაშალი ქვით. სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვა. მარკანტულ ნაწილებში გამოყენებულია შირიმი და თლილი ქვა.

ძეგლის ირგვლივ უამრავი ნაგებობის ნაშთია, რომელთა სახეობის დადგენა გაწმენდის გარეშე შეუძლებელია.

სოფ. ნახიდი

კვირაცხოვლის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ძეგლი მდებარეობს სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთითი 1 კმ-ზე. ეკლესია სხვადასხვა ზომის ადგილობრივი წარმოშობის ქვითაა ნაგები.

მცირე ზომის დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ასეთივე სნორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია სარკმელი. სარკმლის ძირში არქიტრავული ნიშაა მოთავსებული. ასეთივე ნიშებია სამხრეთ კედელშიც.

ეკლესიის კედლები შემორჩენილია 2-2,5 მეტრზე. კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლები დეფორმირებულია, გაჩენილია ბზარები, არქიტრავული შესასვლელი ჩრდილოეთ კედელშია. კარი ნაოთხალია. ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.

ძეგლის გარშემო შემორჩენილია გალავანი.

სოფ. ნახიდი

კომპლექსი წმინდა გიორგი

გარდამავალი ხანა



გეგმა

ძეგლი მდებარეობს სოფლიდან აღმოსავლეთით 1,5 კმ და გადაჰ-ყურებს მდ. ნახიდურას. ჩვენამდე ძეგლმა დაზიანებული სახით მოაღ-წია. კომპლექსი ძირითადად ადგი-ლობრივი ფიქალითა და ფლეთილი ქვითაა ნაშენი. მთავარ ნაგებობას წარმოადგენს ეკლესია კოშკით. კოშ-კზე იკითხება მხოლოდ სამი სარ-თულის კვალი. აღმოსავლეთი მხა-რე გადახსნილია. კამარა ჩამოქცე-ულია, მაგრამ შემორჩა ლავგარდ-ნის ფრაგმენტები: შირიმის თლილი ქვა, ზედ დიდი ზომის ფიქალით; სარკმელ-სათოფური ყველა სარ-თულზეა. გარედან კედლებზე შე-მორჩენილია ნალესობა.

ეკლესიის წყობაში ალაგ-ალაგ გამოყენებულია შირიმი. აბსიდი არ არის ღრმა. საკურთხეველში ორი ნიშა და ერთი სარკმელია. სარკმლის ძირში დგას ტრაპეზის ქვა. კამარა ჩამოქცეულია, არ ჩანს არც მისი ქუს-ლი. დასავლეთ კედელზე შირიმით ამოყვანილია მკვეთრად განსხვავე-ბული კედლის თაღი. კარგად ჩანს ნა-ლესობის კვალი. სწორსაკურთხევლიან მინაშენში ერთი სარკმელია გაჭრილი. შესასვლელი კარი ორია სამხრეთით და დასავლეთით. ეს უკანასკნელი კოშ-კში გასასვლელს წარმოადგენს.

საერთო ხედი

კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში საკმაოდ დიდი ნაგებობის ნან-გრევებია შესაძლოა სატრაპეზო ყო-ფილიყო.

არის ქვევრი. საბურავად გამოყენე-ბული კრამიტი ტრაპეციის ფორმისაა.

მშრალი წყობის გალავანი მორღვე-ულია და დეფორმირებული.

სოფ. პავლიანთკარი

ნიში ნაეკლესიარზე

შუა საუკუნეები

ნიში დგას ეკლესიის ადგილას. ნია ნალოსანი გამოყენებულია ირიგაციის და ფლეთილი [illegible] ნალობა შემდეგ შეფლეთილია.

ეკლესიიდან აღარაფერია შემორჩენილი.

საერთო ხედი

სოფ. პავლიანთკარი

კოშკის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

ლომისაა ხევში, ელოშვილების უბანში, შემაღლებულ ბორცვზე შემორჩენილია ნრგვალი კოშკის ნანგრევი, რომლის გარშემო მინის დონე ისეა ამონეული, რომ ის თითქმის არ ჩანს.

კოშკი გეგმით ოვალურია. ნაგებია დიდი ზომის ფლეთილი ქვით. ძეგლი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.

სოფ. პავლიანთკარი

კოშკი

XVI ს-ის მეორე ნახევარი
XVII ს-ის დასაწყისი

ხუთსართულიანი, გეგმით ოთხკუთხა კოშკი დგას შუა სოფელში, ქარჩოხის ხეობაში. ძეგლი სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

არქიტრავული შესასვლელი გაჭრილია მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელ-



გეგმა

ში. კარი ნაოთხალია.

პირველი სართულის სამ კედელში ოთხი სათოფურია. მეორე სართულზე კარის გარდა ყველა კედელში თითო სათოფურია, ხოლო მესამეზე ყველაზე მეტია. მეოთხეზე სამი სათოფური და ერთი სარკმელია. მეხუთე კი მოქცეულია ორფერდა სახურავქვეშ და ვიწრო კედლებში თითო პატარა სარკმელი აქვს.



ხედი აღმოსავლეთიდან

სართულშუა ხის გადახურვა ნაწილობრივ შემორჩენილია.

კოშკს ადგილობრივმა მოსახლეობამ მიაშენა ხის ფარდულები, რაც ძეგლს ამახინჯებს.

სოფ. საბარკლეთი. ადგილი "ქვემო კარა"

ღვთისმშობლის ეკლესია

XX ს.

გეგმით სწორკუთხა ძეგლი ნაშენია მცირე ზომის უფორმო, ფლეთილი ქვით. ქვის წყობა და თუნუქის სახურავი ახალია. აბსიდი ასიმეტრიულია. ერთი ნიშა ჩრდილოეთ კედელშია. შესასვლელი სამხრეთითაა. ეკლესიის აღმოსავლეთი კედელი გარედან საკურთხევლის შიდა მოხაზულობას იმეორებს.

შესაძლოა ახლანდელი ნაგებობა დგას ძველ ნაეკლესიარზე.

ხედი სამხრეთიდან



გეგმა

სოფ. საბარკლეთი, ადგილი "ქვემო კარა"

კოშკის ნანგრევი

შუა საუკუნეები

სოფლიდან აღმოსავლეთით 50 მეტრზე, ორი ხევის შესართავთან მდგარი კოშკი თითქმის მთლიანად დანგრეულია, რის გამოც ჭირს მისი სრული აღწერა. უკეთ შემორჩა ჩრდილო-დასავლეთი კუთხე, რომლის სიმაღლე 1,5 მეტრია. კოშკის გადარჩენილ ნაწილში გამოყენებულია ბუნებრივად სწორკუთხა, დაუმუშავებელი ქვა.



გეგმა

სოფ. საბარკლეთი, მიდამოები, ნასოფლარი "ზემოკარა"

ნიში ნაეკლესიარზე

XX საუკუნე

ძველი ეკლესიის ადგილას ადგილობრივ მოსახლეობას აუგია ნიში. წყობაში გამოყენებულია ეკლესიის ქვები. ქვა ფლეთილია.

სოფ. საბარკლეთი

კოშკის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

სოფლიდან ჩრდილოეთით 4 კმ-ზე, შემორჩენილია ოთხკუთხა ნაგებობის ნანგრევი, რომელიც სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები.

შემორჩენილია ჩრდილო-დასავლეთი კედელი 4 მეტრის სიმაღლე-



გეგმა

ზე. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დგას სწორი ფორმის სტელისმაგვარი ქვა.

ნაგებობის ირგვლივ სასაფლაოა.

საერთო ხედი

სოფ. საბარკლეთი

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

სოფლიდან ჩრდილოეთით 6,5 კმ-ზე მდებარე დარბაზული ეკლესია დგას ხელოვნურ სუბსტრუქციაზე, რომელსაც გარშემო გალავანი შემოუყვებოდა. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით.



გეგმა

გეგმით უაბსიდო, სწორკუთხა მოხაზულობისაა, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. ერთი სარკმელი ჩრდილოეთ კედელშია მოთავსებული. აბსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ტრაპეზის ქვა დგას.

საერთო ხედი

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი.

ძეგლი დაზიანებულია. კამარა და კონქი ჩამოქცეულია, კედლების გარშემო მიწის დონე აწეულია.

სოფ. საბარკლეთი

ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

საერთო ხედი

სოფლის მიდამოებში, ნასოფლარ "ზემო კარასთან" არსებული ეკლესიიდან შემორჩენილია მხოლოდ ფლეთილი ქვის გროვა. კედლის წყობა და გეგმა არ იკითხება.

სოფ. საძეგური I, მდ. ქსნის მარჯვენა მხარეს

კვირაცხოვლის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ყორექვით ნაგები ეკლესია გეგმით სნორკუთხაა, აღმოსავლეთით, ასიმეტრიული აბსიდის ცენტრში გაჭრილია სნორკუთხა სარკმელი.

ტრაპეზის ქვასთან დევს ჯვრის ბუნის ქვა, რომელიც შებათქაშებულია.



აღმოსავლეთი ფასადი

არქიტრავული შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. კედლები შემორჩენილია 3-3,5 მეტრზე.

ძეგლი სერიოზულად არის დაზიანებული. კამარა და კონქი ჩამოქცეულია, გარღვეულია კედლები.

სოფ. საძეგური I

ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია ასევე სწორკუთხა სარკმელი. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო ნიშაა.

ჩრდილოეთ კედელში მოწყობილია არქიტრავული შესასვლელი.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლები გარღვეულია. იატაკი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვითა და მინით.

ინტერიერი. საკურთხევლის ფრაგმენტი



გეგმა

სოფ. საძეგური, მდ. ქსნის მარცხენა მხარეს

კოგათის ეკლესია

გარდამავალი ხანა

ძველ სასაფლაოსთან მდებარე დარბაზული ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვით. კუთხეებში გამოყენებულია შირიმი. წყობა სწორხაზოვანია.



ხედი სამხრეთიდან

ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზუ-

ლობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ასევე სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში მასიური ტრაპეზის ქვა დგას. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო არქიტრავული ნიშაა. სფერულ კონქზე გადასვლა ხდება ტრომპების საშუალებით. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ მოწყობილია ხის კანკელი. აქვე დევს ადრეული ქვის კანკელის ფრაგმენტი. აბსიდის იატაკის დონე სამი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკთან შედარებით.



აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი

ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი კედლის წყობაში იძირება. დარბაზს ხარისხი შემოუყვება. ეკლესია ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის თაღოვანი სარკმლებით.

სამხრეთით შესასვლელი არქიტრავულია. შემორჩენილია საურდულეები.

ეკლესიის ფასადები სადაა. სამივე სარკმელი მოჩარჩოებულია შირიმის ქვით. აღმოსავლეთ სარკმელს მარტივპროფილიანი სათაური გააჩნია. ლავგარდანი მარტივპროფილიანია. საბურავად გამოყენებულია დიდი ზომის ფიქალი.

ეკლესიის გარშემო გალავანია.

სოფ. საძეგური, ნასოფლარი "კობაური"

ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილი კედლების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 1-2 მეტრს აღწევს. ძეგლი სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით ყოფილა ნაგები.



გეგმა

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით გააჩნია კოლოფა აბსიდი. ჩრდილოეთ კუთხეში დგას ტრაპეზის ქვა.

შესასვლელი სამხრეთიდანაა. ეკლესიაში და მის გარშემო ბზის კორომია. ტერიტორიაზე ძველი საფლავის ქვებია.



საერთო ხედი

სოფ. საძეგური, მიდამოები

ეკლესია

გარდამავალი ხანა

სოფლიდან აღმოსავლეთით 7 კმ-ზე მთაში, ნასოფლარ "ულდაში" მდებარე დარბაზული ეკლესია, რომელსაც სამხრეთით თანადროული მინაშენი აქვს, სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. წყობა ქაოსურია. ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნალისებრი აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო არქიტრავული ნიშაა.



გეგმა

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი. კარი ნაოთხალია. ეკლესიას სამხრეთი მინაშენი მთელ სიგრძეზე მიუყვება. აღმოსავლეთით, კერძოდ, ნაგებობასა და მინაშენს შორის ნაკერი არ არის, ხოლო დასავლეთით აშკარად ჩანს ნაკერი. მინაშენის აღმოსავლეთ კედელში ვიწრო სარკმელია მოთავსებული, ხოლო სამხრეთით - არქიტრავული კარი.

ძეგლი დაზიანებულია. კამარა და კონქი ჩამოქცეულია. ეკლესია ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით, შემორჩენილი კედლები დაბზარულია.

ძეგლის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

სოფ. უკანამხარი

კომპლექსი "კვირაცხოველი"

VIII-IX საუკუნეები



გეგმა

უკანამხარის "კვირაცხოველი", როგორც მას ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს, წარმოადგენს სამონასტრო კომპლექსს. იგი სოფლის სამხრეთ-დასავლეთით ორასიოდე მეტრში, ტყიანი ბორცვის ფერდზეა აშენებული და ამჟამად ასწლოვანი ხეების ჩრდილშია ჩამალული. კომპლექსს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს და მრავალ ნაგებობას მოიცავს. მონასტრის ყველა შენობა აგებულია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. შირიმის ქვა გამოყენებულია მხოლოდ ეკლესიაში.

ეკლესია კომპლექსის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს და ამჟამად ყველაზე კარგადაა შემორჩენილი. ძეგლი თავდაპირველად საშუალო ზომის დარბაზულ ეკლესიას წარმოადგენდა, რომელიც დროთა განმავლობაში რამდენჯერმეა გართულებული სხვადასხვა დანიშნულების სათავსებით. ეკლესიის მთავარი დარბაზი კარგადაა შემორჩენილი. საკურთხეველი სწორკუთხაა, დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზე კი ტრომპების საშუალებით კოლოფისებურ კონქში გადადის; მეტად საინტერესოა ტრომპების მხატვრული გადაწყვეტა

კარგად თლილ ფლეთილ ქვას ორივე მხარეს შირიმის ქვები ეყრდნობა, რომელთაც ღრმად ამოჭრილი წყვილ-წყვილი თაღი ამშვენებს. სამთაღიანი შირიმის ქვებია ჩასმული საკურთხეველის შირიმისავე სატრიუმფო თაღის საბრჯენებად, თუმცა ქვისგანაა შესრულებული მეორე სატრიუმფო თაღი, რომელიც ნახევარწრიული კამარის ცენტრშია მოთავსებული. საკურთხეველში ორი სარკმელია - ქვემოთა ძალიან დიდი, ხოლო ზემოთა გაცილებით მომცრო; ერთი საშუალო ზომის სარკმელია დასავლეთით. სამივე სარკმელი საფეხურიანი და არქიტრავულია. საინტერესოა შირიმის ქვით ამოყვანილი მაღალი ლუნეტი, რომელიც გაჭრილია სამხრეთი კარის თავზე. მეორე, ჩრდილოეთი კარი მოგვიანებით -

გარშემოსავლელის მიშენებასთან დაკავშირებით უნდა იყოს გაჭრილი. საკურთხეველი ერთი საფეხურითაა აწეული, თუმცა ეს საფეხური აბსიდის მხრებამდე არ გამოდის. საინტერესოა აგრეთვე ტრაპეზის ქვის ნახევრის საკურთხევლის გარეთ გამოტანა. ტრაპეზის ქვა სიმაღლეში ორ მეტრს აღწევს. ქვის შუა ნაწილში, სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილოეთით, სვეტებიანი თაღებია წარმოდგენილი. ზემოთ კი საფეხუროვანი ხდება და მთავრდება ჯვრის ჩასასმელი ბუნით. ოთხი ნიშაა საკურთხეველში, თითო დიდი სამხრეთით და ჩრდილოეთით, ორი პატარა კი აღმოსავლეთ კედელში. ექსტერიერი სადაა. ქვედა ნაწილში, აგრეთვე ლავგარდნის ქვებად კარგად გათლილი ფლეთილი ქვის ლოდებია გამოყენებული. კარნიზი შირიმის ქვითაა შესრულებული.

დარბაზის სამივე მხარეს სათავსებია მიშენებული. დღესდღეობით მათი დანიშნულების დადგენა ჭირს, რადგან ყველა ჩანგრეულია და ამოვსებულია მიწით.

კომპლექსს ორი გალავანი უნდა ჰქონოდა. ერთი უშუალოდ ერტყმოდა ეკლესიას და მის გარშემო სათავსებს, ხოლო მეორე, ალბათ, საბერეებს შემოსაზღვრავდა.

ეკლესიის სამხრეთით გალავანში ერთი კარია. მეორე კარი გაჭრილია დასავლეთით, რომელიც ათი მეტრის სიმაღლის რელიეფზე, გალავანშია გაჭრილი. გალავნის გარეთ, სამხრეთით ორი დიდი ნაგებობის ნანგრევია, რომელთა ფუნქცია არ დგინდება. სავარაუდოა, ისინი საბერეები ყოფილიყო.

სოფ. უკანამხარი

სამონასტრო კომპლექსი

გვიანი შუა საუკუნეები

შიუკაანთ უბანში მდებარე კომპლექსი შედგება ორი ეკლესიის, კოშკის, სამრეკლოს, სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთების და გალავნისაგან. ყველა ამ ნაგებობისთვის გამოყენებულია ფლეთილი და უხეშად თლილი ქვა.



ეკლესიის გეგმა

პირველი ეკლესია დარბაზულია, გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის



საერთო ხედი

კოშკის გეგმა

ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. ჩრდილოეთით სწორკუთხა ნიშაა. დასავლეთის სარკმელი სწორკუთხაა. სამხრეთის არქიტრავული შესასვლელი ამჟამად მნიშვნელოვნად არის დაზიანებული.

ეკლესიის კედლების სიმაღლე ნიადაგის ზედაპირიდან 2-3 მეტრს აღნევს. კამარა და კონქი ჩამოქცეულია, კედლები დეფორმირებულია. ეკლესიიდან სამხრეთით, 200 მეტრში შემორჩენილია კოშკის ნანგრევი. ნაგებობის აღმოსავლეთ კედელში გაჭრილია არქიტრავული შესასვლელი. სამხრეთის და დასავლეთის კედლებში მოწყობილია ნიშები.

კოშკი შემორჩენილია ერთი სართულის დონეზე. მეორე ეკლესიისგან შემორჩენილია მხოლოდ აბსიდის მომრგვალების მცირე ნაწილი. მისი გეგმა არ იკითხება.

გალავნის შიგნით შემორჩენილია რამდენიმე ნაგებობის ნაშთი, რომელიც ჩახერგილია ჩამონაშალი ქვით.

სოფ. უკანამხარი

"ამაღლების ეკლესია"

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

დარბაზული ეკლესია მდებარეობს შიუკაანთ უბანში, რომელიც სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით აქვს სწორკუთხა საკურთხეველი, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. ჩრდილო-აღმოსავლეთით კუთხეში

მოწყობილია ერთი წყვილი ნიშა.

ეკლესიის კამარა ცილინდრულია. სამხრეთ კედელში სწორკუთხა ნიშაა. არქიტრავული შესასვლელი ჩრდილოეთ კედელშია მოთავსებული. კარი ნაოთხალია.

ეკლესიის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

ხედი აღმოსავლეთიდან

სოფ. უკანამხარი

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

შიუკაანთ უბანში არსებული ეკლესია ფლეთილი ქვითა და ფიქალითაა ნაგები.

დარბაზული, უაბსიდო ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა. მისგან გადარჩენილია მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე. დასავლეთ კედელში სარკმლის კვალია. შესასვლელი ჩრდილოეთ კედლის სამხრეთ ნაწილშია.



გეგმა



საერთო ხედი

ეკლესიის კედლების სიმაღლე მიწიდან 1-1,5 მეტრს აღწევს, ზოგან უფრო ნაკლებია. ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.

ეკლესიის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

სოფ. უკანამხარი

ნაეკლესიარი და ნიში "ყველაწმინდა"

შუა საუკუნეები

მანჯიკაანთ უბანში არსებული ეკლესიისაგან შემორჩენილია სამხრეთი კედლის მცირე ფრაგმენტი. სამშენებლო მასალად გამოყენებული იყო ფლეთილი ქვა. ნაგებობის დანარჩენი კედლები არ იკითხება. იქვე, ეკლესიის ქვებისაგან მოსახლეობამ გააკეთა სალოცავი ნიში.

სოფ. უკანამხარი

სამების ეკლესიის ნანგრევი

ძეგლი მდებარეობს სოფლიდან ჩრდილოეთით, მდინარის გადაღმა, ტყიან ბორცვზე, ადგილ "დოჩიაანში" იგი წარმოადგენს მცირე დარბაზული ეკლესიის ნანგრევს. თავდაპირველად სამების ხატი აქ ყოფილა დასვენებული, შემდეგ თინიკაანის თავზე გადაუტანიათ. ეკლესია თითქმის მთლიანად დანგრეულია. აღწერა და აზომვა არ ხერხდება. ჩრდილოეთით მინაშენის ან სხვა რაიმე სათავსის კვალი არ ჩანს.

ნასოფლარი უკანაუბანი

ეკლესია

გარდამავალი ხანა



გეგმა

სოფლის სასაფლაოზე დგას მცირე ზომის დარბაზული, გეგმით სწორკუთხა მოხაზულობის ეკლესია. საკურთხევლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული, საფეხურებიანი სარკმელი. სარკმლის ორივე მხარეს და ჩრდილოეთით სნორკუთხა ნიშებია მოწყობილი.

ეკლესიის კამარა ცილინდრულია. დასავლეთ კედელში გარეთ თაღოვანი, შიგნით არქიტრავული სარკმელია. სამხრეთ

შესასვლელს ნათხალი აქვს. იატაკი მიწაყრილია.

ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვითაა ნაგები. დასავლეთ სარკმლის სათაური შირიმისაა.

ძეგლი დაზიანებულია. აყრილია საბურავი; ამოსულია მცენარეები. ეკლესიის გარშემო მიწის დონე აწეულია.

ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

სოფ. უკანაუბანი

ზურგიანი კოშკი

IX-X სს.

კოშკი ადგილობრივი წარმოშობის სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. ძეგლი შემორჩენილია სამი სართულის დონეზე. აქედან პირველი სართული ამოვსებულია მიწით, ხოლო მესამე სართულის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია.



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



გეგმა

შესასვლელი მეორე სართულის დასავლეთ კედელშია გაჭრილი. სამხრეთ კედელში ჩანს სარკმლის კვალი. კოშკის ზურგი ჩრდილოეთისკენ არის მიმართული.

ნასოფლარი უკანაუბანი

ზურგიანი კოშკი

IX-X საუკუნეები

კედლის ფრაგმენტი

სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 1 კმ-ზე, მდ. ცხრაზმის მარცხენა ნაპირას მდებარე სათვალთვალო კოშკი ადგილობრივი წარმოშობის დიდი ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები; ზურგი ჩრდილოეთიდანაა, ხოლო სამხრეთი, სწორი მხარი მდინარეს გადაჰყურებს. არქიტრავული შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთ კედელშია გაჭრილი. სარკმლები და სათოფურები არ ჩანს. კოშკი ძალზე მიუდგომელია. ძეგლთან მისასვლელი რთული გზა, ჩრდილოეთიდანაა. კოშკის აზომვა არ ხერხდება.

ნასოფლარი უკანაუბანი

წმინდა გიორგის ეკლესია

გარდამავალი ხანა



გეგმა

სოფლიდან დასავლეთით 1 კმ-ზე, მდ. ცხრაზმის მარჯვენა ნაპირას მდებარე მცირე ზომის დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლის ცენტრში გაჭრილია მაღალი, არქიტრავული სარკმელი. კონქზე გადასვლა ხდება მარტივპროფილიანი ტრომპების საშუალებით. სატრიუმფო თაღის მარცხენა ნაწილი კრონშტეინებს ეყრდნობა, მარჯვენა კი კედლის წყობაში იძირება.

ცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა. თა-

ღი შირიმის ქვისაა. დასავლეთ სარკმელი არქიტრავულია. ასეთივეა სამხრეთის შესასვლელიც, რომელსაც ნაოთხალები აქვს. იატაკი მიწაყრილია.

ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია. ლავგარდანი მარტივპროფილიანია. საბურავად გამოყენებულია ფიქალი. სამხრეთიდან მინაშენის კვალი იკითხება.



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

ნასოფლარი უკანაუბანი

ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

სოფლიდან დასავლეთით 1 კმ-ზე, მდ. ცხრაზმის მარჯვენა ნაპირას არსებული ეკლესიიდან შემორჩენილია აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების მცირე ფრაგმენტები. აღმოსავლეთ კედელში მოწყობილია ნიშა. სამშენებლო მასალად გამოყენებულია დიდი ზომის ფლეთილი ქვა. ეკლესიის დანარჩენი კედლები მიწის პირზე არ იკითხება.

ნასოფლარი უკანაუბანი

ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

მდ. ცხრაზმის მარჯვენა ნაპირას, სოფლიდან დასავლეთით 2 კმ-ზე მდებარე ეკლესიიდან შემორჩენილია ჩრდილო-დასავლეთი კუთხე, რომლის სიმაღლე 1-1,5 მეტრს აღწევს. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. დანარჩენი კედლების კვალი არ იკითხება.

საერთო ხედი

ნასოფლარი უკანაუბანი

მთავარანგელოზის ეკლესია

გარდამავალი ხანა



გეგმა

სოფლიდან სამხრეთით 2 კმ-ზე, მთაზე მდებარე დარბაზული ეკლესია ადგილობრივი ნარმოშობის ფლეთილი ქვითაა ნაგები. ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით გააჩნია შებრტყელებული, ნალისებრი ფორმის აბსიდა, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. აბსიდი დარბაზისგან გამოყოფილია მხრებით. კედლები შემორჩენილია მიწის ზედაპირიდან 2-2,5 მეტრის სიმაღლეზე. დასავლეთ კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია.


საერთო ხედი

სამხრეთის არქიტრავულ შესასვლელს ნაოთხალები აქვს. კამარა და კონქი ჩამოქცეულია. ინტერიერი სავსეა ჩამონაშალი ქვითა და მიწით.

ნასოფლარი უკანაუბანი

ციხის კომპლექსი

ციხე - გვიანი შუა საუკუნეები

კოშკი - VI ს.;

ეკლესია - VI ს.;

ისტორიულ წყაროებში უკანაუბნის ციხის შესახებ ვერაფერს ვპოულობთ. როგორც ცნობილია, "ძეგლი ერისთავთას" ავტორი ქსნის ერისთავთა ისტორიას იუსტინიანე კეისრის დროიდან იწყებს და იქვე რამდენჯერმე ახსენებს ცხრაზმის ხევის ციხეს. "ძეგლი ერისთავთას" მი-

ხედვით, როდესაც ერისთავი როსტომი დამკვიდრდა ქსნის ცხრაზმის ხეობაში, "მაშინ იწყებს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა"

ციხეს მნიშვნელობა დიდხანს არ დაუკარგავს. იმავე მატიანეში "ძეგლი ერისთავთა", უკანუბნის ციხე იხსენიება 1400 წ. თემურლენგის შემოსევასთან დაკავშირებით.



საერთო ხედი

როგორც ირკვევა, თემურლენგის ლაშქრობას ქსნის საერისთავოში გადაურჩა რამოდენიმე ციხე, მათ შორის, უკანაუბნისაც.

ქსნის ხეობის მარცხენა შენაკადის, ცრაზმის წყლის სათავეში მდებარეობს სოფ. უკანუბანი, რომლის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია ციხე-სიმაგრე კოშკით და ეკლესიით. ციხე ხეობის ჩამკეტი ყოფილა. ამ ადგილას თავდაპირველად ორი კოშკი აუგიათ. შემდეგ იქვე აუშენებიათ მცირე ზომის ეკლესია, ბოლოს კი მათ ირგვლივ ციხე გაშენებულა.

ციხეში ჩართული დიდი, მასიური კოშკი ზურგიანია. ექვსსართულიან კოშკს ორი-სამი მეტრის სისქის კედლები აქვს. კოშკის ექვსივე სართულის შიდა მოცულობა გარეთა ფორმებს იმეორებს. მისი ქვედა ნაწილი ყრუა, ერთადერთი კარი მოთავსებულია პირველ სართულზე ოთხი მეტრის სიმაღლეზე. ასე მაღლა მოწყობილ კარზე მიდგმული იყო ხის გადასატანი კიბე.

კოშკი სამი მხრიდან ყრუა. სარკმლები და კარი განლაგებულია მდინარისაკენ მიქცეულ სწორ კედელში. არც კოშკის ხის სართულშუა ბანური გადახურვა შემორჩენილა. კოშკს თავდაცვითი ელემენტები არ გააჩნია. შესაძლოა, იგი მშვიდობიან დროს საცხოვრებლად იყო გამოყენებული, ან მხოლოდ მტრის შემოსევის დროს შედიოდნენ შიგ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში წყალსა და სანოვაგეს, ალბათ, პირველი სართულის

იატაკქვეშ უჯრედებად დაყოფილ სარდაფში ინახავდნენ.



კოშკი, საერთო ხედი

კომპლექსის კარის ეკლესია ნაგებია დამუშავებული, ადგილობრივი ქვით. დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლის ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი. სარკმელი საფეხურიანია და გარეთ ვიწროვდება. მის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. აღმოსავლეთით და სამხრეთით თითო თაღოვანი ნიშაა. სფერულ კონქზე გადასვლა ხდება ტრომპების საშუალებით. სატრიუმფო თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა. აბსიდის იატაკი სამი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკთან შედარებით. საკურთხევლის წინ მაღალი ბუნის ქვა დგას. ქვის სამ მხარეს მოწყობილია თაღოვანი ნიშები. ცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი იმპოსტებს ეყრდნობა. დასავლეთი თაღი კრონშტეინებს ებჯინება.

დასავლეთის მაღალი და საფეხურებიანი სარკმელი შიგნით არქიტრავული, ხოლო გარეთ თაღოვანია. ამავე კედელში ერთი თაღოვანი ნიშაა. ეკლესიის ჩრდილოეთის და დასავლეთის კედელს ერთსაფეხურიანი ხარისხი შემოუყვება. სამხრეთის ერთადერთ არქიტრავულ შესასვლელს ნაოთხალები აქვს. კარის თავზე ლუნეტია ამოშენებული. ეკლესიის კედლები შელესილი იყო მოსახატად, თუმცა მოხატულობის კვალი არ ჩანს. იატაკი მიწაყრილია.

ეკლესიას სამხრეთიდან გრძელი კარიბჭე აქვს, რომლის მხოლოდ დასავლეთი კედლის მცირე ნაწილია შემორჩენილი. ეკლესიის კარნიზი მარტივპროფილიანია. გადახურვა ორქანობიანია. საბურავად გამოყენებულია ფიქალი.

ციხე სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. კედლები შემორჩენილია 2-2,5 მეტრის სიმაღლეზე. ციხეში შესასვლელი ჩრდილოეთ კედელშია გაჭრილი. იგი გარეთ არქიტრავული, შიგნით კი, თაღოვანია.

სოფ. ქვემო ალევი

ღვთისმშობლის ეკლესია

გარდამავალი ხანა



გეგმა

სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. შესასვლელი თაღი შირიმითაა გადაყვანილი.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდის ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. სფერული კონქი გადაყვანილია ქვის რადიალური რიგებით. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. ეკლესიის დარბაზს ხარისხი გასდევს.

სამხრეთ ფასადი

სამხრეთი შესასვლელი შიგნით არქიტრავული გარეთ თაღოვანია. კარი ნაოთხალია. დასავლეთ კედელში სარკმელია გაჭრილი.

ინტერიერში შირიმის სამი ბუნის ქვა დგას.

სოფ. ქვემო ალევი

მიქელ-გაბრიელის კომპლექსი

შუა საუკუნეები

მდ. ალეურას მარჯვენა ნაპირზე, მაღალ მთის ფერდობზე შემორჩენილია ეკლესიისა და სხვა ნაგებობათა ფრაგმენტები. ეკლესია მთლიანად ჩახერგილია დიდი ზომის ჩამონაშალი ქვებით, რაც ართულებს მის

აზომვას. ქვა უხეშადაა თლილი. გარშემო მიწის დონე აწეულია. ტერიტორია მოფენილია ნაყარი ქვით. ამოსულია დიდი ზომის ხეები.

სოფ. ქვემო ალევი

"წმ. მარინეს" ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

მდ. ალეურას მარჯვენა ნაპირზე, მაღალი მთის უკანა ყელზე მდებარეობს დარბაზული, სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესია. ძეგლი სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები.

სწორკუთხა ნაგებობის კედლები შემორჩენილია 2 მეტრის სიმაღლეზე, აქედან აღმოსავლეთისა თითქმის ჩამონგრეულია.

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა, ეკლესია მთლიანად დეფორმირებულია და დანგრევის პირასაა მისული.



საერთო ხედი



გეგმა

სოფ. ქვემო ბოლი

მთავარანგელოზის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

დარბაზული ეკლესია ფლეთილი და რიყის ქვითაა ნაგები. ალაგ-ალაგ გამოყენებულია შირიმის ქვა.

ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დას-



სამხრეთი ფასადი



გეგმა

რულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო ნიშაა მოწყობილი. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

ეკლესიის კამარა ოდნავ შეისრულია. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია გაჭრილი. ამავე კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია. იატაკი მიწაყრილია.

ფასადები სერიოზულადაა დაზიანებული. საბურავი აყრილია; ამოსულია მცენარეები.

სოფ. ქვემო ბოლი

კოშკის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

კოშკი სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. წყობა ქაოსურია.

კოშკიდან ხუთი სართულის დონეზე შემორჩენილია აღმოსავლეთ და ჩრდი-



გეგმა



ინტერიერი. საერთო ხედი

ლოეთ კედლის ნაწილები.

მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელში კარის ღიობია. შესასვლელის თავზე, მესამე სართულის დონეზე სწორკუთხა სარკმელია. თითქმის ყველა სართულზე დატანებულია სათოფურები.

ძეგლზე შემორჩენილია სართულშუა გადახურვის კოჭის ბუდეები.

სოფ. ქვემო გრუ

წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ნანგრევებად ქცეული ეკლესია მდებარეობს სასაფლაოზე. მისი კედლები შემორჩენილია 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე. სამშენებლო მასალად გამოყენებულია დიდი ზომის ფლეთილი ქვა. გეგმით სწორკუთხა ეკლესიის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში თითო სწორკუთხა ნიშაა დატანებული.

საერთო ხედი

სოფ. წუბენი

ეკლესიის ნანგრევი "თვაგაცილა"

შუა საუკუნეები

სოფლის დასავლეთით ნახევარ კმ. დგას ეკლესია, რომელიც რიყისა და ფლეთილი ქვითაა ნაშენი. ამჟამად იგი მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია საძირკვლის ფრაგმენტები და შირიმის რამდენიმე ქვა.

ნაგებობის ძლიერი დაზიანების გამო გეგმა არ იკითხება.



საერთო ხედი

სოფ. ქვემო წუბენი

წმინდა გიორგის ეკლესია

X-XI სს.



ინტერიერი. ჩრდილოეთი კედელი



გეგმა

სოფელში დგას ეკლესია, რომელიც რიყის ქვითაა ნაგები. მარკანტული ნაწილებისათვის გამოყენებულია შირიმი.

დარბაზული ეკლესიიდან შემორჩენილია აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლები. ნახევარწრიული აბსიდის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, ხოლო ჩრდილოეთით ერთი სწორკუთხა ნიშა.

ჩრდილოეთ კედელს წყვილი პილასტრი სამ თანაბარ ნაწილად ჰყოფს. პილასტრებზე ნახევარწრიული კედლის თაღები გადადის.

შემორჩენილია კამარის საბრჯენი თაღის ფრაგმენტი, დაბოლოებული სამბურთულა რელიეფური კაპიტელით.

ეკლესიის ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა.

სოფ. ქედიგორა

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია დგას ბორცვზე. ძეგლი საგრძნობლად დაზიანებულია, ჩამოქცეულია მისი თაღ-კამარა, შემორჩენილია აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთ- დასავლეთი კუთხის მცირე ნაწილი. გეგმით სწორკუთხა



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



გეგმა

მოხაზულობის ეკლესია აღმოსავლეთიდან დასრულებულია ასევე სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია სარკმელი. ეკლესიას სამხრეთიდან და დასავლეთიდან გარშემოსავლელი ჰქონდა, რომლისგანაც მხოლოდ საძირკველი შემორჩა.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი და რიყის ქვა.

სოფ. ქედიგორა

"კვირაცხოვლის" ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

სასაფლაოზე მდებარე დარბაზული ეკლესია პერანგშემოცლილია. შემავსებელ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ქვა.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით ასიმეტრიული ფორმის აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სარკმელი. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით. ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. კედლები შემორჩენილია დაახლოებით 2-2,5 მეტრის სიმაღლეზე. ჩრდილო-დასავლეთი კუთხე ჩამონგრეულია.



საერთო ხედი



გეგმა

სოფ. ქენქაანი

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითა და ფიქალითაა ნაგები. აქა-იქ შემორჩენილია შელესილობა.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. სარკმლის ძირში და ჩრდილოეთით კუთხეში ტრაპეზის ქვები დგას. აბსიდის ჩრდილოეთით ერთი, ხოლო სამხრეთით - წყვილი სწორკუთხა ნიშაა. კონქი შეისრულია. სატრიუმფო თაღი იმპოსტებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ შემორჩენილია კანკელის მცირე ნაწილი.

ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

ეკლესიის კამარა შეისრულია. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია გაჭრილი. დასავლეთ კედელში მოწყობილია სწორკუთხა ნიშა. იატაკი მიწაყრილია. კედლები, გარედანაც და შიგნითაც შელესილ-შეთეთრებულია.

ეკლესიის საბურავად გამოყენებულია დიდი ზომის ფიქალი. კარნიზი მარტივპროფილიანია. შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

სოფ. ქენქაანი

წმინდა ბარბარეს ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

სოფლის მიდამოებში, ჩრდილოეთით 1,5 კმ არის ნასოფლარი "ხოზუეთი" აქ შემორჩენილი ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა. აღმოსავლეთით ასევე სწორკუთხა საკურთხეველი აქვს. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედელში გაჭრილია სწორკუთხა სარკმლები. სამხრეთ კედელში შესასვლელის კვალია. ნაგებობის კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლები შემორჩენილია 2-3 მეტრის სიმაღლეზე, ზოგან უფრო ნაკლებია. ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა.

საერთო ხედი



გეგმა

სოფ. ქენქაანი

მთავარანგელოზის ეკლესია

გარდამავალი ხანა



გეგმა

სოფლიდან ჩრდილოეთით 1,5 კმ-ზე, ნასოფლარ "ხოზუეთში" მდებარე ეკლესია ფლეთილი ქვითა და ფიქალითაა ნაგები.

გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, სწორკუთხა საკურთხევლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. დასავლეთ კედელში მოწყობილია წყვილი, სწორკუთხა ნიშა. კამარა და კონქი ჩამოქცეუ-

ლია. კედლები შემორჩენილია 2-2,5 მეტრის სიმაღლეზე.

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთის კედელშია გაჭრილი.

ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით 200 მეტრში შემორჩენილია კოშკის ნანგრევი, რომლის მხოლოდ ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლის მცირე ფრაგმენტებია.

კოშკის გარშემო მიწის დონე საგრძნობლად არის აწეული. კედლის სისქე 1 მეტრს აღწევს.

ძეგლის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

სოფ. ქოლოთი

ღვთისმშობლის ეკლესია

ადრე შუა საუკუნეები

ეკლესია მდებარეობს სასაფლაოზე. ნაგებია კარგად დამუშავებული შირიმის ქვით. წყობა თარაზულია.

დარბაზული ეკლესია გეგმით მართკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია კოლოფა აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ძირში დგას შირიმის ქვის ტრაპეზი. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო არქიტრავული ნიშაა. კონქი სფერულია, სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

ეკლესიის ცილინდრული კამარა ებჯინება ნყვილ ნახევარწრიულ თაღს. ჩრდილოეთ კედელს ერთსაფეხურიანი ხარის-

ხედი სამხრეთიდან

ხი გასდევს. ინტერიერის კედლები შელესილია.

სამხრეთის შესასვლელი არქიტრავულია, შესასვლელის თავზე ამოშენებულია ლუნეტი.

ეკლესიის კარნიზი თარო - ლავგარდანია.

საბურავი აყრილია, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები დაბზარულია. კუთხეები მრავალ ადგილას ჩამონგრეულია.



გეგმა

სოფ. ქოლოთი

ქოლოთის კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები

ინტერიერი.
ჩრდილოეთი კედელი

კოშკი ადგილობრივი ჯიშის ფლეთილი ქვით იყო ნაგები.

ნაგებობა თითქმის დანგრეულია. ერთადერთი ჩრდილოეთი კედელი შემორჩა ორი სართულის დონეზე. ინტერიერის მხრიდან შემონახულია სართულშუა კიბე, ნიშები და სათოფურები.

კოშკის გეგმისა და ფორმის დადგენა განმენდის გარეშე შეუძლებელია.

სოფ. ქოლოთი

ქოლოთის ციხე, IX-X სს; XVI-XVII სს.

კოშკი X ს. გალავანი XVI-XVII სს.

ვახუშტის მიხედვით: "ამ მთას გაზდის სამხრით რეხულა, და არს აქა ციხე მცირე, და მას ციხეს ქუეით ქოლოთქვიტკირი"

ისტორიულ წყაროებში ციხე იხსენიება მხოლოდ XIII-XIV საუკუნეთა



გეგმა

მიჯნაზე. "ძეგლი ერისთავთას" ავტორის მიხედვით, XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე დავით VIII გადაწყვიტა ურჩი ქსნის ერისთავის დასჯა და მისი იქ არ ყოფნისას საერისთავოს დიდი ჯარით შეუტია. მეფის ჯარმა "დაუწყეს და მოაოხრეს ყოველი ცხრაზმის ხევი გარეშე ციხეთა, და ციხეთა ჰბრძოდეს ქუენიფნევს, ქარჩოხს, ქოლოთს და ისროლს, არამედ ვერა იხუნეს" როგორც ირკვევა, ქოლოთი ამ დროს მაგარი ციხე-სიმაგრე ყოფილა. მან შვიდწლიან ომს გაუძლო. ქოლოთის ციხე XIV ს. ბოლოს ისევ აუღებლად ითვლებოდა.

1400 წელს, თემურლენგმა ააოხრა საქართველო და მათ შორის ქსნის საერისთავოც. "ძეგლი ერისთავთას" ავტორის ცნობით, თემურს ეს მხარე კი მოუოხრებია, მაგრამ ყველა ციხე ვერ აუღია, მათ შორის, ვერც ქოლოთი.

ქოლოთის ციხე მდებარეობს მდ. რეხურას მარცხენა ნაპირას, მაღალი კლდოვანი მთის ნამოზიდულ კონცხზე. აქ არსებული ანსამბლი თანდათანობით გაზრდილა. თავდაპირველად აქ ზურგიანი კოშკი მდგარა, შემდეგ მისთვის საცხოვრებელი ნაგებობები მიუდგამთ და ბოლოს გალავნით შემოუფარგლავთ.

ზურგიანი კოშკი ანსამბლის ყველაზე მაღალ ადგილზე დგას. აქედან იგი სნორი კედლით დასცქერის ხეობას და დარაჯობს მის ნაპირზე გამავალ გზას.



საერთო ხედი

კოშკიდან შემორჩენილია ხუთი სართული. პირველი სართულის იატაკ-ქვეშ ერთიანი წყალსაცავია მოწყობილი. მისი კედლები მკვრივი ნალე-სობითაა დაფარული, პირველი სართულის გეგმა ტრაპეციულია. ზედა სართულებიც ასევე მეორდება, იმ განსხვავებით, რომ ზურგის მხარე თან-დათანობით წრიული ხდება. განიერი მხარე საშუალოდ 2,20 მეტრია, ხო-ლო ვიწრო - 1,5 მეტრი. კოშკის პირველი სართული კარიდან ნათდება, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე ჭერქვეშ მოთავსებული თითო ვიწ-რო სარკმლით. მეხუთე სართულის იმავე სწორ კედელში საკმაოდ მოზ-რდილი კარია დატანებული. ეს კარი გადიოდა შვერილ აივანზე. კარის ქვემოთ და ზემოთ კედელში ჩანს აივნის კრონშტეინებისა და კოჭის ბუ-დეები. კოშკს წინ მიდგმული აქვს ორნაწილიანი საცხოვრებელი შენო-ბა. შენობის პირველი ნაწილის ჩრდილოეთი კედელი გადაწოლილია, ამი-ტომ მისი გეგმა კარგად არ იკითხება. პირველი სართული ნანგრევები-თაა სავსე და სამხრეთით მდებარე ერთი სარკმლის მეტი არაფერი ჩანს. შესასვლელი მეორე სართულზე იყო სამხრეთიდან. იქვე, მარცხნივ პა-ტარა სარკმელია, დასავლეთით კი - კარი. ეს კარი შენობის მეორე ნა-წილის ბანზე გადადიოდა. ეს ნაწილი ვიწროა, გარეთა მოხრილი კედ-ლით. ამ სადგომის პირველ და მეორე სართულსაც მხოლოდ სარკმლე-ბი აქვს. სართულშუა გადახურვა ორივეგან ხისა იყო. შენობები კოშკის მსგავსად ფლეთილი ქვითაა ნაგები.

გალავანი სამხრეთით კოშკის ზურგთან იწყებოდა და ნელ-ნელა ძირს ეშვება. ხევის პირას ქარაფთან ამჟამად კედელი წყდება და შემდეგ ჩრდილოეთით უერთდება სადგომს. უკეთაა შემორჩენილი სამხრეთი კე-დელი. აქვეა ვიწრო შემოსასვლელი. კარის გვერდზე ორი ცალმაგი სა-თოფურია შემორჩენილი.

სოფ. ქურთა

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

"პაპიანთ" უბნის სასაფ-ლაოზე სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით და ფიქალით ნაგები დარბაზული ეკლესია დგას. კარის წირთხლებზე



გეგმა

აქა-იქ გამოყენებულია შირიმის ქვა.

ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ასიმეტრიული ფორმის აბსიდით, რომლის ცენტრში სარკმელი იყო. კედლების დაზიანების გამო სარკმლის ფორმა არ ჩანს. ჩრდილოეთით დიდი ზომის თაღოვანი ნიშაა, სამხრეთით კი არქიტრავული. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით.

ინტერიერი, საკურთხეველის ფრაგმენტი

გრძივი კედლები შემორჩენილია 2-2,5 მეტრის სიმაღლეზე. სამხრეთ კედელში სწორკუთხა ნიშაა. სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში სარკმლების კვალია. სამხრეთის არქიტრავულ შესასვლელს ნაოთხალები აქვს.

ეკლესიაში დევს მრგვალი ფორმის ქვა ჩაკვეთილი ჯვრის გამოსახულებით.

ინტერიერი,
ქვა - ჯვარის გამოსახულებით

სოფ. ქურთა

კვირაცხოვლის ეკლესია

ადრე შუა საუკუნეები

ხრიკულთუბანის დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. მარკანტულ ნაწილებში გამოყენებულია შირიმი.

ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით შემორჩე-



გეგმა

ნილია მკვეთრად ნალისებრი ფორმის აბსიდის სამხრეთი ნაწილი, რომელსაც მძლავრი, ორსაფეხურიანი მხარი გააჩნია. ჩრდილოეთი კედელი ნაწილობრივ ჩამონგრეულია, საძირკველიც კი არ იკითხება.

თიხის ფილის ფრაგმენტი
წმინდანის გამოსახულებით

ეკლესიის გრძივ კედლებზე გადადის შირიმის ქვის კედლის თაღები. თაღები პილასტრებს და კრონშტეინებს ეყრდნობა. დასავლეთის ფართე შესასვლელი არქიტრავულია. შესასვლელის თავზე მაღალი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. ინტერიერი ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით.

ეკლესიას გარშემოსავლელი ჰქონდა, რომელიც ამაჟამად დაზიანებულია. ჩანს მხოლოდ მისი საძირკველი.

ეკლესიის ტერიტორიაზე ვიპოვეთ თიხის მოწითალო ფილა, რომელზედაც წმინდანების ფიგურებია გამოსახული. ფილა რამდენიმე ნაწილადაა გატეხილი. იგი გადაეცა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.



ეკლესიის ეზოში ნაპოვნი თიხის ფილის ფრაგმენტები

სოფ. ქურთა

ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

ძეგლი მდებარეობს ნასოფლარ მეტეხში. ეკლესიიდან შემორჩენილია ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტები 30 სმ სიმაღლის. ქვა ადგილობრივი წარმოშობისაა და ფლეთილია. დანარჩენი კედლების მხოლოდ საძირკვლის კვალია. მთლიანი გეგმა არ იკითხება.

სოფ. ქურთა

ლაშარობის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

სოფლის მიდამოებში, ნასოფლარ მეტეხში მდებარე დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფიქალითაა ნაგები.

გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით გააჩნია სწორკუთხა საკურთხეველი, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული, საფეხურებიანი სარკმელი. სამხრეთ კედელზე შემორჩენილია იმპოსტი. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედელშია მოთავსებული. ნაგებობას ჩამოქცეული აქვს გადახურვა.

ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

ეკლესიას სამხრეთიდან მინაშენი ჰქონდა, რომლისგანაც შემორჩენილია დასავლეთი და სამხრეთი კედლის ფრაგმენტები. დასავლეთით მოწყობილია სწორკუთხა ნიშა.

ეკლესიას გვიანდელი გადაკეთების კვალი ეტყობა.

ძეგლის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

სოფ. ქურთა, მიდამოები

ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ეკლესია მდებარეობს ნასოფლარ მეტეხთან, რომელიც სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითა და ფიქალითაა ნაგები.

გეგმით კვადრატს წარმოადგენს, სწორკუთხა საკურთხეველში წყვილი სწორკუთხა

ნიშაა მოთავსებული. ასეთივე ნიშაა ჩრდილოეთ კედელშიც.

არქიტრავული შესასვლელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. გადახურვა ჩამოქცეულია. ადგილობრივ მოსახლეობას ძეგლი თუნუქით გადაუხურავს.

შესაძლებელია ეს იყო კოშკი, რომელიც ეკლესიად გადააკეთეს.

საერთო ხედი

ნიში

სოფ. ქურთა

ნიში

გვიანი შუა საუკუნეები

ნიში მდებარეობს ნასოფლარ მეტეხის მიდამოებში და ფიქალითაა ნაშენი, წყობა მშრალია. ნიში იქვე მდებარე ნაეკლესიარს ეკუთვნის.

სოფ. ქურთა

ნიში

შუა საუკუნეები

ნიში მდებარეობს ნასოფლარ მეტეხის მიდამოებში და ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვითაა ნაშენი. წყობა მშრალია. ტერიტორიაზე ეკლესიის კვალი არ ჩანს.



ნიში

სოფ. ქურთა

ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

საერთო ხედი

ნასოფლარ მეტეხის მიდამოებში მდებარე ეკლესიიდან შემორჩენილია მხოლოდ საძირკველი და ჩრდილოეთი კედლის მცირე ნაწილი. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი წარმოშობის, დიდი ზომის ქვები.

გეგმის წაკითხვა სპეციალური გაწმენდის გარეშე შეუძლებელია.

სოფ. ყანჩაეთი

ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები, რომელიც შემდეგ შელესილი იყო. კუთხეებში გამოყენებულია ქართული აგური.

დარბაზული ეკლესია გეგმით წაგრძელებული სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით ორ ნაწილად იყოფა. ნახევარცილინდრული კამარის დასავლეთის საბჯენი თაღი პილასტრებს

ეყრდნობა, ხოლო ცენტრალური თაღი კედლის წყობაში იძირება.



ხედი სამხრეთიდან

დასავლეთი შესასვლელი თაღოვანია, ხოლო სამხრეთისა - არქიტრავული. დარბაზი განათებულია სამხრეთის ორი თაღოვანი და ერთი სნორკუთხა სარკმლით.

ეკლესიის კარნიზი მარტივპროფილიანია. საბურავად გამოყენებულია კრამიტი. სამხრეთიდან შეიმჩნევა მინაშენის კვალი.

ფასადებზე ნალესობა მრავალ ადგილას ჩამოცვენილია. კედლები დაბზარულია. კარ-სარკმლები დაზიანებული.

სოფ. ყანჩაეთი

კაბენის ღვთისმშობლის მონასტერი

IX საუკუნე, გარშემოსავლელი X ს., გადაკეთებულია XIII საუკუნეში, ფერწერა XIII ს.

ვახუშტის მიხედვით: "წირქვალს ზეით, ჩრდილოთ, არს მონასტერი კაბენი, გუმბათიანი, ყანჩიეთს, კეთილად ნაშენი, შუენიერს ადგილს და აწ ხუცის სამარ"



გეგმა

ეკლესიის სამხრეთი ფასადის დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი: "ნეტა (რ) ად(არნასეს ასულს) ლატავ(რს) თო... ეს(წმინდაი ეკლესიაი)..." თუ ამ ფრაგმენტულ წარწერაში მოხსენიებულ ლატავრას გავაიგივებთ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ ადარნასე ბაგრატიო-

ნის (ე.ი. პირველი ქართველი მეფის ბაგრატიონის გვარიდან) ასულ ლატავრასთან, მაშინ, ძეგლის აგების თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ IX საუკუნის დასაწყისი.



აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი

აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში N1452, დაცულია ე.წ. ყანჩაეთის "ჟამგულანი", რომელიც თავის დროზე კაბენის ღვთისმშობლის გეთსამანიის ეკლესიის საკუთრებად ითვლებოდა. გვიან საუკუნეებში ქართულმა საეკლესიო მწერლობამ შეიმუშავა ორიგინალური ლიტერატურული კრებული, რომლის მსგავსი სხვა ეკლესიას არა აქვს. ესაა "გულანი" კოდექსი, რომელშიც ყველა საღვთისმსახურო წიგნია თავმოყრილი, ხოლო მის შემოკლებულ რედაქციას, რომელიც შეიცავს "ჟამნსა" და მოკლე სვინაქსარულ ცნობებს, წარმოადგენს ე.წ. "ჟამნგულანი"

ყანჩაეთის "ჟამნგულანს" დამატებით დაერთვის კინკლოსი, რომელიც შეიცავს ისტორიულ მინაწერებს XV ს-ის მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე. ამ მინაწერებში მრავალი ისტორიული ცნობაა შესული.

ანდერძებიდან ჩანს, რომ ჟამგულანის გადაწერა დაუმთავრებიათ 1764 წელს და ევდემონს იგი შეუწირავს კაბენის ღვთისმშობლის მონასტრისათვის, რომელიც რატიშვილთა საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა. შემდეგ ხელნაწერი დაკარგულა, იგი უპოვია არაგვის ერისთავს გრიგოლ პაპუას ძეს, დაუბრუნებია ევდემონისათვის და ამ უკანასკნელს თავიდან შეუწირავს იგი ღვთისმშობლის მონასტრისათვის.

კაბენის ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს მდ. ქსნის ხეობაში. იგი აღმართულია ტყით დაფარულ მთის ფერდზე.

ეკლესიამ მრავალი გადაკეთება განიცადა. თავდაპირველად აქ, IX საუკუნეში იდგა მცირე ზომის გუმბათიანი ეკლესია. X საუკუნეში ძეგლს გაუკეთეს გარშემოსავლელი, ხოლო XIII საუკუნის პირველ ნახევარში, ძირფესვიანად გადააკეთეს. მთელი აღმოსავლეთი ფასადი გამონიეს წინ, გაჭრეს დანარჩენი სამი კედელი და ამრიგად, შიდა სივრცე შეერწყა გარ-

შემოსავლელის სივრცეს. ნაგებობამ მიიღო ახალი არქიტექტურულ-კომპოზიციური სახე. ახალმა მშენებელმა სამხრეთი ნაწილი წინ წამოწია, ააშენა ახალი კრიპტა. მთელი დასავლეთი ფასადი მოშალა, შეინარჩუნა სამხრეთ-დასავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის ძველი ნაგებობის კუთხეები, გამოიყენა ისინი გუმბათის დასავლეთ წყვილ ბურჯებად. ამ ბურჯებიდან გადაიყვანა თაღები გარშემოსასვლელის დასავლეთ კედლამდე. დასავლეთ მხარეს გამართა ახალი კარიბჭე. მიშენებული უნდა იყოს ჩრდილოეთი ფასადის, დასავლეთი მხარის სამრეკლოც. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ სამრეკლოს მიადგეს მცირე ზომის კარიბჭე.


საერთო ხედი

ეკლესიის ინტერიერმაც რიგი ცვლილებები განიცადა. ძველი გუმბათის ყელი აამაღლეს, სარკმლები გააფართოვეს; ჩუქურთმიანი კარნიზით დააგვირგვინეს და ძველთან შედარებით უფრო წონოლა სახურავი დაახურეს. ახალი გუმბათოვანი ნაგებობა ღრმამკლავებიან ჯვრის გეგმას იძლევა, გუმბათი დასავლეთით უკვე წყვილ ბურჯზეა დაყრდნობილი, აღმოსავლეთით კი, საკურთხევლის პილონებზე. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა ტრომპების საშუალებით ხდება.

ეკლესიას ნალისებრი აბსიდი აქვს. აბსიდის ჩრდილოეთი და სამხრეთი მხარე თითო, ნალისებურივე ფორმის ნიშებია. ნიშების თავზე და აბსიდის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმლები. ბემა ძალზედ ღრმაა. აბსიდს და ბემას ხარისხი შემოუყვება. საკურთხევლის წინ ქვის ორნამენტირებული კანკელია.


ინტერიერი. საკურთხეველი

აბსიდის გვერდებზე განლაგებულია მცირე ზომის სათავსები. სამხრეთ სათავსს დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს. ჩრდილოეთი სათავსის კარი ბემაშია გაჭრილი.

საკურთხეველში და კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

ეკლესიის ფასადებიც შესაბამისადაა გაფორმებული აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფასადები თლილი ქვითა და ეპოქისათვის დამახასიათებელი მდიდარი ჩუქურთმით. სამხრეთი ფასადი უფრო მარტივადაა გადაწყვეტილი.

აღმოსავლეთ ფასადის მორთულობის კომპოზიცია იკორთის ანალოგიურია. მოჩუქურთმებული სარკმლის ჩარჩოს თავზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა, სარკმლის ქვემოთ კი შეწყვეტილი რომბებია. უხვადაა მოჩუქურთმებული კარნიზიც.

სოფ. ყანჩაეთი

ხადის ციხე

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ვახუშტის მიხედვით: "ჩრდილოეთ ყანჩიეთისა, ზებეყურის მთის ძირს, არს ხადის ციხე, მაგარი. ზებეყურის მთა არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი".

სოფლიდან დასავლეთით 1 კმ-ზე მდებარე ციხე სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კოშკია, რომელიც შემორჩენილია ოთხი სართულის დონეზე. კოშკის ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებში თაღოვანი ნიშებია - სათოფურებითურთ, რომელთაგან ერთი ჩრდილოეთითაა, ხოლო სამი დასავლეთით.

კოშკის აღმოსავლეთით ორი სათავსია, რომლებიც გვერდიგვერდაა განლაგებული. პირველი სართული ამოვსებულია მიწით და ქვით. სათავ-

სები ერთმანეთს უკავშირდება თაღოვანი გასასვლელით, რომელიც ამჟამად ჩამონგრეულია.

აღმოსავლეთ სათავსში, ჩრდილოეთით გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. აღმოსავლეთით სამი ნიშაა, თითო-თითო სათოფურით.

მთლიანობაში ციხე დანანევრებულია პატარ-პატარა სათავსებით, რომელთა გეგმები ძნელად იკითხება.



საერთო ხედი

სოფ. ყანჩავეთი

წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

ძეგლი მდებარეობს ხადის ციხიდან დასავლეთით 2 კმ-ის დაშორებით. ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

კედლის ფრაგმენტი

უაბსიდო ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა. კედლები შემორჩენილია 1-2 მეტრის სიმაღლეზე. ეკლესია მთლიანად ჩახერგილია ჩამონაშალი ქვით და დიდი ზომის ხეებით. მიწის დონე აწეულია.

ჩრდილოეთიდან შემორჩენილია მინაშენის ფრაგმენტები. ძეგლის გარშემო გალავნის ნაშთია.

სოფ. შუა ალევი

ღვთისმშობლის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები, კედლები შეაბათქაშეს და შეათეთრეს.

გეგმით სწორკუთხა მოხაზულობის ეკლესია, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილი შიგნით სწორკუთხა - გარეთ თაღოვანი სარკმელის ჩრდილოეთით და სამხრეთით დიდი ზომის, ფართე, თაღოვანი ნიშებია. კონქს შეისრული ფორმა აქვს. სატრიუმფო თაღი პილასტრებს ეყრდნობა. აბსიდის იატაკის დონე ერთი საფეხურით მაღალია დარბაზთან შედარებით.

გრძივი კედლები წყვილი პილასტრების საშუალებით სამ არათანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრებს ეყრდნობა შეისრული კამარის საბრჯენი თაღები.



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

ეკლესიის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში მოთავსებულია ნაოთხალიანი სარკმლები. არქიტრავული შესასვლელი დასავლეთიდანაა, ჩრდილოეთი შესასვლელი კი მოგვიანებითაა გაჭრილი. იატაკზე მოგებულია ქართული აგური.

ინტერიერი შელესილ-შეთეთრებულია. ეკლესიაში მოწყობილი იყო საწყობი და ამდენად აქ ბევრრამ გადაკეთებულია.

ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ზევით, წყობაში ჩაძირული სამი ჯვრის გამოსახულებაა. ლავგარდანი აგურის კბილანისებრი წყობითაა შესრულებული.

ნაგებობის საბურავად გამოყენებულია კრამიტი.

ეკლესიის კედლები დაბზარულია, ხოლო გადახურვა დაზიანებული. მოსახლეობამ ძეგლს საწყობისათვის დასავლეთიდან მიაშენა სათავსი.

სოფ. შუა ალევი

კვირაცხოვლის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

საერთო ხედი

თაღ-კამარა ჩამოქცეული, დარბაზული, გეგმით სწორკუთხა მოხაზულობის ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით. კედლები შემორჩენილია 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე, ზოგან უფრო ნაკლებია. ნაგებობის ინტერიერი ჩახერგილია ჩამონაშალი ქვით. ამოსულია დიდი ზომის მცენარეები, რის გამოც აზომვა არ ხერხდება.

სოფ. შუა ალევი

სამების ნიშის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითა და აგურითაა ნაგები.

გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით ასეთივე სწორკუთხა საკურთხევლია, რომლის ცენტრში მოთავსებულია არქიტრავული ნიშა. მის ქვემოთ, კედლის წყობაში ჩატანებულია ქვაჯვარა.



ხედი დასავლეთიდან

ხედი საკურთხეველზე

ცილინდრული კამარა აგურის წყობითაა გადაყვანილი. ძეგლმა ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. მთლიანად არის ჩამონგრეული დასავლეთის კედელი.

სამხრეთი ფასადის დიდი ნაწილი დეფორმირებულია. ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა.

სოფ. შუა ალევი, ადგილი "ანჭირი"

წმინდა მარიამის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

დარბაზული, გეგმით სწორკუთხა მოხაზულობის ეკლესია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. აღმოსავლეთით გააჩნია, ასევე სწორკუთხა საკურთხეველი. ჩრდილოეთით გრძივ კედელში ერთი სწორკუთხა ნიშაა, დასავლეთით შესასვლელი ღიობი აქვს.



ხედი ჩრდილო დასავლეთიდან

კედლები შემორჩენილია 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე. მათი დაზიანების გამო სარკმელთა კვალი არ შემორჩა.

სოფ. შუა ალევი

ეკლესია

გარდამავალი შუა საუკუნეები



გეგმა

ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

"ყოჩიანთ" უბნის სასაფლაოზე დგას დარბაზული ეკლესია, რომელიც სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები, ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.

ეკლესია გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთით აქვს ნალისებრი ფორმის აბსიდი, რომლის ცენტრში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. ჩრდილოეთით არქიტრავული ნიშაა. აბსიდი დარბაზისგან გამოიყოფა შვერილებით. გრძივ კედლებში თითო ნიშაა. დასავლეთ კედელში მოთავსებულია სარკმელი. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილშია. ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია ნალესობის კვალი.

ფასადები სადაა. აღმოსავლეთი სარკმლის სათაური შირიმისაა, ნაგებობა გვიან შუა საუკუნეებში გადაუკეთებიათ. დასავლეთ კეხზე შემორჩენილია ამ პერიოდის სამრეკლოს ორი აგურის სვეტი.

ეკლესიის კედლები მრავალ ადგილას დაბზარულია. ჩამოქცეულია თაღ-კამარა, ხოლო ნაგებობის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია. სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე გარღვეულია. კედლები მრავალ ადგილას დაბზარულია.

სოფ. შუა ალევი

"ლომისას ნიში"

შუა საუკუნეები

"ყოჩიანთ" უბანში, იქვე, ბორცვზე არის ქვის გროვა, რომლისგანაც ადგილობრივ მოსახლეობას პატარა ნიში აუშენებია.

შესაძლოა ქვის გროვა ძველ ნაეკლესიარზე დაუდგავთ.

სოფ. შუა ზახორი

ეკლესია კუცხათის წმ. გიორგი

გვიანი შუა საუკუნეები



ხედი ჩრდილოეთიდან



გეგმა

ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. წყობა ქაოსურია.

დარბაზული, უაბსიდო ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა. შესასვლელი დასავლეთ კედელშია მოწყობილი. ადგილობრივ მოსახლეობას იგი შიფერით გადაუხურავს.

სოფ. შუა ზახორი

ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე, სასაფლაოზე დგას ეკლესია, რომელიც ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვითაა ნაგები. მარკანტული ნაწილე-

ბისათვის გამოყენებულია შირიმი.

ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით აქვს სწორკუთხა საკურთხეველი, ცენტრში არქიტრავული სარკმლით.

სარკმლის მარჯვნივ ნიშაა მოწყობილი. შიდა სივრცე გადახურულია ცილინდრული კამარით, რომლის საბრჯენი თაღიც პილასტრებს ეყრდნობა. დასავლეთ კედელში გაჭრილია ვიწრო სარკმელი.

სამხრეთ კედელში მოწყობილი შესასვლელი თითქმის მორღვეულია. მონგრეულია ნაგებობის ჩრდილო- აღმოსავლეთი კუთხე. საბურავი აყრილია.

სოფ. შუა ზახორი

წმინდა ნიკოლოზის ეკლესია

გარდამავალი ხანა



გეგმა

ძეგლი მდებარეობს მდ. ლეხურას ხეობაში, ვანის ხევის შესართავთან, სოფ ქვითკირის დასავლეთით 0,5 კმ-ზე. ეკლესია საშუალო ზომის ფლეთილი ქვითაა ნაშენი.. იგი წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობას. დარბაზი გეგმაში დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული სწორკუთხა მოხაზულობისაა კოლოფისებრი აბსიდით. აბსიდის მცირე მხრები პირდაპირ სატრიუმფო თაღში გადადის. ცილინდრული კამარა, რომელსაც გადახურვა ეჭირა დასავლეთ მხარეს ჩამოშლილია. გარედან არქიტრავული - შიგნიდან თაღოვანი კარი ეკლესიაში გაჭრილია სამხრეთით. დარბაზის მთელ პერიმეტრს ხარისხი შემოუყვება. გრძივ კედლებში თითო სწორკუთხა ნიშაა. სარკმლები

გაჭრილია საკურთხეველსა და დასავლეთ კედელში. დასავლეთ სარკმლის ძირი ოთხსაფეხურიანია. საკურთხევლის ცენტრში, კედელთან მიდგმულია ტრაპეზის ქვა. აქა-იქ მიმობნეულია კანკელის ფრაგმენტები.



კბილანა ლავგარდნის ფრაგმენტი

მოგვიანებით ინტერიერი გალესილი და მოხატული ყოფილა. დღესდღეობით ფრესკების სიუჟეტების გარჩევა შეუძლებელია.



საერთო ხედი

გარე ფასადები მთლიანად სადაა. შელესილობა მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებში შემორჩა. დულაბიც ამორეცხილია. ქვის წყობაში იგრძნობა თარაზულობის შენარჩუნების სურვილი. საინტერესო ელემენტს წარმოადგენს შირიმის კბილანა ლავგარდანი, თუმცა თლილია საკმაოდ ტლანქად.

ეკლესიას ჩრდილოეთიდან მცირე ზომის მინაშენი აქვს.

გალავნის კვალი შეიმჩნევა ნაგებობიდან სამხრეთით რამდენიმე მეტრზე.

სოფ. ჩიგოიანი

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმის ფრაგმენტი

ნასოფლარ თოგოიანის მიდამოებში მდგარი, ნანგრევებად ქცეული ეკლესიიდან შემორჩენილია ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტი, ხოლო აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხეველი სარკმლით, რომელიც ცენტრიდან უფრო ჩრდილოეთითაა

გაჭრილი. ეკლესიის კედლები აგებული იყო ხელოვნურ სუბსტრუქციაზე.

ნაგებობის დანარჩენი კედლები ჩაფლულია მიწაში. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა.

სოფ. ჩიგოიანი

ზურგიანი კოშკის ნანგრევი

IX-X საუკუნეები



გეგმა

ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

სოფლის მიდამოში მდებარე კოშკიდან შემორჩენილია ჩრდილოეთი, ნაწილობრივ აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლები. სამხრეთით კედელი მთლიანად ჩამონგრეულია. იკითხება ოთხი სართულის დონე. მესამე სართულის ჩრდილოეთ კედელში შემორჩენილია სათოფურები.

კოშკი სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

ნაგებობის სიგრძე - 9 მეტრი იყო, სიგანე 8,55 მ., კედლის სისქე 1.90 მ.

სოფ. ჩიგოიანი

ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

"ხეტიაანთ" ხევის მარჯვენა მხარეს მდებარე ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა

მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით ასეთივე სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია სარკმელი. ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებში სწორკუთხა ნიშებია მოწყობილი.



საერთო ხედი

შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილშია მოთავსებული. ბალავარზე პრიმიტიული ჯვარია ამოკვეთილი.

ნაგებობის თაღ-კამარა ჩამოქცეულია, კედლები დეფორმირებული. ძეგლის ირგვლივ მიწის დონე აწეულია.

სოფ. ჩიგოიანი

კვირაცხოვლის ეკლესია

გარდამავალი ხანა



გეგმა

სოფლის მიდამოში მდებარე ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის ქვითა და ფიქალითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით, ცენტრში გაჭრილია არქიტრავული, საფეხურებიანი სარკმელი, რომლის აქეთ-იქით თითო ნიშაა მოთავსებული. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. დარბაზს ხარისხი შემოუყვება. ჩრდილოეთ კედელზე ერთი, ხოლო სამხრეთ კედელზე ორი სწორკუთხა ნიშაა მოთავსებული. ეკლესია ნათდება აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში დატანებულ სარკმლებით. იატაკი ამოვსებულია მიწით.

ეკლესიას დასავლეთიდან და სამხრეთიდან გეგმით სწორკუთხა მინაშენები აქვს. სამხრეთი მინაშენი შედარებით მოკლეა და ვიწრო, დასავლეთისა კი განიერი. მინაშენებს ერთი საერთო კარი აქვს სამხრეთ კედელში გაჭრილი, ხოლო ერთმანეთს უკავშირდებიან სამხრეთი მინაშენის დასავლეთ კედელში დატანებული კარის ღიობით.

ხედი სამხრეთიდან

ეკლესიის კედლები დაზიანებულია, აყრილია საბურავი მასალა. მინაშენები ნაწილობრივ ჩამოქცეულია.

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

ზურგიანი კოშკი

IX-X საუკუნეები



საერთო ხედი

მთის ბორცვზე დგას კოშკი, რომელსაც ჩრდილოეთით მომრგვალებული ზურგი აქვს. მისი ინტერიერი ამოვსებულია მიწით და ქვით. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა. კედლები შემორჩენილია 3-3,5 მეტრის სიმაღლეზე.

სპეციალური გათხრა-გაწმენდის გარეშე გეგმის აზომვა ვერ ხერხდება.

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

ზურგიანი კოშკის ნანგრევი

IX-X საუკუნეები



გეგმა

ზურგიანი კოშკის შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1-1,5 მეტრს აღწევს. იგი ამოვსებულია მიწით და ქვით. ზურგი ჩრდილოეთითაა მიმართული. სამშენებლო მასალად გამოყენებულია დიდი ზომის ფლეთილი ქვა.

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

ზურგიანი კოშკი

IX-X საუკუნეები

ძეგლი მდებარეობს ნასოფლარ თოგოიანის მიდამოებში. 5-6 მეტრის სიმაღლეზე შემორჩენილი ზურგიანი კოშკი დიდი ზომის ქვითაა ნაგები. მისი ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვა-ღორღით.



გეგმა

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით აქვს სწორკუთხა საკურთხეველი, ცენტრში გაჭრილი სწორკუთხა, საფეხურებიანი სარკმლით. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ტრაპეზის ქვა დგას.

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედელშია მოთავსებული. ამავე კედელში გაჭრილია სარკმელი და ერთი ვიწრო სათოფური. ეკლესიის კედლები შემორჩენილია 2 მეტრის სიმაღლეზე, ზოგან უფრო ნაკლებია.



ხედი სამხრეთ დასავლეთიდან

ეკლესიის გადახურვა ჩამოქცეულია. კედლები დაზიანებულია. მიწის დონე აწეულია.

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

სამონასტრო კომპლექსი

IX-X საუკუნეები



გეგმა

სოფლის მიდამოებში დგას სამონასტრო კომპლექსი, რომელიც შედგება კოშკის, მინაშენიანი ეკლესიისა და გალავნისაგან.

ზურგიანი კოშკი შემორჩენილია სამი სართულის დონეზე. არქიტრავული შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთ კედელშია გაჭრილი. პირველი სართული ამოვსებულია მინით, ხოლო მესამე სართულის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია.

კოშკს აღმოსავლეთიდან მიშენებული აქვს სწორკუთხა საკურთხეველიანი დარბაზული ეკლესია. საკურთხევლის ცენტრში სარკმელია გაჭრილი. საკურთხეველიდან კონქზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპების მეშვეობით. აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის თავზე ამოკვეთილია სამი ჯვარი. სამივე ჯვარს ნახევარწრიული ლილვები შემოუყვება. ეკლესიაში შემორჩენილია გვიანდელი მოხატულობის ფრაგმენტები, რომელიც დაზიანების გამო თითქმის არ იკითხება.



ხედი დასავლეთიდან

ეკლესიას სამხრეთით არქიტრავული კარი აქვს. სამხრეთ კედელზე მიჯრით აგებული მინაშენის გადახურვა ჩამოქცეულია. შესასვლელი ღიობი აქაც სამხრეთ კედელშია დატანებული.

ყველა ნაგებობის სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა. ძეგლს გარშემო გალავანი შემოუყვება.

სოფ. ჩიგოიანი

ნაგებობის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ძეგლი მდებარეობს სოფლის მიდამოებში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა "ალავერდს" უწოდებს.

ნაგებობის გადახურვა და კედლის დიდი ნაწილები ჩამოქცეულია. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 2 მეტრს აღწევს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა. ნაგებობა გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს. დასავლეთი კედლის მხოლოდ საძირკველი იკითხება.



გეგმა

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები, ნასოფლარი "ალავერდი"

სამონასტრო კომპლექსი, IX-X საუკუნეები
ეკლესია კოშკით, IX-X საუკუნეები

ნასოფლარ "ალავერდში" მდებარე კომპლექსი შედგება მინაშენიანი ეკლესიისა და კოშკისაგან. დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. გეგმით სწორკუთხა, აღმოსავლეთით ასევე სწორკუთხა საკურთხევლის ცენტრში გაჭრილია ერთ ღერძზე განლაგებული ორი არქიტრავული სარკმელი. ინტერიერში ქვედა სარკმელს თავზე რელიეფური თავსართი აქვს, რომელიც ბოლოში კუთხეებს ქმნის (ე.წ. წარბი).



გეგმა

გრძივ კედლებზე წყვილი პილასტრია შემორჩენილი, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში კი ორსაფეხურიანი პილასტრია. შესასვლელი სამხრეთ

კედელშია მოთავსებული. გადახურვა მთლიანად ჩამოქცეულია.

ეკლესიას სამხრეთიდან მოკლე და ვიწრო მინაშენი ჰქონდა. მისგან მხოლოდ აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლებია შემორჩენილი. მათი სიმაღლე 1-1,5 მეტრს აღწევს.

ეკლესიას დასავლეთიდან მიჯრილი აქვს ზურგიანი კოშკი, რომელიც ფლეთილი ქვითაა ნაგები. ზურგი ჩრდილოეთისკენ არის მიმართული. შემორჩენილია კოშკის ქვედა სართული.

მეორე სართულის სამხრეთ კედელში არქიტრავული შესასვლელია. ამავე კედლის ყველა სართულში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. მესამე სართულის სარკმლის სათაური შირიმის ქვაშია გათლილი. მასზე რელიეფი შეიმჩნევა.

ინტერიერი,
საკურთხევლის ფრაგმენტი

სოფ. ჩიგოიანი, სასაფლაოზე

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ნანგრევებად ქცეული მცირე ზომის დარბაზული ეკლესია რიყის, ფლეთილი და შირიმის ქვით იყო ნაგები.

ნახევარწრიულ საკურთხეველში, მორღვეული სარკმლის ორსავე მხარეს თითო ნიშაა მოთავსებული. სამხრეთ კედელში შესასვლელი კარის მარცხენა წირთხლია შემორჩენილი.



აღმოსავლეთი ფასადი



გეგმა

სოფ. ჩიგოიანი,

ეკლესია ნითელი ხატი

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ძეგლი მდებარეობს ნასოფლარ "ქვედა ბაგინში" მდ. ქსნის სათავეებთან. დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. გეგმით სწორკუთხა ნაგებობა, აღმოსავლეთით ასეთივე საკურთხევლითაა დასრულებული, რომლის ცენტრში გაჭრილია სარკმელი. დასავლეთ კედელში ერთი ნიშაა. სამხრეთით არქიტრავული შესასვლელია.

აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის თავზე, ღრმა ნიშაა, რომელშიც წარწერიანი ზარები ჰკიდია. ამავე ფასადის კეხზე დადგმული ქვაჯვარა ადგილიდანაა დაძრული და არის მისი ჩამოვარდნის საშიშროება.

ეკლესიას ეტყობა მრავალი გადაკეთების კვალი. საბურავად გამოყენებულია ყავარი. ძეგლის გარშემო გალავანია.



აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

სოფ. ჩიგოიანი

აკლდამები

გვიანი შუა საუკუნეები

აკლდამები

საერთო ხედი

ნასოფლარ ქვემო ბაგინიში, ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე ყურადღებას იპყრობს ხევის პირზე ერთმწკრივად განლაგებული აკლდამების მრავალფეროვნება.

შესასვლელი ღიობები ყველას ხევის მხარეს, ანუ სამხრეთით აქვს.

სასაფლაოზე საინტერესო ქანდაკებებია, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წითელი ქვის ბუნი და ქვაშივე ჩასმული ჯვარი. ბუნზე აღმოსავლეთით ქალის და მამაკაცის ხელიხელჩაკიდებული ფიგურებია ამოკვეთილი. ჯვარზე მხედრული წარწერაა. არის სხვა ბუნის ქვებიც - ოთხი ცალი ერთრიგად ჩამწკრივებული, ასევე ვერტიკალურად ჩასმული ქვის თხელი ფილები და ბრტყელი საფლავის ქვები.

როგორც წარწერიდან ჩანს, სოფელში ძირითადად ძებისაშვილებს უცხოვრიათ.

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

ეკლესია

გარდამავალი ხანა

მთაზე მდებარე ეკლესიიდან შემორჩენილია აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები. სამხრეთი კედელი მთლიანად ჩამონგრეულია.



აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი



გეგმა

ინტერიერის ფრაგმენტი

სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფიქალი, რომელიც შემდეგ შელესილი იყო. მარკანტული ნაწილები შირიმისაა. დარბაზი გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა. სწორკუთხა საკურთხევლში გაჭრილია მაღალი, შიგნით არქიტრავული, გარეთ თაღოვანი, საფეხურებიანი სარკმელი. სარკმელი დასავლეთ კედელშიცაა მოთავსებული. ჩრდილოეთ კედელში ორი მცირე ზომის ნიშაა, ერთიც დასავლეთ კედელშია.

ეკლესიაში მიწის დონე საგრძნობლად არის აწეული - კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლებზე შემორჩენილია ნალესობის კვალი.

აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე შემორჩენილია შირიმის ქვის კარნიზი. აღმოსავლეთ ფრონტონის კარნიზის ქვაზე ჯვრებია გამოსახული.

ეკლესიაში დევს დამუშავებული სათაურის ქვა. შესაძლოა ქვა სამხრეთი სარკმლისა იყოს.

სოფ. ჩიგოიანი

ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ნასოფლარ "თოგოიანის" მიდამოებში მდებარე სწორკუთხა გეგმის დარბაზული, უაბსიდო ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვი-



აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი



დასავლეთ ფასადი

თაა ნაგები. ნაგებობის კამარა ჩამოქცეულია. დასავლეთით არქიტრავული შესასვლელია გაჭრილი. მისგან მარჯვნივ, კედლის გარე წყობაში ჩადგმულია ძაღლის თავის სკულპტურული გამოსახულება.

ბალავარი - წითელი ქვის ბრტყელი ფილაა, ზედ ჯვრისა და ორი რგოლის პრიმიტიული გამოსახულებებია.

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

კომპლექსი "ბერციხე"

ადრე შუა საუკუნეები; XVIII ს.

"ბერციხის" ანსამბლი მდებარეობს მდ. ქსნის სათავეებთან, ჟამურის ხეობაში მჟავე წყლების თავზე, კლდოვან სერზე. ციხისათვის შეურჩევიათ ორ მდინარეს შორის მოქცეული მაღალი კლდოვანი პლატო. მისასვლელად ისედაც ძნელი იყო და აღმოსავლეთიდან კლდეკარის გაჭრით, კიდევ უფრო მიუვალი გაუხდიათ.



საერთო ხედი

აქ მდგარი ნაგებობებიდან ყველა დანგრეულია და თავდაპირველი სახის აღდგენა შე-

უძლებელია.

ციხის ღერძის მიმართულება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ვითარდება. ამავე მიმართულებით რელიეფი ზევით იწევს. ხელოვნური გალავანი თითქმის არ არის გამოყენებული. ციტადელი ციხის ღერძზე ჩანეულია სამხრეთით და წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას. მეორე სართულის დონეზე ეკლესიაა.



გეგმა

დარბაზული ეკლესიიდან შემორჩენილია სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილები. საკურთხევლის მოხაზულობა ცვალებადია; ძირს ის 1,5 მ სიმაღლემდეა, ზევით კი კუთხეებზე გადებული ქვების მეშვეობით გადადის კოლოფა მოხაზულობაზე. აბსიდის სამხრეთ მხარეს მოხატულობის ძალიან მცირე ფრაგმენტებია. აღმოსავლეთი სარკმელი საკმაოდ მაღალია, მისი რაფა საფეხურისებრად ჩამოდის ძირს. კუთხეებში თითო ნიშაა.



ინტერიერი, საკურთხევლის ფრაგმენტი

სამხრეთ კედელზე შემორჩენილია პილასტრის მცირე ნაწილი, გვერდით შესასვლელია, ღია ლუნეტით.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია თითქმის დაუმუშავებელი ქვა.

ციხის ნანგრევებში გამოირჩევა კიდევ ზურგიანი კოშკი, რომლის პირველი სართული მაღლა იწყება. ამ სართულს მხოლოდ კარი აქვს ბრტყელ მხარეს.

სამხრეთის მიმართულებით მდგარი ცილინდრული კოშკი XVII საუკუნისა უნდა იყოს.

ციხის ანსამბლი ძლიერ დაზიანებულია.

სოფ. ჩიგოიანი

ნასოფლარი თოგოიანი

კოშკი - გარდამავალი შუა საუკუნეები



კოშკის გეგმა

ნასოფლარი თოგოიანი მდებარეობს მაღალი მთის სერზე, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირას. მისი განაშენიანების ჯგუფები ძირითადად სერს მიუყვება. კარგად ჩანს გეგმარება. სახლების კედლები საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი.

ნასოფლარის თავზე ზურგიანი კოშკია. იგი სწორი პირით მდინარე ქსანს გადმოსცქერის. მისი დიდი ნაწილი ჩამოქცეულია. სამშენებლო მასალად გამოყენებულია უხეშად დამუშავებული, სხვადასხვა ზომისა და ფორმის დიდი ქვები. ალაგ-ალაგ წყობაში მცირე ზომის ქვაცაა დატანებული.

ნასოფლარი. საერთო ხედი

სოფ.ჩიგოიანი

ციხის კომპლექსი, მიდამოები

შუა საუკუნეები

მდ. ქსნის მარცხენა ნაპირას შემორჩენილია ციხის კომპლექსი. ყველა ნაგებობა აგებული იყო სხვადასხვა ზომის ფიქალით. კომპლექსი დგას ტერასისებურ რელიეფზე, მდინარის მხარეს მოქცეულ ფასადებთან მისვლა შეუძლებელია. ამდენად აზომვა არ ხერხდება.



საერთო ხედი

კომპლექსში შემავალი ოთხკუთხა კოშკი შემორჩენილია ერთი სართულის დონეზე. მასში შესასვლელი მოთავსებულია აღმოსავლეთ კედელში. სხვა ნაგებობათა ნანგრევების სახეობის დადგენა ტერიტორიის გაწმენდის გარეშე შეუძლებელია.

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

ზურგიანი კოშკი

IX-X საუკუნეები



გეგმა

მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე დგას კოშკი, რომელიც შემორჩენილია სამი სართულის დონეზე. ზურგი აღმოსავლეთითაა მიმართული. არქიტრავული შესასვლელი მეორე სართულის დასავლეთ კედელშია გაჭრილი.

საერთო ხედი

კოშკისათვის სამშენებლო მასალად გამოყენებულია უხეშად დამუშავებული ქვა.

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ძეგლი მდებარეობს სოფლის მიდამოებში მდ. ქსნის მარცხენა, მაღალ ფერდობზე. ეკლესია სხვადასხვა ზომის, ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

დარბაზული ეკლესია გეგმით

სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლის ცენტრში გაჭრილია სარკმელი, რომლის რაფა საფეხურებად ჩამოდის.

ეკლესიის თაღ-კამარა ჩამოქცეულია. კედლები შემორჩენილია სხვადასხვა დონის სიმაღლეზე. სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია. ბალავრის ქვას ქვემოდან შედგმული აქვს ხის მორი, რომელსაც ჯვრისებრი ორნამენტი მიუყვება.

ინტერიერი შელესილი უნდა ყოფილიყო. აღმოსავლეთიდან ეკლესიას მაღალი სუბსტრუქცია აქვს.



ინტერიერი.
საკურთხევლის ფრაგმენტი



ხედი აღმოსავლეთიდან

ხეობისაკენ. დასავლეთ კედელში გაჭრილია შესასვლელი.

კოშკი შემორჩენილია მიწიდან დაახლოებით 15 მეტრის სიმაღლეზე.

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

ზურგიანი კოშკი

IX-X საუკუნეები

მდ. ქსნის მარცხენა სანაპიროზე, მთაზე დგას კოშკი, რომელიც დიდი ზომის უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. ბრტყელი პირით მიმართულია



გეგმა

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

კოშკი

XVII საუკუნე



ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

მდ. ქსნის სათავეებთან, ალპიურ ზონაში, მაღალი მთის პლატოზე არის ხეობის ნასოფლარი - ბაგინი, სადაც დგას საშუალო ზომის პირამიდული კოშკი.

ოთხკუთხა კოშკი გეგმით თითქმის კვადრატულია (6,6X6,5 მ) და ზემოთკენ ოდნავ ვიწროვდება. ოთხსართულიანი კოშკი შიგნით ფლეთილი ქვითაა ნაგები, ფასადები კი თლილი ქვით. კარი პირველ და მეორე სართულს ცალ-ცალკე აქვს ჩრდილოეთიდან. მათი თაღები შეისრული ფორმისაა და ორი დიდი ზომის თლილი ქვითაა შედგენილი. მეორე სართულზე აივანი იყო, რომელიც ეყრდნობოდა ქვის კონსოლურ ძელებს. (მარჯვენა ძელი მოტეხილია).



ჩრდილოეთი ფასადის ფრაგმენტი, მეორე სართულის კარი

პირველი სართულის კედლებში კარის მეტი სხვა არაფერია. მეორე და მესამე სართულის კედლები აღჭურვილია წვრილი სათოფურებით. მეოთხე სართულზე კი სათოფურების გარდა თითო სალოდეცაა ყოველი კედლის ცენტრში.

კოშკის სართულშუა ხის გადახურვა ჩამოქცეულია. შემორჩენილია ხის კოჭის ბუდეები. ჩამოქცეულია სახურავიც.

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

ეკლესია "წითელი საყდარი"

გვიანი შუა საუკუნეები

3,5 კმ-ზე მთაში, ნასოფლარ ზემო ბაგინის მიდამოებში მდებარეობს საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია, რომელიც ძირითადად რიყის ქვითაა ნაგები. ალაგ-ალაგ გამოყენებულია შირიმი და ფლეთილი ქვა. კარი სამხრეთიდანაა. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედელში თითო სარკმელია. საკურთხევალში ორი ნიშაა. აბსიდის სატრიუმფო თაღი შირიმითაა ამოყვანილი. ფასადებიდან ნაწილობრივ ჩამოყრილია პერანგის ქვები. სახურავიდან აყრილია საბურავი მასალა.

ძეგლის გარშემო მიწის დონე აწეულია.



გეგმა

ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილია მხოლოდ საძირკვლის კვალი, ისიც ფრაგმენტულად.

ადგილობრივმა მოსახლეობამ ნაეკლესიარზე ააგო ფლეთილი ქვით სალოცავი ნიში.



საერთო ხედი

სოფ. ჩიგოიანი, მიდამოები

ნაეკლესიარი

შუა საუკუნეები

ნაეკლესიარზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ააგეს ნიში, რომელიც დგას ფლეთილი ქვით აგებულ სუბსტრუქციაზე. თვით ნიში კი ფიქალითაა ნაგები. სამხრეთით სანთლის დასანთები ღრუა. წყობა მშრალია.



საერთო ხედი

სოფ. ჩიტიანი

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

ტერიტორია, რომელზედაც ეკლესია დგას, სოფლის სასაფლაოს ეკუთვნის. დარბაზული სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესია გეგმით მართკუთხედია. საკურთხეველში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. დასავლეთით სწორკუთხა ნიშაა. სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში შესასვლელი ღიობია დატანებული.



გეგმა

საერთო ხედი

ნაგებობის თაღ-კამარა და გადახურვა მთლიანად ჩამოქცეულია, კედლები დაშლილი და დეფორმირებულია.

სოფ. ჩიტიანი

ეკლესია ყველაწმინდა

VIII-IX საუკუნეები



გეგმა

სოფ. ჩიტიანის მიდამოებში დგას დარბაზული ეკლესია, რომელსაც ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს სამლოცველო გარშემოსავლელით და კარიბჭით. ყველა ნაგებობისთვის სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი წარმოშობის, დამუშავებული ქვა. წყობაში დაცულია სწორხაზოვნება.

სწორკუთხა გეგმის, მთავარი ეკლესია აღმოსავლეთით დასრულებულია ასევე სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია შეისრულთაღიანი სარკმელი. სარკმლის ძირში დგას ორი მასიური ტრაპეზის ქვა, რომელთა წინა ნიბოზე მოწყობილია ნიშები. სწორკუთხა საკურთხევლიდან სფერულ კონქზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპების საშუალებით.

დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი

ცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი სამხრეთით პილასტრს ეყრდნობა, ხოლო ჩრდილოეთით კრონშტეინს. დარბაზის მთელ პერიმეტრს ხარისხი შემოუყვება. ინტერიერში, შებათქაშებულ კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები და ფრესკული, ასომთავრული წარნერები.

ეკლესია ნათდება სამხრეთით სწორკუთხა და დასავლეთით თაღოვანი სარკმლებით. ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი არქიტრავული კარი გარშემოსავლელს უკავშირდება. გარშემოსავლელიდან ვხვდებით მცირე ზომის, გეგმით უაბსიდო, სწორკუთხა სამლოცველოში. საკურთხევლის კუთხეებში შემორჩენილია ტრომპები. ცენტრში გაჭრილია არქიტ-

ინტერიერი. მოხატულობის ფრაგმენტები

რავული სარკმელი. სარკმლის ძირში დგას ტრაპეზის ქვა. სარკმელი გაჭრილია დასავლეთ კედელშიც. იატაკი ამოვსებულია მინითა და ქვით.

გარშემოსავლელის დასავლეთ კედელში სამი სწორკუთხა სარკმელია, ასეთივე სარკმელია აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით. კარის ღიობი ჩრდილოეთ კედელშია.

ამ არქიტრავული შესასვლელით ვუკავშირდებით კარიბჭეს, რომლის აღმოსავლეთი კედელი მთლიანად დანგრეულია.

ძეგლი სერიოზულად არის დაზიანებული.

სოფ. ჩქუნეთი

წმინდა გიორგის ნიში

XIX საუკუნე



საერთო ხედი

ძველი ეკლესიის ადგილას ადგილობრივ მოსახლეობას აუგია ნიში. ეკლესიის გეგმა არ იკითხება. ჩანს საძირკვლის ფრაგმენტები. ადგილობრივი ნარმოშობის სამშენებლო ქვა ფლეთილია. იქვე ხეზე კიდია ეკლესიის ზარი მხედრული წარწერით: "ზარი შევწირეთ ცქვნეთის (ცქუნეთის) წმინდა გიორგის დიმო და ბიძი მელაძეებმა ჩ.შ." ეს ზარი თანაფარდობაში მოდის იქვე მდებარე ბოლნური ჯვრის წარწერასთან: "ჯვარი შევწირე წმინდა გიორგის დიმო მელაძე ჩ.ყ.მ. გ." ჯვრის ცენტრში გამოსახულია წმ. გიორგი.

სოფ. ჩქუნეთი, მიდამოები

ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ნასოფლარ ჭურთაში დგას დარბაზული ეკლესია სამხრეთის და ჩრდილოეთის მინაშენებით. სამშენებლო მასალად გამოყენებულია კარგად თლილი ქვა. მთავარი ნაგებობა გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა. აღმოსავლეთით დასრულებული ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი. ჩრდილოეთითა და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. ჩრდილოეთ ნიშასთან და აბსიდის ცენტრში ტრაპეზის ქვები დგას. სფერული კონქი ამოყვანილია აგურის რადიალური რიგებით. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.



გეგმა



საერთო ხედი

გრძივი კედლები ორსაფეხურიანი პილასტრების საშუალებით ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. კამარა ჩამოქცეულია კამარის საბრჯენი თაღების შემორჩენილი ქვედა ნაწილი პილასტრებს და კრონშტეინებს ეყრდნობა.

ეკლესია ნათდებოდა აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის თაღოვანი, საფეხურებიანი სარკმლებით. ეკლესიის კედლებზე და აღმოსავლეთ სარკმლის წირთხლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

სამხრეთით არქიტრავული შესასვლელია. შესასვლელის თავზე ლუ-

ნეტია. ინტერიერში მინის დონე საგრძნობლადაა აწეული. ამოსულია დიდი ზომის ხე.

ეკლესიას გვიანდელი მინაშენები აქვს. სამხრეთის მინაშენს აღმოსავლეთით სარკმელი, ხოლო სამხრეთით არქიტრავული შესასვლელი აქვს. სამხრეთ კედელში ერთი სწორკუთხა ნიშაა.

ჩრდილოეთ მინაშენში შესასვლელი დასავლეთიდანაა. მინაშენების კედლები შემორჩენილია 2 მეტრის სიმაღლეზე.

ეკლესიის და მინაშენების საბურავად გამოყენებული იყო ფიქალი.

ეკლესიიდან სამხრეთით 3-4 მეტრში იდგა სამრეკლო. მისგან შემორჩენილია მხოლოდ მასიური, ოთხკუთხა სვეტები.

ძეგლის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

სოფ. ჩქუნეთი, მიდამოები

ეკლესიის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

ნასოფლარ ჭურთაში შემორჩენილი ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. კედლების სიმაღლე 1-1,5 მეტრს აღწევს, ზოგან უფრო ნაკლებია.

დარბაზული, სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთ კედლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. ჩრდილოეთ კედელში ერთი სწორკუთხა ნიშაა. სამხრეთი შესასვლელის ღიობის ფორმა დაზიანების გამო არ იკითხება. ინტერიერი სავსეა ჩამონაშალი ქვით. მიწის დონე აწეულია.

ეკლესიის ფასადებზე შემორჩენილია ნალესობის კვალი. ტერიტორიაზე ყრია შირიმის ქვა.

საერთო ხედი



გეგმა

სოფ. ჩქუნეთი, მიდამოები

ნიში ნაეკლესიარზე

შუა საუკუნეები

ნასოფლარ ჭურთაში, ძველი ეკლესიის ადგილას მოსახლეობას აუგია ნიში. ქვა ფლეთილია. ირგვლივ ყრია ადრეული ეკლესიის ქვები.

სოფ. ჩქუნეთი, მიდამოები

ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

ნასოფლარ ზემო კარაში მდებარე დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

საერთო ხედი

გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით აქვს ასეთივე სწორკუთხა საკურთხეველი, რომლის ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი.

ეკლესიის კედლები შემორჩენილია 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე. ჩრდილოეთ კედელში სწორკუთხა ნიშაა, სამხრეთით კი შესასვლელის კვალია.

დარბაზი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით და მიწით. ეკლესიის გარშემო გალავანია.

სოფ. ჩქუნეთი

სამონასტრო კომპლექსი - ციხისკარი

გარდამავალი ხანა

ვახუშტის მიხედვით: "არს ჭურთისხევი, რომლისა წყალი გასდის ამავ მთასა, და სად ერთვის ამ წყალს ცხრაწყაროს. წყალი მუნ, ამ ორთა წყალთ შუა, არს ციხე ფრიად მაგარი" დიდი მებრძოლი შანშე ქსნის ერისთავი 1719/20 წლებში ორჯერ განუდგა მეფე ვახტანგ VI-ს. ორივეჯერ იგი გამაგრებული იყო ჭურთის ხეობის, წინკიბის ციხეში"



გეგმა

მდ. ჭურთულას მარჯვენა მხარეს, ნასოფლარ ჭურთიდან სამხრეთით 1 კმ-ზე, მთის ფერდობზე, დაბურულ ტყეში მდებარე ციხისკარის არქიტექტურული კომპლექსი გარშემორტყმული იყო ძლიერი გალავნით, რომლის სიმაღლე 2,5 მეტრს აღწევს. გალავნის შიგნით შემორჩენილი ნაგებობიდან გამოირჩევა ზურგიანი კოშკი და ეკლესია.

მაღალი, შვიდსართულიანი კოშკი ნაგებია დიდი ლოდებით, დაზიანების შემდეგ მისი სიმაღლე 20 მეტრამდე შემორჩა. შესასვლელი ღიობი აღმოსავლეთ კედელშია დატანებული, რომელსაც ხის კარი ჰქონდა შებმული. აქ კედლის სისქე 140 სმ-დეა. კარის თავზე, ვერტიკალური ღერძის მიმართულებით ყოველ სართულზე თითო განიერი სარკმელია გაჭრილი. კოშკის გადახურვა ბანური ყოფილა. ხის კოჭებზე მოწყობილი სართულშუა გადახურვები ჩამოქცეულია. ინტერიერი სადაა. ბუხარი არა აქვს. პირველი სართული ამოვსებულია ნაშალი ქვით. ინტერიერში და ექსტერიერში ჩანს ნალესობის კვალი;



კოშკი. საერთო ხედი

კოშკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 4,5 მეტრზე მცირე დარბაზული ეკლესიაა, რომელიც ადგილობრივი ჯიშის ფლეთილი ქვითაა ნაშენი. ალაგ-ალაგ გამოყენებულია შირიმის კვადრები, ზოგჯერ პროფილირებულიც. შირიმისაა აგრეთვე საკურთხევლის ორი სიმეტრიული ნიშის სათაურის ქვა. საკურთხეველი ასიმეტრიული ნახევარწრიული ფორმისაა. შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი.

მოგვიანებით, დარბაზული ეკლესია სამხრეთის და დასავლეთის მინაშენებით გაართულეს.

კომპლექსის სხვა ნაგებობების აღწერა ძნელდება ძლიერი დაზიანების გამო.

სოფ. ჩქუნეთი, მიდამოები "მეწყერი" მდ. ჭურთის ხეობა

ნაეკლესიარი კვირაცხოველი

შუა საუკუნეები

ეკლესიიდან შემორჩენილია ქვების გროვა და ერთადერთი კედლის მცირე ფრაგმენტი, რომელიც სიმაღლით 2 მეტრს აღწევს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფიქალი. გათხრა-გაწმენდის გარეშე გეგმა არ იკითხება. აქა-იქ შეინიშნება გალავნის ფრაგმენტები.

საერთო ხედი

სოფ. ჩქუნეთი, მიდამოები "მეწყერი" მდ. ჭურთის ხეობა,

ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ნასოფლარ "ქვემო ჯორთისში", მდგარი ეკლესიიდან შემორჩენილია ქვების გროვა და ერთერთი კედლის მცირე ფრაგმენტი. სამშენებლო ქვა ადგილობრივი წარმოშობისაა. გეგმა არ იკითხება. ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა-ღორღი.

საერთო ხედი

სოფ. ჩქუნეთი, ნასოფლარ "ზემო ჯორთისი", მიდამოები "მეწყერი" მდ. ჭურთის ხეობა

ეკლესიის ნანგრევი "საღმრთო"

გვიანი შუა საუკუნეები

ნასოფლარ "ზემო ჯორთისში" შემორჩენილი ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის, მოთეთრო-მონაცრისფრო ფლეთილი ქვითაა ნაგები.

დარბაზული ეკლესიიდან შემორჩენილი კედლების სიმაღლე 2-2,5 მეტრს

აღწევს, ზოგან უფრო ნაკლებს.

ეკლესიას სწორკუთხა საკურთხეველი აქვს. იმის გამო, რომ ეკლესიის ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით, მისი გაზომვა და დეტალური აღწერა არ ხერხდება. ნანგრევზე აღმართულ, ორ, ნახევრად ჩაქცეულ ხის ძელზე ჰკიდია ზარი.

საერთო ხედი

ეკლესიის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

სოფ. ჩქუნეთი, მიდამოები "მეწყერი"

წმ. გიორგის ეკლესია

გარდამავალი შუა საუკუნეები

სოფლიდან სამხრეთით 2 კმ-ზე, მდ. ჭურთის ხეობაში მდებარე წმინდა გიორგის ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის დიდი ზომის ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია.



გეგეგმა

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით აქვს კოლოფა აბსიდი, ცენტრში გაჭრილი თაღოვანი სარკმლით. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. საკურთხეველში, ჩრდილოეთით და ცენტრში ტრაპეზის ქვები დგას. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი პილასტრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ შემორჩენილია სოლეა.

ეკლესიის ცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი ეყრდნობა პილასტრებს, რომელთაგან ჩრდილოეთისა სამსაფეხურიანია, ხოლო სამხრეთისა ორსაფეხურიანი. დასავლეთი საბრჯენი თაღი კი კრონშტეინებს ეყრდნობა. ჩრდილოეთ კედელში, პილასტრის მიჯრით მცირე ზომის არ-

ქიტრავული ნიშაა.

ეკლესია ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის სწორკუთხა სარკმლებით. სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია.

სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი

ეკლესიას სადა ფასადები აქვს. კარნიზი მარტივპროფილიანია.

ნაგებობიდან სამხრეთაღმოსავლეთით დგას სამსართულიანი სამრეკლო. მისი პირველი სართული ყრუა და ამოვსებულია მინით. მეორე სართული ოთხივე მხრიდან გახსნილია თაღებით, რომლებიც მასიურ, ოთხკუთხა სვეტებს ეყრდნობა. სვეტებში მოწყობილია მცირე ნიშები. მესამე სართული ჩამონგრეულია. სამრეკლოს სამშენებლო მასალა ფლეთილი ქვაა, რომელიც შემდეგ შეულესიათ.

ეკლესიის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

აყრილია ეკლესიის საბურავი, ამოსულია ხეები. კარი და სარკმლები დაზიანებულია, კედლები დაბზარული.

სოფ. ციხისოფელი

კვირაცხოვლის ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები

ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით იყო ნაგები. გეგმა არ იკითხება, რადგან ინტერიერი მთლიანად ჩახერგილია ჩამონაშალი ქვით.

სოფ. ციხისოფელი

ზურგიანი კოშკი

გარდამავალი ხანა



გეგმა

მთაზე აღმართული ზურგიანი კოშკი უხეშად დამუშავებული, სხვადასხვა ზომის ადგილობრივი ჯიშის ქვითაა ნაგები. შვიდსართულიანი კოშკის ბოლო სართულის დიდი ნაწილი ჩამონგ-

რეულია. არქიტრავული შესასვლელი სწორ კედელში, მეორე სართულზეა გაჭრილი. სარკმლები ყველა სართულზე დატანებული და განლაგებულია ერთ ვერტიკალურ ღერძზე. კოშკის სამი დანარჩენი კედელი ყრუა. იგი სათვალთვალო დანიშნულებისაა და მოკლებულია საბრძოლო ელემენტებს.



საერთო ხედი

სოფ. ციხისოფელი

მთავარანგელოზის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

მდ. ალეურას მარცხენა ნაპირას, მთაზე მდებარე ეკლესია ადგილობრივი წარმოშობის მოთეთრო-მოყვითალო ქვითაა ნაგები. წყობა სწორხაზოვანია.



გეგმა

დარბაზული, სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესია, გეგმით ასევე სწორკუთხა მოხაზულობისაა, საკურთხევლის ცენტრში გაჭრილი ვიწრო, სწორკუთხა სარკმლითა და ჩრდილოეთით ერთი ნიშით.

საერთო ხედი

სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია.

ნაგებობა დაზიანებულია. კამარა და კონქი ჩამოქცეულია.

ეკლესიის გარშემო გალავანია, რომელიც ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვით. ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით.

სოფ. ციხისოფელი

სამონასტრო კომპლექსი

გარდამავალი ხანა



გეგმა

მდ. ალეურას ხეობაში, მთაზე მდებარე კომპლექსი მოიცავს დიდ ტერიტორიას და შედგება კოშკის, ეკლესიის, სატრაპეზოსა და სხვა ნაგებობებისგან.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი წარმოშობის, უხეშად თლილი, თეთრი ფერის ქვა.

გალავნის შიგნით, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ზურგიანი კოშკის ნანგრევია შემორჩენილი. კოშკის მხოლოდ სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლები დგას. იკითხება სამი სართულის დონე. ზურგი კოშკს დასავლეთიდან ჰქონდა. კოშკიდან სამხრეთ-დასავლეთით გეგმით წაგრძელებული ნაგებობის ნაშთია (სატრაპეზო), რომლის კედლები 1 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთით, კიდევ ერთი, გაურკვეველი დანიშნულების, გეგმით სწორკუთხა სათავსი დგას,



საერთო ხედი

მცირე ზომის ეკლესია, გალავნის გარეთ, სამხრეთ აღმოსავლეთით დგას და გეგმით კვადრატს უახლოვდება, სწორკუთხა საკურთხევლის ცენტრში ვიწრო სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ძირში მასიური ქვა თაროსებრადაა გამოწეული. კონქზე გადასვლა ტრომპების საშუალებით

ხდებოდა. ამჟამად კამარა და კონქი ჩამოქცეულია. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედელშია მოწყობილი.

ეკლესიის კედლები შემორჩენილია 1,5-2 მეტრის სიმაღლეზე.

დაზიანების გამო კომპლექსის დანარჩენ ნაგებობათა დანიშნულება გაურკვეველია.

სოფ. ციხისოფელი

ციხის ნანგრევი

შუა საუკუნეები



ინტერიერი, კედლის ფრაგმენტი

მდ. ალეურას ხეობაში, ბორცვზე მდებარე ციხიდან შემორჩენილია ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების მცირე ნაწილი. გეგმარების ღერძი ვითარდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. უკიდურეს დასავლეთ ნაწილში დგას ზურგიანი კოშკის ნანგრევი, რომელიც შემორჩენილია სამი სართულის დონეზე. ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები მთლიანად ჩამონგრეულია. კოშკს სათოფურები არ გააჩნია. ციხის აღმოსავლეთ კედელში ჩართულია დიდი ზომის მრგვალი კოშკი, რომელიც შემორჩენილია ორი სართულის დონეზე. აღმოსავლეთი კედელი ჩამოქცეულია.

კოშკის პირველი სართულის სამხრეთ კედელში მოწყობილია სწორკუთხა ნიშა, ასეთივე წყვილი ნიშაა მეორე სართულის დასავლეთ კედელშიც.

ციხე და კოშკები ადგილობრივი წარმოშობის დიდი ზომის, ნაცრისფერი ქვითაა ნაგები. ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით. გალავანს შიგნით იკითხება რამოდენიმე ნაგებობის კვალი. ერთ-ერთი ნაგებობის ინტერიერში კედლები დაყოფილია ნიშების რიგით. შესაძლოა ეს სასახლის ფრაგმენტებია.

სოფ. ცოტაგური

წმინდა გიორგის ნიში

XIX საუკუნე

საერთო ხედი

წმინდა გიორგის ნიში 1,5 მ. სიმაღლისაა. ნაგებია ფლეთილი ქვის მშრალი წყობით. ადგილობრივმა მოსახლეობამ იგი ნაეკლესიარის ადგილას ააგო.

სოფ. ცხავატი

წმინდა გიორგის ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა

ძეგლი დგას სოფლის აღმოსავლეთით, ადგილ "ხატის ქედთან", მრავალწლიანი ცაცხვის ძირში, სასაფლაოს ცენტრში.

მცირე ზომის სწორკუთხასაკურთხევლიანი დარბაზული ეკლესია სხვადასხვა ზომის და ფორმის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

ეკლესიას შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს. სარკმელი მხოლოდ აღმოსავლეთ კედელში შეიმჩნევა, თუმცა ამჟამად ისიც ამოვსებულია გარედან მოწოლილი გრუნტით. დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩადგმულია ქვევრი. საფიქრებელია, რომ ძეგლის გადახურვა ხის კონსტრუქციებს ეყრდნობოდა, რადგან ამჟამად შემორჩენილია რამოდენიმე ხის მორი.



საერთო ხედი

ძეგლის ფასადები სადაა. ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე მთლიანად შეჭრილია ფერდობში.

სოფ. ცხავატი, მიდამოები

"ლომთის" ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები

მცირე ზომის სწორკუთხასაკურთხევლიანი დარბაზული ეკლესია საშუალო ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. კარი გაჭრილია სამხრეთით. გადახურვა და კედლების ნაწილი მთლიანად ჩაქცეულია. მინის დონე აწეულია დაახლოებით ერთ მეტრზე. ეკლესიაში ამოსულია ორი დიდი მუხა. დანგრეულია ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები.

ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



გეგმა

სოფ. ცხავატი, მიდამოები

წმინდა გიორგის ეკლესია

გარდამავალი ხანა

ძეგლი მდებარეობს ადგილ "ბუჯაურთაში" და საშუალო ზომის დარბაზული, სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესიაა სამხრეთი მინაშენით. სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ფლეთილი ქვა. დარბაზის მთელ პერიმეტრს შემოუყვება ხარისხი. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში თითო არქიტრავული, საფეხუროვანი სარკმელია. საკურთხეველი ორი საფეხურით მაღალია დარ-



გეგმა

ბაზთან შედარებით. კედელთან, სარკმლის ქვემოთ, ტრაპეზის ქვაა მიდგმული. კამარის ქუსლებთან კოჭის ბუდეებია ამოღებული. ინტერიერის კედლები შელესილია. მოხატულობის კვალი არ ჩანს. სამხრეთით გაჭრილია არქიტრავული კარი. მინაშენის მხოლოდ ნაწილი გადარჩა, მთავარი დარბაზი კი კარგადაა შემონახული. ფასადები სადაა. წყობაში ჩატანებულია გრძელი ფლეთილი ქვები. სამხრეთ ფასადს თითქმის მთლიანად გაუყვება თარო-ლავგარდანი, ჩრდილოეთი კედელი გარედან მინის პირზე, ხოლო აღმოსავლეთი კედლის ნაწილი მიწაშია. ეკლესიის გარშემო გალავნის ნანგრევებია. არის ძველი საფლავის ქვებიც.



საერთო ხედი

სოფ. ცხავატი

წმინდა ბარბარეს კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები

ცხავატის ხევი მდინარის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით უფრო იყო დასახლებული, ვიდრე მარცხენა. ძველი გზაც ამ მხარეს შეიმჩნევა. სწორედ ამ გზის პირას, სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ-ზე, მდ. ცხავატურას გაღმა დგას წმ. ბარბარეს ზურგიანი კოშკი.



გეგმა

კოშკი საშუალო ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები

და მთლიანად ბუნებრივ ქანზე დგას. ძეგლი ზურგიანი კოშკის ტიპის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. კერძოდ, კოშკი გარედან ზურგიანია, შიგნიდან კი სწორკუთხა გეგმისაა. შეიმჩნევა ხუთი სართულის კვალი, რომელთაგან ყველაზე დასრულებული მეორე სართულია. სამხრეთით - მდინარის მხარეს კარის ღიობი და ორი სარკმელ-სათოფურია. ჩრდილოეთით მესამე სართულის ერთ-ერთ კედლის მთელ სიმაღლეზე მოწყობილია კონქისებურად დასრულებული ნიშა. მეოთხე სართულზე ინტერიერში უკვე გარკვეული სიმრუდე შეიმჩნევა.



საერთო ხედი

ძეგლმა ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. მთლიანად ჩაქცეულია კოშკის სართულშუა გადახურვა და აღმოსავლეთ კედელი. დანარჩენი კედლებიც დაზიანებულია. ბევრ ადგილზე წყობაც გახსნილია.

კოშკს დასავლეთიდან მინაშენი ჰქონია, რომელიც ამჟამად მთლიანად დანგრეულია.

სოფ. ცხავატი

ცხავატის სამონასტრო კომპლექსი ღვთისმშობლის ეკლესია VIII-IX სს

მცირე ეკლესია - VIII-IX სს

ცხავატის მონასტერთან დაკავშირებულია ლეგენდა, რომელიც მოგვითხრობს: "მონასტერთან ჩამოდიოდა ირმების ჯოგი, მათ წველიდნენ და რძეს ქალებს ასმევდნენ; ამის შემდეგ რძედამშრალ დედებს რძე უჩნდებოდათ.

ერთ-ერთ დღეობაზე ჩამოვიდა ერთი ირემი, რომელიც ჯოგის ჩამოსვლამდე დაკლეს. ამის შემდეგ ირმები მონასტერთან საერთოდ აღარ ჩამოსულან"



სქემატური გენგეგმა

ინტერიერი,
საკურთხევლის ფრაგმენტი

ცხავატის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს სოფლიდან სამხრეთ დასავლეთით 1-1,5 კმ-ზე.

კომპლექსი დგას ბორცვზე, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთი ფერდები მიუდგომელი აქვს. ამიტომ მონასტრისაკენ მიმავალი ბილიკი ზემოთ აღნიშნული მხარეების გავლით აღმოსავლეთით უხვევს და მძლავრ გალავანს მიადგება. სავარაუდოა, რომ მონასტრის თავდაპირველი კარიც აქ უნდა ყოფილიყო, რაზეც გალავნის სწორედ ამ ადგილზე გამაგრებული ქვის წყობის ორი შრე მიუთითებს.

ინტერიერი. დასავლეთი კედლის ფრაგმენტი

მონასტრის გეგმის ძირითადი ნაწილი მოქცეულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ გალავნის კონტურში, რომლის დასავლეთი მხარე სწორკუთხაა, ხოლო აღმოსავლეთი მომრგვალებული.

ისევე, როგორც მონასტრის ყველა ნაგებობა, გალავანიც ნაშენია ადგილობრივი ჯიშის ფლეთილი ქვით.

გალავნის ჩრდილო-



გეგმა

დასავლეთ ნაწილში დგას ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვითაა ნაგები. ქვა შეძლებისდაგვარად დამუშავებულია სწორკუთხედებად და ამდენად წყობაც სისტემურია.

ნაგებობის გეგმა დასავლეთიდან-აღმოსავლეთისაკენ ოდნავ წაგრძელებულ სწორკუთხედშია ჩახაზული. შუა ნავი, რომელიც მთავარია ბაზილიკაში, სწორკუთხა-საკურთხევლიანია, თუმცა საკურთხევლის კუთხეებში შემორჩენილი ტრომპები მიუთითებს ამჟამად ჩამონგრეული კონქის თავდაპირველ არსებობზე. საკურთხევლის მოხაზულობისა და გადარჩენილი კედლების მიხედვით კონქი კოლოფისებრი ფორმის უნდა ყოფილიყო. ტრომპები განლაგებულია 1-2-1 პრინციპით. ერთი დამხმარე ტრომპია აღმოსავლეთი სარკმლის თავზეც.



ინტერიერი, ფრესკული წარწერა

ორი წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრი, რომელთაც საბრჯენი თაღები ეჭირათ გარკვეულ განაწილებას ახდენს შუა ნავის სივრცეში. აღმოსავლეთის წყვილი საკურთხეველს გამოყოფს დარბაზისაგან, ხოლო დასავლეთისა ორ ნაწილად ყოფს დარბაზს.

წყვილი პილასტრია აგრეთვე დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში. დარბაზის პილასტრებს მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ფუნქცია ეკისრება და მათ ეჭირა კამარის სამი საბრჯენი თაღი, აგრეთვე ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე წარმოდგენილი ორ-ორი შეწყვილებული თაღედი, რომელიც თავის მხრივ შუა ადგილზე იმპოსტებს ეყრდნობა.

სივრცის განათება ძირითადად დასავლეთი კედლიდან ხდებოდა, სადაც სამი სარკმელია გაჭრილი, ერთიც საკურთხეველშია. ნაგებობის მაღალი პროპორციების შესაბამისად, სარკმლებიც მაღალზეა გაჭრილი. საკურთხეველში ორი ოთხკუთხა ნიშაა; ასეთივე ნიშაა დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში.

ეკლესიის ცენტრალურ დარბაზში საინტერესო ფრესკებია. არის ფრესკული წარწერებიც. საფიქრებელია, რომ კედლის მხატვრობა XIII ს. უნდა განეკუთვნებოდეს.

ექსტერიერი ძირითადად სადაა; მხოლოდ დასავლეთ კედელზე სამივე სარკმლის თავსართად ქვაში ნაკვეთი ჯვრებია ჩასმული. გარედან გალესილი ყოფილა. ლავგარდანი შირიმის სქელი ფილებისაა.

ორ ეკლესიას შორის გალავნის ჩრდილოეთ კედელთან აღმართული ყოფილა ორსართულიანი სამრეკლო, რომლის გარკვეული ნაწილი დღემდეა შემორჩენილი.

მთავარი ეკლესიის სამხრეთით გალავნის კედელთან შეიმჩნევა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული ნაგებობის კვალი, სავარაუდოა, რომ ეს ნაგებობა სატრაპეზოს წარმოადგენდა.

გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გაჭრილია გასასვლელი, რომელსაც საბერეების კამარაჩამოქცეულ ნანგრევებთან გავყავართ. საბერეები გალავნის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილოეთით თითქმის მთელ სიგრძეზე ორ-სამ რიგად იყო განლაგებული.

ძეგლი მნიშვნელოვანია, როგორც არქიტექტურული თვალსაზრისით, ასევე კედლის მხატვრობის საინტერესო ნიმუშებით.

მონასტრის გალავნის შიდა და გარე ნაგებობების უმრავლესობა არასახარბიელო მდგომარეობაშია, საჭიროებს გაწმენდასა და გამაგრებას. ტერიტორიის ძირითადი ნაწილი დაფარულია ხშირი მცენარეებით.



გეგმა

მონასტრის მცირე ეკლესია მდებარეობს ღვთისმშობლის ეკლესიის აღმოსავლეთით, თხუთმეტიოდე მეტრის მანძილზე. სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 1-1,5 კმ-ზე მდებარე მცირე ზომის დარბაზული ეკლესია ფლეთილი ქვითაა ნაგები. წყობა ქვედა რიგებში თარაზულია, ზემოთკენ ირევა. დარბაზი ბრტყელაბსიდი-

ანია. ჩრდილოეთ კედელში გაჭრილია კარი, რომელიც მინაშენში გადის. შესასვლელი მინაშენსაც ჩრდილოეთიდან აქვს. დარბაზის კამარას ერთი საბჯენი თაღი იჭერს. დასავლეთით და აღმოსავლეთით თითო სარკმელია. ყველა კედელში ნიშაა. საკურთხეველი ერთი საფეხურითაა აწეული. დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთ კედლებს საკურთხევლის სიმაღლეზე ხარისხი შემოუყვება. ინტერიერიცა და ექსტერიერიც სადაა, არაფრით გამორჩეული, თუ არ ჩავთვლით სარკმელთა შირიმის თავსართებს, რომლებიც რელიეფური ზოლებითაა პროფილირებული.



საერთო ხედი

ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით სამრეკლოა, რომლის თაღები ოთხ მძლავრ ბურჯს ეყრდნობოდა. ქვის წყობაში დაცულია სწორხაზოვნება. თაღები და მეორე სართული ჩამოქცეულია.

სოფ. ცხავატი

მაცხოვრის ეკლესია "ჩუმაანთ უბანი"

VIII-IX სს, გვიანდელი გადაკეთებებით

ე. თაყაიშვილს მიხედვით "მაცხოვრის" ეკლესიაში უნახავს ორი ჯვარი: I ჯვარი - წინა მხარე ოქროსია. გამოსახულია ქრისტე და არის ასომთავრული წარწერა....."ქ.ქ-ა ქ-უკანა მხარე ვერცხლისაა და არის XIV-XI სს მხედრული წარწერა:



გეგმა

"ქ. მაცხოვარი ცხავატისა ქვენიფნეველს: რიზია ერისთავს: შეუწირავს: ორი საკომლო მამული ზენუ-ბანს: მამული: მთითა:. და ბარითა. ცხავატის: ყ ლად: წმინდისათვის: ბასიანში: დავტყვევდი:. და:. შენის:. საქონლითა:. თავი დავიხ-სენ: არა მებატონემ:ო"



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

II ჯვარი მთლიანად ვერცხლისაა. გამოსახუ-ლია ღვთისმშობელი ყრმით. ქვემოთ მის ფერ-ხთით ჯვარცმა. გვერდებ-ზე ანგელოზები. უკანა მხარეს გამოსახულია წმ. გიორგი ხუცური ნარწერით.

ნარწერა დათარიღებულია არა უძველს XVII საუკუნისაა.

"ჩუმაანთუბანში" მდებარე საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია ფლე-თილი ქვითა და ქართული აგურითაა ნაგები. შიგნიდანაც და გარედა-ნაც შეთეთრებულია. შიდა სივრცე საკმაოდ მაღალია. იატაკზე დაგებუ-ლია ქართული აგური. საკურთხეველთან ორსაფეხურიანი სოლეაა.

ძეგლზე აშკარად შეიმჩნევა XIX ს. გადაკეთებები - გაგანიერებულია სამხრეთი და ჩრდილოეთი სარკმლები; ეკლესიის დასავლეთ კეხზე დად-გმული სამრეკლო და სხვა. საკურთხეველთან მიდგმულია გაძარცვული რუსული იკონოსტასი.

სახურავი გაბზარულია გრძივ ღერძზე.

აღმოსავლეთ სარკმლის თავსართად ჩასმულია შირიმის ქვაზე ამოკ-ვეთილი ტოლმკლავა ჯვარი. კარნიზიც შირიმისაა. ფრონტონის მარცხე-ნა ნაწილში ჩადგმულია ქვის მართკუთხა ფორმის კვადრი ასომთავრუ-ლი წარწერით:

ქ. ხატო ღ(მრ)თ(აები)ს(ა)ო ა(დი)დ(ე)ნ ე/რი ცხავატიდა ინა კა/ლატ(ო)ზი ა(მე)ნ. შ(ეიწყალ)ე ნაფენაი.

სამხრეთ სარკმლის თავზე თითქმის მთელი კედლის სიგრძეზე გაუყ-ვება თარო. დასავლეთ ფასადი სადაა. კარის ზემოთ სახატე ნიშია. ჩრდი-ლოეთ ფასადზე შეიმჩნევა კამარის ქუსლი. საფიქრებელია, ეკვდერის არ-სებობა, თუმცა კვლევის გარეშე რაიმეს თქმა შეუძლებელია. ეკლესიის გარშემო ყორე გალავანია, მის გარეთ საფლავის ქვებია.

სოფ. ცხავატი, მიდამოები

კვირაცხოვლის ეკლესია

გარდამავალი ხანა

ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



გეგმა

სოფლიდან ჩრდილოეთით 3 კმ-ზე, ცხავატურას ხევში, ადგილ კაროეთში დგას მცირე დარბაზული ეკლესია. ეკლესიის გადახურვა ჩანგრეულია. საკურთხეველი სწორკუთხაა, თითო პატარა ნიშა საკურთხევლის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებშია მოთავსებული. სარკმლები გაჭრილია აღმოსავლეთით და დასავლეთით. კარი სამხრეთ კედელშია დატანებული.

ეკლესიის ტერიტორია გარშემოვლებულია გალავნით. წრიული გალავნის სიმაღლე ზოგან ერთ მეტრს აღწევს, დიდი ნაწილი კი დანგრეულია.

სოფ. ცხავატი

ეკლესია

გარდამავალი შუა საუკუნეები



გეგმა

სოფლიდან ჩრდილოეთით ხუთიოდე კმ-ზე, ადგილ ვაკიჯვარში მდებარე მცირე დარბაზული, სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესია, დასავლეთიდან მინაშენებითაა გართულებული. ძეგლი ფლეთილი ქვითაა ნაგები. დარბაზის გადახურვა ჩაქცეულია. საკურთხევლის სამივე კედელში თითო პატარა ნიშაა. დასავლეთ

კედელში გაჭრილია კარი, რომელიც მინაშენს უკავშირდება. კარის ზემოთ არქიტრავული სარკმელია. ასეთივე სარკმელია საკურთხეველში. მინაშენი უფრო დაბალია. მინაშენის გადახურვა კამაროვანია. კედლებში პატარა თაროებია გამოღებული. დაახლოებით ერთ მეტრის სიმაღლის გალავანი კარგადაა შემონახული; მას ოვალური მოხაზულობა აქვს.



საერთო ხედი

სოფ. ცხავატი

ნიში

XX საუკუნე

სოფლიდან ჩრდილოეთით, ვაკიჯვრის ეკლესიიდან ხუთიოდე კმ-ში, რამოდენიმე ფლეთილი ქვა უწესრიგოდ გდია ბერმუხის ჩრდილში. სავარაუდოა, რომ ძველი ეკლესიის ადგილას ადგილობრივმა მოსახლეობამ ააგო ნიში.

საერთო ხედი

სოფ. ცხავატი

ზურგიანი კოშკი "შხამურის ციხე"

გარდამავალი ხანა

სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 6 კმ-ზე, მდ. ცხავატურას ხეობაში მდებარე ზურგიანი კოშკი დიდი ზომის ადგილობრივი წარმოშობის ქვითაა ნაგები. წყობა თარაზულია. კედლების სისქე ზოგან 1,80 მ, ზოგან 1,50 მ.

კოშკი შემორჩენილია ხუთი სართულის დონეზე. შესასვლელი მეორე სართულის ჩრდილოეთ კედელშია. ჩანს ხის ძელების ბუდეები. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში შემორჩენილია ხვრელი, რომელიც შესაძლოა გვირაბში ჩასასვლელი იყო.



ინტერიერი. სამხრეთი კედლის ფრაგმენტი



გეგმა

ტერიტორია შემოზღუდული იყო გალავნით, რომლის ფრაგმენტები მდინარისაკენ მიემართება.

კოშკის სამხრეთი კედელი გრძივ ღერძზე მთლიანად გაპობილია. სართულშუა გადახურვა ჩამოქცეულია.

სოფ. ძეგლევი

ეკლესია "წმ. გიორგი"

გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითაა ნაგები. ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია ქართული აგური. ფასადები მოგვიანებით შეულესიათ.

სწორკუთხა, დარბაზული ეკლესია აღმოსავლეთით დასრულებულია შებრტყელებული, ნახევარწრიული ფორმის აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო შეისრულთაღიანი ნიშაა.

კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ შემორჩენილია ხის კანკელი მოხატული წმინდანების გამოსახულებებით.

ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში ერთი შეისრულთაღიანი ნიშაა მოწყობილი. კამარის დასავლეთი საბჯენი თაღი კუთხის პილასტრებს ეყრდნობა.

ეკლესიას დასავლეთით მინაშენი ჰქონია, რომლისგანაც შემორჩენილია ჩრდილოეთი კედელი და დასავლეთი კედლის მცირე ნაწილი.

ნაგებობა დაზიანებულია, ჩამოქცეულია კამარა და კედლების ზედა ნაწილები.



გეგმა

კანკელის ფრაგმენტი

სოფ. ძეგლევი, მიდამოები ტყეში

ეკლესია "წმ. ბარბარე"

განვითარებული შუა საუკუნეები

ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი და რიყის ქვით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ასიმეტრიული ფორმის ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. სამხრეთით ნიშაა მოწყობილი. კონქი სფერულია სატრიუმფო თაღი აბსიდის



გეგმა

მხრებს ეყრდნობა. თაღზე ასომთავრული წარწერაა. ასოები რელიეფურად და, რატომღაც, უკუღმაა გამოსახული.

სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი

აბსიდის იატაკის დონე დარბაზის იატაკთან შედარებით ორი საფეხურით მაღალია.

ეკლესიის კამარა ცილინდრულია. სამხრეთ კედელში ერთი სარკმელია. ამავე კედელში შესასვლელი იყო, რომლის ფორმის დადგენა დაზიანების გამო შეუძლებელია.

ეკლესიის სამხრეთით შემორჩენილია მინაშენის კედლის მცირე ფრაგმენტი.

ნაგებობა დეფორმიერებულია და გადაწეულია ვერტიკალური ღერძიდან.

სოფ. ძუკათკარი

ეკლესიის ნანგრევი

ადრე შუა საუკუნეები

ეკლესია მთლიანად ჩამოქცეულია, მაგრამ შესაძლებელია თვალი გადევნო და ვიზუალურად აღადგინო სამეკლესიანი ბაზილიკის გეგმა. სამშენებლო მასალად გამოყენებული იყო რიყის ქვა და შირიმი. ცენტრალური ნავის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩანს ნალისებრი ფორმის აბსიდის ფრაგმენტი. აბსიდის შემორჩენილი სამხრეთი მხარი საკმაოდ წინ არის გამოწეული, ჩრდი-



სქემატური გეგმა

ლოეთ კედელზე შემორჩენილია შირიმის ქვის პილასტრი. აქვეა შესასვ-ელელი ღიობი, რომელიც ჩრდილოეთ ნავს უკავშირდება.

სამხრეთ ნავის მხოლოდ საძირკვლის ფრაგმენტები იკითხება.

სოფ. წინაგარი

ეკლესია "წმ. გიორგი"

შუა საუკუნეები

საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია რიყის, ფლეთილი და შირიმის ქვითაა ნაგები. აბსიდი ნახევარწრიულია. ძეგლი აღდგენილია ადგილობ-რივი მოსახლეობის მიერ. ინტერიერში აბსიდის სატრიუმფო თაღის გარ-და უნდა ყოფილიყო კამარის საბრჯენი თაღი, ასევე ორი თაღი. გრძივი კედლები დანაწევრებული იყო პილასტრებით. ერთ-ერთი პილასტრი შერჩენილია სამხრეთ კედელზე. სარკმლები გაჭრილია დასავლეთ, ჩრდი-ლოეთ და აღმოსავლეთ კედლებში. კარი სამხრეთიდანაა.

სოფ. წირქოლი

ეკლესია წმ. გიორგი (თეთრი)

გვიანი შუა საუკუნეები

ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები, რომე-ლიც მოგვიანებით შეულესავთ. ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებუ-ლია ქართული აგური.



გეგმა

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღ-მოსავლეთით დასრულებულია ღრმა, ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია არ-ქიტრავული სარკმელი. სარკმლის ჩრდილოეთით და სამხრეთით თი-თო სწორკუთხა ნიშაა. საკურთხეველში დგას ტრაპეზის ორი ქვა. აბსი-

დის იატაკის დონე ერთი საფეხურით მაღალია დარბაზისაზე. კონქი სფერულია. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილია მცირე ზომის მხრებით. აბსიდში შემორჩენილია ფრესკული წარწერა (ასომთავრულ-ნუსხური). შემორჩენილია ხის კანკელის მცირე ფრაგმენტები.

ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია. დარბაზი ნათდება დასავლეთ და აღმოსავლეთ კედელში დატანებული თითო თაღოვანი სარკმლით.

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი. ამავე კედელში მოთავსებულია ორი სწორკუთხა ნიშა. ეკლესიის იატაკი მოპირკეთებულია ოთხკუთხა ქვის ფილებით.

ეკლესიის დასავლეთ კეხზე მოწყობილია სამრეკლო - ღია, თაღოვანი ფანჩატური. სამრეკლოს სახურავი ოთხქანობიანია. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ქართული აგური.

დასავლეთ ფასადის ჩრდილოეთ ნაწილში ორი ტოლმკლავა ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა.

ეკლესიის კარნიზი მარტივპროფილიანია. სახურავად გამოყენებულია კრამიტი.

ძეგლის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

სოფ. წირქოლი

ეკლესია "წმ. მარიამის"

XIX საუკუნე

სოფლის შემაღლებულ ადგილას მდებარე ეკლესია ფლეთილი ქვითა და აგურითაა ნაგები, რომელიც მოგვიანებით შეულესავთ.

ეკლესიის დასავლეთ კეხის კიდეში დასმულია სამრეკლო, ღია ფანჩატურით. ჩრდილოეთი ფასადი შელესილია, შესასვლელები დასავლე-

თიდან და სამხრეთიდანაა. აქედან დასავლეთისა ამოშენებულია. დასავლეთ ფასადი აქცენტირებულია აგურის წყობაში ჩაძირული დიდი ზომის გოლგოთის ჯვარით.

ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადები ერთმანეთის მსგავსადაა დამუშავებული, კედლები დანაწევრებულია პილასტრების საშუალებით.



გეგმა



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

გეგმით სწორკუთხა მოხაზულობის ეკლესია აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული, ღრმა აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სარკმელი. მის ორსავე მხარეს ნიშებია. გრძივი კედლები დანაწევრებულია ორი წყვილი პილასტრით, რომლებზეც გადასულია კამარის საბჯენი თაღები. სატრიუმფო თაღი აბსიდის ვიწრო მხრებს ეყრდნობა.

შიდა სივრცე განათებულია ჩრდილოეთით ორი, ხოლო აღმოსავლეთით და დასავლეთით თითო სარკმლით.

სოფ. ნირქოლი, უბანი "ფიცხელაურები"

ფიცხელაურების კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები

შემაღლებულ ბორცვზე აღმართული კოშკი სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები, რომელიც მოგვიანებით შეულესიათ. ღიობებში გამოყენებულია ქართული აგური.

ორი სართულის დონეზე შემორჩენილი მრგვალი კოშკის შიდა გეგმა სწორკუთხაა.



I, II სართულის გეგმა

საერთო ხედი



ინტერიერი. კიბის უჯრედი

პირველი სართულის აღმოსავლეთ კედელში გაჭრილია თაღოვანი შესასვლელი, კარი ნაოთხალია. მის ორივე მხარეს თაღოვანი, საფეხურებიანი ნიშებია. სამხრეთ კედელში მოწყობილია მაღალი და განიერი ნიშები, რომლებსაც ოდნავ შეისრული თაღები აგვირგვინებს. ნიშებში გაჭრილია სათოფურები. დასავლეთ კედლის ცენტრში მოთავსებულია ნახევარწრიული ბუხარი, რომლის ორივე მხარეს ასევე თაღოვანი ნიშებია და მათშიც გაჭრილია სათოფურები.

სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებს აგურის წყობის თარო გასდევს. ჩრდილოეთ კედელში მოწყობილია მეორე სართულზე ასასვლელი კიბის უჯრედი.

პირველი სართულის გადახურვა კამაროვანია. კამარა გადაყვანილია აგურის გვირგვინისებრი წყობით.

მეორე სართულის მხოლოდ დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლების მცირე ნაწილია შემორჩენილი. კედლებში მოწყობილია თაღოვანი ნიშები, რომლებშიც სათოფურებია გაჭრილი.

კოშკი უფრო საცხოვრებლის ტიპისაა, თუმცა აქვს თავდაცვითი ელემენტებიც.

სოფ. წირქოლი

ეკლესიის ნანგრევი

შუა საუკუნეები



გეგმა

მდინარე ქსნის ხეობაში, წირქოლის კოშკიდან დასავლეთით 1 მეტრის დაშორებით, ჩანს ეკლესიის ნანგრევი. ნაგებობიდან შემორჩენილი მხოლოდ საკურთხევლის ჩრდილოეთი ნაწილი და სამხრეთი კედლის ფრაგმენტი. მათი სიმაღლე 1-1,5 მეტრს აღწევს.

საერთო ხედი

აბსიდის წინ ღრმა ბემაა. აქვეა მოწყობილი ერთი თაღოვანი და ერთი სწორკუთხა ნიში.

შემორჩენილ კედლებს საპირე ქვა შემოცლილი აქვს.

სოფ. წირქოლი

წირქოლის ეკლესია

IX საუკუნე



სამხრეთ-აღმოსავლეთი ფასადი

ეკლესია დგას მდ. ქსნის ხეობაში 0,5 კმ-ზე წირქოლის ციხიდან. ნაგებობა გეგმით წაგრძელებული სწორკუთხა ფორმისაა, რომლის ცენტრალური, კვადრატული სივრცე დაგვირგვინებულია სფერული გუმბათით. აღმოსავლეთიდან ეკვრის ნალისებრი აბსიდა პასტოფორიუმებით, მთელი დასავლეთი ნაწილი დაკავებული აქვს ორიარუსიან ქოროს,

რომელიც გუმბათქვეშა კვადრატს თაღოვანი გასასვლელებით უკავშირდება. ინტერიერის ყველა ნაწილი გადახურულია ორქანობიანი სახურავით.

ეკლესიის გუმბათს ყელი არა აქვს, იგი სფეროზე ტრომპების საშუალებით გადადის. ქართული ძეგლებისათვის გუმბათის ასეთი ორიგინალური გადაწყვეტა გამონაკლისს წარმოადგენს (ძეგლის ერთადერთ ანალოგიას წარმოადგენს ქსნის ხეობის მეორე ეკლესია - არმაზი, 864 წ.).



გეგმა

ეკლესიის აბსიდს ნალისებრი სატრიუმფო თაღი აქვს, რომელიც იმპოსტებს ეყრდნობა. აბსიდის ცენტრში გაჭრილია ორმაგი თაღოვანი სარკმელი. ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს თითო არქიტრავული ნიშაა. თაღოვანი სარკმლებია გაჭრილი პასტოფორიუმებშიც. ორივე ნაგებობის გადახურვა ბრტყელია.

ეკლესიის დასავლეთი ნაწილი ორგანულადაა დაკავშირებული გუმბათქვეშა სივრცესთან. ქვედა ნაწილში, დარბაზის მთელ სიგანეზე გადასული თაღები ცენტრში ეყრდნობა დაბალ, მრგვალ სვეტს. ზედა დონეზე თაღებს ებჯინება კედელი, რომელშიც მოთავსებულია შედარებით მცირე თაღები. თაღები გამოყოფს ქოროს. ქორო წარმოადგენს სუსტად განათებულ, მაღალ ნაგებობას, რომელიც კოლოფა კამარითაა გადახურული.

ქვედა იარუსის კედლებში მოწყობილია წყვილი ნიშა. ინტერიერის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე ღრმა, მაღალი კედლის თაღები გადადის.

ეკლესიის ფასადები არანაკლებ თავისებურია, ვიდრე მისი შიდა სივრცის გადაწყვეტა. აღმოსავლეთ ფასადის წყობა მთლიანად დანაწევრებულია. ფასადი დაგვირგვინებულია ფრონტონით. სარკმლების ზედა ნაწილში, მთელ სიგრძეზე მოთავსებულია გლუვი არე, შესაძლოა მოსახატად.

სამხრეთი წარმოადგენს არის ფართე სიბრტყეს, რომლის შუა ნაწილი დანაწევრებულია დეკორატიული თაღებით. შუა თაღში გაჭრილია

არქიტრავული კარი, ხოლო მის თავზე მოთავსებულია ორმაგი თაღოვანი სარკმელი, რომელსაც მოჩუქურთმებული თავსართი აქვს.

ჩრდილოეთ ფასადის მორთულობა ძირითადად იმეორებს სამხრეთ ფასადის გადაწყვეტას, იმ განსხვავებით, რომ აქ კარი და სარკმლები არ არის.

დასავლეთ ფრონტონში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. ფასადის ცენტრში არსებული კარი (ამჟამად ამოშენებულია) ქოროს უკავშირდებოდა. სამხრეთ ნაწილში თაღოვანი შესასვლელია. თაღი მოჩუქურთმებულია, ტიმპანი გლუვია.

ოთხივე ფასადს ქვედა და ზედა ნაწილში ორმაგი სარტყელი შემოუყვება.

ეკლესია შირიმისა (ფასადები, თაღები, სვეტები, კაპიტელები, ტრომპები) და რიყის ქვითაა ნაგები.

ეკლესიის საბურავად გამოყენებულია კრამიტი.

ძეგლს ჩაუტარდა რესტავრაცია 2007 წელს.

სოფ. წირქოლი, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირი, მაღალ მთაზე

წირქოლის ციხე

IX ს; გვიანი შუა საუკუნეები

ვახუშტის მიხედვით: "ქსნის დასავლით კიდესა ზედა, არს ციხე დაბასა წირქვალს".

საერთო ხედი

წირქოლის ციხე პირველად X საუკუნის 70-იან წლებში მოიხსენიებოდა, როდესაც საქართველოს გაერთიანების საქმეს წინ აღუდგა ზოგიერთი აზნაური, გასცეს უფლისციხე და მეფის დატყვევებული ოჯახი კახეთში გადაიყვანეს. დავით კურაპალატმა კახეთს მიაშურა და საქმეები უომრად მოაგვარა, კახელებმა წირქოლსა და იქვე ახლო

მდებარე გრუას გარდა, ყველა მიტაცებული ადგილი დაიბრუნეს. ქართლი-სათვის ბრძოლა ძირითადად ამ ციხის გამო ხდებოდა.

XVIII საუკუნეში წირქოლი ერთ-ერთ ძლიერ ციხედ ითვლებოდა შანშე ერისთავის დამარცხების შემდეგ ნაგებობა ეკუთვნოდა დიდ სარდალს გივი ამილახორს. როდესაც თეიმურაზ II გახდა ქართლის მეფე, მან შეძლო ქსნის ხეობის დამორჩილება, მაგრამ წირქოლის ციხე, სადაც გივის შვილი რევაზი იყო გამაგრებული, ვერ აიღო. მაშინ მან დახმარება თავის შვილს - კახეთის მეფეს, ერეკლეს სთხოვა. გაერთიანებული ძალებით მეფეებმა ციხეს ალყა შემოარტყეს. როცა საქმე "მისჭირდა", დაიწყო მოლაპარაკება. პატიებისა და სხვა დაპირებების შემდეგ, ამილახორმა დათმო. ციხე-სიმაგრეში მეფის გარნიზონი ჩადგა. 1777 წელს წირქოლის ციხემ უკანასკნელად გაუწია სამსახური საუკუნეთა მანძილზე მის მფლობელ ქსნის ერისთავებს.

ამ წელს მეფეს აუჯანყდა ქსნის ერისთავი გიორგი და გაამაგრა საერისთავოს საიმედო ციხეები, მათ შორის წირქოლის ციხეც. ამ აჯანყების შემდეგ ერეკლემ ქსნის საერისთავო გააუქმა და წირქოლის ციხეც უშუალოდ სახელმწიფოს ციხეთა სისტემაში შევიდა.

წირქოლის ციხეს სტრატეგიულად მეტად მარჯვე ადგილი უჭირავს. ძეგლი მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირის მაღალ მთაზეა აღმართული. თავდაპირველი ციხე მთის წვერზე მდგარა. მოგვიანებით ჩრდილოეთ მხარეს ახალი ნაგებობები დაუმატებიათ, რომელთა სიდიდე ორჯერ აღემატებოდა ძველს. ძველი ციხის სქელი და მტკიცე კედლები მთის რელიეფს გასდევდა. შიგნითა ტერიტორია რამდენიმე ნაკვეთად ყოფილა დაყოფილი. ციხეს ჰქონია თავისი წყალსაცავი და სხვა სათავსები.

ახალი სიმაგრეც რთული რელიეფის მაქსიმალურად გამოყენებით აუგიათ. ციხე რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ეზოს ირგვლივ აღმოსავლეთით, განლაგებულია აღმოსავლეთით - ოთხსართულიანი სასახლე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში - კოშკი და ჩრდილო-დასავლეთით - საცხოვრებელი სადგომი. ციხეს ერთადერთი შესასვლელი აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ოთხსართულიანი სასახლის პირველ სართულში სამეურნეო ხასიათის სადგომები ყოფილა, მეორე სართული მომსახურე პერსონალისთვის იყო განკუთვნილი, მესამე - საცხოვრებელს წარმოადგენდა, ხოლო მეოთხე - მისაღები დარბაზი იყო.

სამხრეთ-დასავლეთ კოშკიდან შემორჩენილია სამი სართული. პირველ სართულში ყოფილა ეზო და შესასვლელი. იქვე მაღალი და ვიწრო გვირაბი გადიოდა. მოგვიანებით, გვირაბის დანიშნულების დაკარგვის შემდეგ, მასში წყალსადენი გაუტარებიათ. ციხის დასავლეთი ნაწილი ორი ან სამსართულიანი ყოფილა. პირველი სართული სარდაფი იყო, ხოლო

ზედა - საცხოვრებელი. ყველა სართული აღჭურვილი იყო სათოფურებით.

ძველი ციხის გეგმა არასწორი ფორმისაა. ვიწრო შესასვლელი საფეხურებით, მდებარეობს დასავლეთით. ციხის კედლები, გარდა სამხრეთ-დასავლეთ კუთხისა, დასულია მიწის პირამდე.

სოფ. წირქოლი, სოფლიდან ჩრდ. 4 კმ-ზე მთაში

ეკლესია წმ გიორგი (კომპლექსი)

გვიანი შუა საუკუნეები



გენგეგმა



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ოდნავ მარცხნივ გადახრილი, ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში მასიური ტრაპეზის ქვა დგას. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

სამხრეთ კედელში არქიტრავული შესასვლელი და თაღოვანი სარკმელია მოთავსებული.

ეკლესიას დასავლეთიდან ოთხკუთხა მინაშენი აქვს. მინაშენში შესასვლელი სამხრეთ კედელში ყოფილა. კარი ამჟამად მორღვეულია.

ეკლესიას გარშემო გალავანი შემოუყვება. გალავანში შესასვლელი სამხ-

რეთიდანაა. გალავნის სამხრეთ კედელზე მიშენებულია მცირე ზომის სენაკი. სენაკს დასავლეთიდან ნაოთხალი შესასვლელი აქვს, ხოლო აღმოსავლეთით სწორკუთხა სარკმელი; კამარა შეისრულია. გალავანში შემორჩენილია სხვა ნაგებობის ნაშთებიც. მათი დანიშნულების გარკვევა გაწმენდის გარეშე შეუძლებელია.

ეკლესიის და მინაშენის გადახურვა მთლიანად ჩამოქცეულია. მიწის დონე აწეულია. კედლები დაბზარულია.

სოფ. წიფთაური

ეკლესია " მაცხოვარი"

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა


ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

მაცხოვრის ეკლესია დგას მაღალ მთაზე, მის გარშემო ტერიტორიაზე სასაფლაოა. სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვა, აქაიქ წყობაში შირიმიც შეინიშნება.

მცირე ზომის დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით აქვს ასევე სწორკუთხა ფორმის საკურთხეველი, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ორივე მხარეს თაროებია, ხოლო ძირში ტრაპეზის ქვა დგას.

ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში ორი სწორკუთხა ნიშაა, სამხრეთ კედელში გაჭრილია მცირე სარკმელი.

სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია, კარს ნაოთხალი აქვს. კედლებზე შემორჩენილია ნალესობის კვალი.

ეკლესიის აღმოსავლეთ ფა-

სადზე შემორჩენილია შირიმის ქვის მარტივპროფილიანი კარნიზის ფრაგ-მენტი.

ნაგებობის თაღ-კამარა და კონქი ჩამოქცეულია, კედლები მრავალ ადგილას დაბზარულია. ეკლესიის გარშემო ყრია ჩამონაშალი ქვა.

სოფ. წიფთაური, ნასოფ. "კვერიათი" ქსნის მარჯვენა ნაპირი, მთაზე

ზურგიანი კოშკის ნანგრევი

IX-X საუკუნეები

ნასოფლარი "კვერიათი" მდებარეობს ქსნის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ წიფთაურის მიდამოებში.

ზურგიანი კოშკი სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზე მარჯვე ადგილას დგას, აქედან მოჩანს ხეობისკენ მომავალი ყველა გზა.



გეგმა

ძეგლი დიდი ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. კოშკის მხოლოდ დასავლეთი კედელი, ჩრდილოეთ ზურგის და სამხრეთი კედლის მცირე ნაწილია შემორჩენილი.

ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

დასავლეთ კედელზე იკითხება ხუთი სართულის დონე, აქედან პირველი სართული მთლიანად ამოვსებულია მიწით. ჩანს სართულშუა გადახურვის ხის ძელების კოჭის ბუდეები. კოშკის გარშემო ნასახლარებია.

სოფ. წიფთაური, ადგილი "კაპარაანი"
მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირი

ეკლესია

გვიანი შუა საუკუნეები



გეგმა



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. წყობაში დაცულია სწორხაზოვნება.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია ასევე სწორკუთხა, საფეხურებიანი სარკმელი. ჩრდილოეთით ორი, ხოლო სამხრეთით ერთი ნიშაა მოწყობილი. აბსიდი დარბაზისგან გამოყოფილია მხრებით. საკურთხეველში დგას ტრაპეზის ქვა.

არქიტრავული შესასვლელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. შესასვლელის თავზე სწორკუთხა სარკმელია.

ნაგებობის კედლები შემორჩენილია 2-3 მეტრის სიმაღლეზე, ზოგან უფრო ნაკლებია.

ეკლესიას დასავლეთიდან გეგმით სწორკუთხა მინაშენი აქვს, რომელშიც ნაოთხალი შესასვლელი სამხრეთ კედელშია მოთავსებული. კედლების სიმაღლე 1 მეტრს აღწევს.

სოფ. ჩანდარი, მდ. ალეურას ხეობა, მაღალ მთაზე

ეკლესია "კვირაცხოველი"

შუა საუკუნეები

დარბაზული ეკლესია დიდი ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხედია, აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით. მიწის დონე იმდენად არის აწეული, რომ სარკმლები და შესასვლელი არ ჩანს.

სოფ. ჩანდარი, მდ. ალეურას ხეობა

ეკლესია

გარდამავალი შუა საუკუნეები



გეგმა

ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

ეკლესია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაშენი. წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებული შებრტყელებული ფორმის აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია ვიწრო სწორკუთხა სარკმელი. მისგან ჩრდილოეთით ნიშაა მოთავსებული. აბსიდი დარბაზისაგან გამოიყოფა მხრებით. სამხრეთ და დასავლეთ კედლებზე შემორჩენილია სარკმლის კვალი.

არქიტრავული შესასვლელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. არქიტრავი ერთ მთლიან ქვაშია გამოკვეთილი და მას სამკუთხედი ფორმა აქვს. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის მცირე ფრაგმენტები.

ეკლესია გარშემოვლებულია გალავნის ჩრდილოეთის კარიბჭით.

ეკლესიის თაღ-კამარა და კონქი ჩამოქცეულია. აბსიდის სამხრეთი მხარე გარღვეულია. კედლები დეფორმირებულია.

სოფ. ჭაჭამური, სასაფლაოზე

ეკლესია ღვთისმშობელი (ნანგრევი)

გარდამავალი შუა საუკუნეები



გეგმა

ჭაჭამურის "ღვთისმშობელი" წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზულ ეკლესიას. ძეგლი რიყის ქვითაა ნაგები. ეკლესია თითქმის მთლიანად დან-

გრეულია. გადარჩენილია დასავლეთ კედლის მცირე ნაწილი. საკურთხევლის აბსიდი დაახლოებით ნახევარი მეტრის სიმაღლეზე შემორჩა, თუმცა მასში აშკარად იკითხება გეგმის ნალისებრი ფორმა. აღსანიშნავია აგრეთვე დასავლეთ კედლის დღემდე შემორჩენილი შებათქაშება. ძეგლის გარშემო შემორჩენილია XIX-XX სს. ქართველი მოსახლეობის საფლავის ქვები.

საერთო ხედი

სოფ. ჭაჭამურის ჩრდილოეთით, 1 კმ-ზე ტყეში

ეკლესია "მაცხოვარი" (ნანგრევი)

შუა საუკუნეები

მცირე ზომის დარბაზული ეკლესია საშუალო ზომის რიყის ქვით ყოფილა ნაშენი.

მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი დანგრეულია, აშკარად შეიმჩნევა სწორკუთხა საკურთხევლის მოხაზულობა. კარი სამხრეთიდან ყოფილა გაჭრილი.

ძეგლი ადგილობრივი ხატია და უმნიშვნელოა.

სოფ. ჭორჭოხი

ეკლესია "კვირაცხოველი"

ადრე შუა საუკუნეები

მცირე ზომის დარბაზული, სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესია ფლეთილი ქვითა და ფიქალითაა ნაგები. შიგნიდანაც და გარედანაც გალესილია. აღმოსავლეთ და დასავლეთ კუდლებში გაჭრილია სარკმლები. ორივე სარკმლის სათაურად



გეგმა

ჩასმულია ტუფის ქვაზე ამოკვეთილი ჯვრები. ჩრდილოეთ კედელში კარის მარცხნივ სასანთლე ნიშაა. კარის ბალავრად გამოყენებულია ქვიშაქვის დიდი ლოდი. ცოკოლის დონე კარგად ჩანს. სარკმლები არქიტრავულია და საფეხურებიანი. ჩრდილოეთ კედელში ორი ნიშაა, სამხრეთში - ერთი. საკურთხევლის მარცხენა კუთხეში და შუაში კედელთან მიდგმულია ტრაპეზის ორი ქვა, რომლებიც ერთმანეთს დაბალი საფეხურით უკავშირდება. გადახურვა ორქანობიანია.

საერთო ხედი

სოფ. ჭორჭოხის დასავლეთით, ქედზე

ეკლესია "წმ. გიორგი"

განვითარებული შუა საუკუნეები

ეკლესია ნაწილობრივ დანგრეულია. თავიდან კარგად გათლილი შირიმის კვადრებით იყო ნაგები, მოგვიანებით გაურემონტებიათ ფლეთილი ქვით. გადარჩა ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები, დანარჩენი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. დანგრეულია აბსიდის დიდი ნაწილი.



გეგმა

საერთო ხედი

სოფ. ჭორჭოხიდან აღმოსავლეთით 2 კმ.

კოშკი

გვიანი შუა საუკუნეები

სამი სართულის დონეზე შემორჩენილი გეგმით ოთხკუთხა მოხაზულობის კოშკი უფორმო ფლეთილი ქვითაა ნაგები. კარი გაჭრილია მეორე სართულის სამხრეთ კედელში.



გეგმა

საერთო ხედი

სოფ. ჭორჭოხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთის თავზე. დიდი წიფლების ჩრდილოეთით

ეკლესია "ქაშუეთი"

შუა საუკუნეები

მცირე ზომის ეკლესია, რომელსაც ჩრდილოეთით პატარა თანადროული მინაშენი აქვს, ფლეთილი ქვითაა ნაგები. წყობა მშრალია. ძეგლი დანგრეულია. შემორჩა ჩრდილოეთი და დასავლეთი კარები. სწორკუთხა საკურთხეველში იკითხება სარკმელი და პატარა ნიშა. შესაძლოა ჩრდილოეთი მინაშენი მაღალი იყო და კოშკს წარმოადგენდა. ის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელს ბოლომდე არ გაუყვება.

ძეგლის საბოლოო ტიპის დასადგენად საჭიროა მისი გაწმენდა და საძირკვლების გამოჩენა.



გეგმა

სოფ. ჭორჭოხიდან აღმოსავლეთით, ქედზე, 1,5 კმ-ზე

ეკლესია

გარდამავალი ხანა



გეგმა

საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია, რომელსაც გვიანი ხანის ჩრდილოეთი მინაშენი აქვს, კარგად დამუშავებული დიდი და საშუალო ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. გეგმით სწორკუთხა მოხაზულობის ნაგებობა აღმოსავლეთით დასრულებულია ასევე სწორკუთხა საკურთხევლით. მისი კონქის ამოსაყვანად ფიქალიც არის გამოყენებული. საკურთხევლის მხრები ბოლომდე არ ჩამოდის. როგორც საკურთხეველი, ისე კამარის მზიდი თაღიც, თხელი ფიქალის ქუსლს ეყრდნობა. ჩრდილოეთი კარის ბალავრის ზემოთ ინტერიერში ოდნავ შეისრული ლუნეტია ამოღებული. თითო სარკმელია აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში. როგორც დარბაზის, ისე მინაშენის გადახურვა ჩამონგრეულია. მინის დონე ერთი მეტრითაა აწეული. შემორჩენილია მინაშენის დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები. დარბაზის ინტერიერი მოხატული ყოფილა. ფრაგმენტულად იკითხება რამდენიმე სახე, გველეშაპის გამოსახულება და ასომთავრული წარწერები. ფერები ჩამორეცხილია. გადარჩა მხოლოდ ესკიზური ხაზები. ეკლესია ვერტიკალური ღერძიდან გადაწეულია სამხრეთით, გაბარიტები დარღვეულია.

საერთო ხედი

სოფ. ჭორჭოხიდან დასავლეთით 1,5-2 კმ-ზე, ადგილი "არბო"

ეკლესია "არბო" (კომპლექსის ნანგრევი)

შუა საუკუნეები



საერთო ხედი

ნაგებობათა კომპლექსიდან, რომელიც ამჟამად მთლიანად დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ ეკლესიის საკურთხევლის ნაწილი და ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტი. კედლების სიმაღლე არ აღემატება 1-1,5 მ. სამშენებლო მასალად ძირითადად ფლეთილი ქვა იყო გამოყენებული. გეგმის წაკითხვა სპეციალური გაწმენდის გარეშე შეუძლებელია.

სოფ. ჯვარისუბანი, სოფლიდან დას. 5 კმ-ზე "სამების" მთა

ლოწობნის ციხის ნანგრევი

გვიანი შუა საუკუნეები

მატიანეში ციხე X ს. ქართლში მიმდინარე პოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით იხსენიება.

სამების მთაზე აღმართული ლოწობნის ციხის კომპლექსიდან შემორჩენილია გალავნის მცირე ნაწილი. ეს უკანასკნელი ქედს მიუყვება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. კედელი ფლეთილი ქვითაა ნაგები, მის გარშემო მიწის დონე აწეულია.

დანარჩენი კედლებისა და გეგმის წაკითხვა შეუძლებელია.

ბიბლიოგრაფია

1. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941.
2. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, "ქართლის ცხოვრება", ტ. IV, "საბჭოთა საქართველო", თბ., 1973.
3. ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, "მეცნიერება", თბ., 1973.
4. ჩხეიძე ს., ცხოვრება მეფეთა, "ქართლის ცხოვრება", ზ.ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913.
5. შოშიაშვილი ნ., ლაპიდარული წარწერები I, თბ., 1980, "მეცნიერება"
6. ზაქარაია პ., XI-XVIII საუკუნეების ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, თბ., "ხელოვნება", 1975.
7. ჟორდანია თ., ქრონიკები, 1892.
8. რჩეულიშვილი ლ., თიღვა, თბ., 1969.
9. რჩეულიშვილი ლ. თიღვა, შირვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა (ნარკვევი XII ს. ქართული ხეროთმოძღვრება), თბ., 1960.
10. რჩეულიშვილი ლ., XVII საუკუნის სასახლე ძაღინაში, ქართული ხელოვნება №5, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1959, გვ. 221
11. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა I, კ. კეკელიძისა და ალ ბარამიძის რედაქციით, თბ., 1935.
12. ზაქარაია პ., ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია. თხ., 2002

Библиография

1. Закарая П., Древние крепости Грузии, Тб., изд. "Мерани", 1969.
2. Безсонов С.Б., Крепостные сооружения в бассейне большой Лиахви, изд. ЮОНИИ, вып. 1, Сталинир, 1933.
3. Меписашвили Р., Цинцадзе В., Памятники архитектуры нагорной части исторической провинции Грузии Шида-Картли, ТБ., "Мецниереба", 1975.
4. Чубинашвили Г., Северов Н., Пути развития грузинской архитектуры, Тб., 1936.
5. Северов Н., Памятники грузинского зодчества, М., Акад. СССР, 1947.
6. Уварова П., Тигва, МАК, т.IV, стр. 170.
7. Закарая П., Некоторые вопросы крепостных сооружений Шида-Картли XVI-XVIII вв. Вестник музея Грузии, т.XIX- А и XXI-В, 1957.
8. Такаишвили Е. Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып.У. Тф., 1915.
9. Шмерлинг Р. Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тбилиси, 1962 г.
10. Беридзе В. Грузинская архитектура, Тб., 1967 г.
11. Бакрадзе Д. Кавказ в древних памятниках христианства, Тф., 1875.

სარჩევი

წინათქმა 7

სოფ. ალევი

ეკლესია სამება 7

სოფ. აბრევი

თედოწმინდის ეკლესია 8

ეკლესია 8

ეკლესიის ნანგრევი 9

ნიში ნაეკლესიარზე 9

სოფ. არმაზი

წმ. გიორგის ეკლესია 10

ნაეკლესიარი 12

ეკლესია - კოშკით 12

დ. ახალგორი

მიქელ-გაბრიელის ეკლესია 12

წმინდა მარინეს ეკლესია 13

ღვთისმშობლის ეკლესია 14

გორიჯვარის ეკლესია 15

საგუშაგო კოშკი 15

ქსნის ერისთავთა ციხე-დარბაზი (რეზიდენცია) 16

დ. ახალგორი

ეკლესია 18

წმ. გიორგის ეკლესია 19

"ახშადების" ხატი 19

წმინდა გიორგის ეკლესია 21

"კვირაცხოვლის" ეკლესია 22

წითელი ხატის ნიში (მემორიალური ქვა) 22

კვირაცხოვლის ეკლესიის ნანგრევი 23

"ცეცხლიჯვრობას" კოშკი 26

სოფ. ახალდაბა

ეკლესიის ნანგრევი 18

ეკლესიის ნანგრევი 23

სოფ. ახმაჯი

"ღვთისმშობლის" ეკლესია 24

კოშკი 25

ეკლესია "ნიკოს საყდარი" 25

"ღვთისმშობლის" ეკლესია 26

სოფ. ბალაანი

ეკლესია "წმ. გიორგი" 27

ეკლესია 27

ციხის კომპლექსი, ეკლესია, კოშკი 28

ღვთისმშობლის ნიში 29

სოფ. ბეჟაანთკარი
წმ. გიორგის ეკლესია 29
კვირაცხოვლის ნიში 30
სოფ. ბოსელთა
ღვთისმშობლის ეკლესია, სასაფლაოზე 30
წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევი 30
მთავარანგელოზის ეკლესიის ნანგრევი 31
წმინდა გიორგის ეკლესია 31
ნასოფლარი გავაზი
ეკლესიის ნანგრევი 32
სოფ. გავაზი
ღვთისმშობლის კომპლექსი 32
ეკლესიის ნანგრევი 33
კვირაცხოვლის ეკლესია 33
სოფ. გარუბანი
ღვთისმშობლის ეკლესია 33
წმინდა გიორგის ეკლესია 34
სოფ. გდუ
სამების ეკლესია 35
წმ. გიორგის ეკლესია 36
სოფ. გდულეთი
ღვთისმშობლის ეკლესია 37
სოფ. გეზევრეთი
წმინდა გიორგის მონასტერი 37
ეკლესიის ნანგრევი 39
სოფ. გუდითა
კლდეში ნაკვეთი ღვთისმშობლის მონასტერი 39
სოფ. დაბაკნეთი
ეკლესია 40
ეკლესია 41
ყველაწმინდის ეკლესიის ნანგრევი 41
წმინდა გიორგის ეკლესია 42
ზურგიანი კოშკი 42
ამაღლების სამონასტრო კომპლექსი 43
წმინდა მარიამის ნაეკლესიარი 43
სოფ. დადიანეთი
წმინდა გიორგის სამონასტრო კომპლექსი 43
ზურგიანი კოშკი 45
სამების ეკლესია 46
კოშკი 47
ეკლესია 47
ღვთისმშობლის ეკლესია 48
ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი 48
კოშკისა და ეკლესიის ნანგრევი 48

კვირაცხოვლის ეკლესია 49
კოშკის ნანგრევი 49
ღვთისმშობლის ეკლესია 50
სოფ. დელკანი
კვირაცხოვლის ეკლესია 51
სოფ. დორეთკარი
"წინკიბის" ციხის კომპლექსი, წმ. ბარბარეს ეკლესია 51
ნასოფლარ გავაზის ზურგიანი კოშკი 51
ეკლესია 51
ზურგიანი კოშკი 51
წმინდა გიორგის ეკლესია 55
წმინდა გიორგის ეკლესია 56
წმინდა გიორგის ეკლესია 57
წმინდა გიორგის ნაეკლესიარი 58
ნაგებობის ნაშთი 59
წმინდა გიორგის ნაეკლესიარი 59
ხოხაანთ კოშკი 60
წმინდა გიორგის ეკლესიის კომპლექსი 61
სოფ. ელოიანი
ლომისას კომპლექსი, წმინდა გიორგის ეკლესია 62
ციხის კომპლექსი 63
ზურგიანი კოშკი 64
ლომისას ნიში 65
ეკლესიის ნანგრევი 65
აკლდამა I 66
აკლდამა II 67
აკლდამა III 67
ქარჩოხის ციხე 67
ეკლესია 70
ლომისას ნიში ნაეკლესიარზე 70
სოფ. ერედა
ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი 71
ნაგებობის ნაშთი 71
სოფ. ველურა
კოშკი 72
სოფ. ზემო ბოლი
წმინდა მარინეს ეკლესიის ნანგრევი 73
მარანი 73
კოშკი 74
კვირაცხოვლის ეკლესიის ნანგრევი 75
სოფ. ზემო ზახორი
ეკლესიის ნანგრევი 75
წმ. გიორგის ეკლესია 76
ეკლესიის ნანგრევი 77

წმინდა გიორგის ეკლესია 77
ციხე 78
კოშკი 79
სოფ. ზემო წირი
ეკლესია ბზეზვა 80
სოფ. ზემო წუბენი
"მთის ხატის" ეკლესია 81
"ვაკის ხატის" ნაეკლესიარი 82
სოფ. ზოდეხი
"კვირაცხოვლის" ნაეკლესიარი 82
ეკლესიის ნანგრევი 83
ნაეკლესიარი 83
წმინდა გიორგის ეკლესია 84
სოფ. ზემო გრუ
წმინდა გიორგის ეკლესია 84
სოფ. თინიკაანი
ეკლესია "ერთაბრძანებულობა" 85
ნიში ღვთისმშობლის ნაეკლესიარზე 86
სამების ეკლესია 87
ნაგებობის ნაშთი (კვირაცხოველი) 88
სოფ. თოხთა
წმ. მარინეს ეკლესიის ნანგრევი 88
ღვთისმშობლის ნაეკლესიარი 89
კვირაცხოვლის ნაეკლესიარი 89
წმინდა მარინეს ეკლესია 89
წმინდა გიორგის ეკლესია 90
წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევი 91
გვიანი შუა საუკუნეები 91
ეკლესიის ნანგრევი 92
ნაგებობის ნანგრევი 93
წმინდა გიორგის ეკლესია 93
სოფ. იკოთი
წმინდა ბარბარეს ეკლესია 95
კოშკი 95
წმინდა მარინეს ეკლესია 96
სოფ. კიტრიული
ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი 98
ყველაწმინდას ნაეკლესიარი 98
ნიში ნაეკლესიარზე 99
"ყრუ-საყდრის" ეკლესიის ნანგრევი 99
"ამაღლების" ნაეკლესიარი 100
"ყველაწმინდას" ეკლესიის ნანგრევი 100
ნაეკლესიარი; (სტელა) 100

სოფ. კორინთა
წმინდა გიორგის ეკლესია 101
კვირაცხოვლის ეკლესია 102
კოშკი 103
სოფ. ლარგვისი
სამონასტრო კომპლექსი: 104
ქსნის ერისთავების რეზიდენცია (ციხე-დარბაზი) 109
ეკლესია 111
სალოცავი, ხატის ნანგრევი 112
წმინდა გიორგის ეკლესია 112
ამაღლების ეკლესია 113
ეკლესიის ნანგრევი 114
წმინდა გიორგის ეკლესია 115
სალოცავი ნიში 115
სალოცავი ნიში 116
სოფ. მარტიანი
წმინდა გიორგის ეკლესია 116
ეკლესიის ნანგრევი 117
კვირაცხოვლის ეკლესია 118
სამონასტრო კომპლექსი "ჯვარპატიოსანი" 118
წმინდა გიორგის ეკლესია 119
სოფ. მახიარეთი
წმინდა მარიამის ეკლესია 120
კვირაცხოვლის ეკლესია 121
მთავარანგელოზის ეკლესია, სატრაპეზო 121
ღვთისმშობლის ნიში 123
კოშკის ნანგრევი 123
ნაგებობის ნაშთი და კოშკის ნანგრევი 123
ეკლესია 124
კოშკის ნანგრევი 125
ზურგიანი კოშკის ნანგრევი 126
ეკლესიის ნანგრევი 126
სოფ. მონასტერი
კოშკი 127
ნათლისმცემლის ეკლესია 127
ეკლესიის ნანგრევი 128
ღვთისმშობლის სამონასტრო კომპლექსი 129
ეკლესია "ბასილის ძმა" 130
სოფ. მორბედაანი
წმინდა გიორგის ეკლესია 131
ამაღლების ეკლესია 132
სოფ. მოსაბრუნი
ღვთისმშობლის ეკლესია 132
მიძინების ხატის ეკლესია 133

წმინდა გიორგის ეკლესია 134
ხოფას მონასტერი 136
სოფ. მსხლები
წმინდა გიორგის ეკლესია 138
სოფ. მსხლები
კვირაცხოვლის ნაეკლესიარი 139
სოფ. მუჯუხი
წმინდა გიორგის ნაეკლესიარი 139
სოფ. მშველიეთი
კვირაცხოვლის ეკლესია 140
ღვთისმშობლის ეკლესია 141
ეკლესია 142
კვირაცხოვლის ეკლესია (ხატი) 143
წმინდა გიორგის ეკლესია (გიორგობა) 143
სამლოცველო წმინდა ელია (ხატი ელიაობა) 144
ამაღლების ნიში 145
კოშკის ნანგრევი 145
სოფ. ნაგომევი
წითელი ხატის ეკლესიის ნანგრევი 146
ეკლესია მთისჯვარი (თისჯვარი) 147
კოშკი 147
კარიბჭე 147
ეკლესიის ნანგრევი 149
სოფ. ნახიდი
ღვთისმშობლის ეკლესია 148
ნათლისმცემლის ეკლესია 150
კვირაცხოვლის ეკლესია 151
კომპლექსი წმინდა გიორგი 152
სოფ. პავლიანთკარი
ნიში ნაეკლესიარზე 153
კოშკის ნანგრევი 153
კოშკი 153
სოფ. საბარკლეთი
ღვთისმშობლის ეკლესია 154
კოშკის ნანგრევი 155
ნიში ნაეკლესიარზე 155
კოშკის ნანგრევი 155
წმინდა გიორგის ეკლესია 156
ნაეკლესიარი 157
სოფ. საძეგური I
კვირაცხოვლის ეკლესია 157
ეკლესია 158
სოფ. საძეგური
კობათის ეკლესია 158

ეკლესიის ნანგრევი 159
ეკლესია 160
სოფ. უკანამხარი
კომპლექსი "კვირაცხოველი" 161
სამონასტრო კომპლექსი 162
"ამაღლების ეკლესია" 163
ეკლესიის ნანგრევი 164
ნაეკლესიარი და ნიში "ყველაწმინდა" 165
სამების ეკლესიის ნანგრევი 165
სოფ. უკანაუბანი
ზურგიანი კოშკი 166
ნასოფლარი უკანაუბანი
ეკლესია 165
ზურგიანი კოშკი 167
წმინდა გიორგის ეკლესია 167
ეკლესიის ნანგრევი 168
ეკლესიის ნანგრევი 168
მთავარანგელოზის ეკლესია 169
ციხის კომპლექსი 169
ციხე 169
კოშკი 169
ეკლესია 169
სოფ. ქვემო ალევი
ღვთისმშობლის ეკლესია 172
მიქელ-გაბრიელის კომპლექსი 172
"წმ. მარინეს" ეკლესიის ნანგრევი 173
მთავარანგელოზის ეკლესია 173
სოფ. ქვემო ბოლი
კოშკის ნანგრევი 174
სოფ. ქვემო გრუ
წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევი 175
სოფ. წუბენი
ეკლესიის ნანგრევი "თვაბაცილა" 175
სოფ. ქვემო წუბენი
წმინდა გიორგის ეკლესია 176
სოფ. ქედიგორა
წმინდა გიორგის ეკლესია 176
"კვირაცხოვლის" ეკლესია 177
სოფ. ქენქაანი
წმინდა გიორგის ეკლესია 178
წმინდა ბარბარეს ეკლესია 179
მთავარანგელოზის ეკლესია 179
სოფ. ქოლოთი
ღვთისმშობლის ეკლესია 180

ქოლოთის კოშკი 181
ქოლოთის ციხე 181
სოფ. ქურთა
წმინდა გიორგის ეკლესია 183
კვირაცხოვლის ეკლესია 184
ნაეკლესიარი 185
ლაშარობის ეკლესია 186
ეკლესია 186
ნიში 187
ნიში 187
ნაეკლესიარი 188
სოფ. ყანჩაეთი
ეკლესია 188
კაბენის ღვთისმშობლის მონასტერი 189
ხადის ციხე 192
წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევი 193
სოფ. შუა ალევი
ღვთისმშობლის ეკლესია 194
კვირაცხოვლის ეკლესია 195
სამების ნიშის ეკლესია 195
წმინდა მარიამის ეკლესია 196
ეკლესია 197
"ლომისას ნიში" 198
სოფ. შუა ზახორი
ეკლესია კუცხათის წმ. გიორგი 198
ეკლესია 198
წმინდა ნიკოლოზის ეკლესია 199
სოფ. ჩიგოიანი
ეკლესიის ნანგრევი 200
ზურგიანი კოშკის ნანგრევი 201
ეკლესია 201
კვირაცხოვლის ეკლესია 202
ზურგიანი კოშკი 203
ზურგიანი კოშკის ნანგრევი 203
ზურგიანი კოშკი 204
ეკლესიის ნანგრევი 204
სამონასტრო კომპლექსი 205
ნაგებობის ნანგრევი 206
სამონასტრო კომპლექსი 206
ეკლესია კოშკით 206
წმინდა გიორგის ეკლესია 207
ეკლესია წითელი ხატი 208
აკლდამები 209
ეკლესია 209

ეკლესია 210
კომპლექსი "ბერციხე" 211
ნასოფლარი თოგოიანი 213
ციხის კომპლექსი, მიდამოები 213
ზურგიანი კოშკი 214
ეკლესიის ნანგრევი 214
ზურგიანი კოშკი 215
კოშკი 216
ეკლესია "წითელი საყდარი" 217
ნაეკლესიარი 217
ნაეკლესიარი 218
სოფ. ჩიტიანი
ეკლესიის ნანგრევი 218
ეკლესია ყველაწმინდა 219
სოფ. ჩქუნეთი
წმინდა გიორგის ნიში 220
ეკლესია 221
ეკლესიის ნანგრევი 222
ნიში ნაეკლესიარზე 223
ეკლესია 223
სამონასტრო კომპლექსი - ციხისკარი 223
ნაეკლესიარი კვირაცხოველი 225
ეკლესიის ნანგრევი 225
ეკლესიის ნანგრევი "საღმრთო" 225
წმ. გიორგის ეკლესია 226
სოფ. ციხისოფელი
კვირაცხოვლის ეკლესიის ნანგრევი 227
ზურგიანი კოშკი 227
მთავარანგელოზის ეკლესია 228
სამონასტრო კომპლექსი 229
ციხის ნანგრევი 230
წმინდა გიორგის ნიში 231
სოფ. ცხავატი
წმინდა გიორგის ეკლესია 231
"ლომთის" ეკლესია 232
წმინდა გიორგის ეკლესია 232
წმინდა ბარბარეს კოშკი 233
ცხავატის სამონასტრო კომპლექსი 234
ღვთისმშობლის ეკლესია 234
მცირე ეკლესია 234
მაცხოვრის ეკლესია "ჩუმაანთ უბანი" 238
კვირაცხოვლის ეკლესია 240
ეკლესია 240
ნიში 241

ზურგიანი კოშკი "შხამურის ციხე" 241
სოფ. ძეგლევი
ეკლესია "წმ. გიორგი" 242
ეკლესია "წმ. ბარბარე" 243
სოფ. ძუკათკარი
ეკლესიის ნანგრევი 244
სოფ. წინაგარი
ეკლესია "წმ. გიორგი" 245
სოფ. წირქოლი
ეკლესია წმ. გიორგი (თეთრი) 245
ეკლესია "წმ. მარიამის" 246
ფიცხელაურების კოშკი 247
ეკლესიის ნანგრევი 249
წირქოლის ეკლესია 249
წირქოლის ციხე 251
სოფ. წირქოლი
ეკლესია წმ გიორგი (კომპლექსი) 253
სოფ. წიფთაური
ეკლესია " მაცხოვარი" 254
ზურგიანი კოშკის ნანგრევი 255
ეკლესია 256
სოფ. ჩანდარი
ეკლესია "კვირაცხოველი" 256
ეკლესია 257
სოფ. ჭაჭამური
ეკლესია ღვთისმშობელი (ნანგრევი) 257
ეკლესია "მაცხოვარი" (ნანგრევი) 258
სოფ. ჭორჭოხი
ეკლესია "კვირაცხოველი" 258
ეკლესია "წმ. გიორგი" 259
კოშკი 260
ეკლესია "ქაშუეთი" 260
ეკლესია 261
ეკლესია "არბო" (კომპლექსის ნანგრევი) 262
სოფ. ჯვარისუბანი
ლოწობნის ციხის ნანგრევი 262

ბიბლიოგრაფია 263

ტექსტის დამუშავება - ც. დადიანიძე
დიზაინი და კომპიუტერული გრაფიკა - თ. ჩხაიძე
ტექ. რედაქტორი და კორექტორი - ნ. თიგიშვილი
კორექტორი - ნ. კობახიძე
მხატვარი - ს. ზაზუნაშვილი
სტილისტი - პ. გერგაია

ვრცელდება უფასოდ